ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130—1624

# დროშა

ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლის განთიადი

ფოტო სიმონ კილაძისა.

# დიდების, ძმობისა და შრომის ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვ. ვ. შჩერბიცკი,**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, გმირი ქალაქის კიევის საპატიო მოქალაქე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მუდამ იჩენდა და იჩენს დიდ ზრუნვას საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან კიევის განთავისუფლებაში, რომლის დროსაც ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინა. კიევის 1500 წლის იუბილეს დღესასწაულზე ლეონიდ ილიას ძემ დამაბარა, ქალაქის ყველა მცხოვრებს, თითოეულ ოჯახს ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, ვუსურვო ბედნიერება და ახალი მიღწევები ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ხალხის კეთილდღეობა ჩვენი ლენინური პარტიის უზენაესი საპროგრამო მიზანია. პარტიის კურსის — ადამიანთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის, მათი მშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის კურსის განუხრელი განხორციელების ახალი მკაფიო დასტური გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმის გადაწყვეტილებანი. ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით შემუშავებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ერთსულოვნად მოწონებული ქვეყნის კომპლექსური, დიდი მასშტაბის სასურსათო პროგრამა, ლეონიდ ილიას ძის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დასკვნები და ამოცანები უკრაინის კომუნისტებმა, მშრომელებმა, ყველა საბჭოთა ადამიანმა დიდი კმაყოფილებით აღიქვეს. ისინი ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამად გადაიქცნენ.

...საბჭოთა ხალხი მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებს პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მხურვალედ უჭერს მხარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მტკიცე, მიზანდასახულ მუშაობას, რომლის მიზანია, დაამკვიდროს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი, გააუმჯობესოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა...

საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის იუბილე — ეს არის რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხების, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის მეგობრობის შესანიშნავი დღესასწაული, და ნიშანდობლივია, რომ ახლანდელი ზეიმი ეწყობა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს. ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს გაჩენამ, ახალი საზოგადოების აღმშენებლობამ წარმოშვეს და დაამკვიდრეს მშრომელ ადამიანთა დიადი ძმობა, ერთიანი ოჯახის წევრობის გრძნობა, ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობა.

ამ საზეიმო ჟამს ჩვენ მხურვალე მადლობით მივმართავთ მშობლიურ ლენინურ პარტიას, დიდ რუს ხალხს, ჩვენი მრავალეროვანი მამულის ყველა ხალხს, რომლებიც ძმურ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის მშრომელებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და ერთიანობა უდიდესი აღმაშენებელი ძალაა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. მეგობრობისა და ძმობის გზა — ეს არის ლენინური გზა, ეს არის კომუნიზმისაკენ მიმავალი გზა, და ამ გზას ჩვენ არასოდეს არ გადავუხვევთ.

კიევის ისტორიაში, ისევე როგორც მთელი უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში, უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა პერეიასლავლის რადა, რომელიც 1654 წლის იანვარში გაიმართა. აქ მიიღეს ისტორიული აქტი რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ.

რევოლუციური ბრძოლისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურმა სკოლამ, რომელიც მთელი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად გამოიარა კიევის პროლეტარიატმა, განსაზღვრა მისი აქტიური მონაწილეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და დამკვიდრებაში.

ახალი ცხოვრების მშენებლობის ყველა ეტაპზე რესპუბლიკის მშრომელთა ნაცად ავანგარდად გვევლინებოდა და გვევლინება დიდი ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილი უკრაინის კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საიმედო მებრძოლი რაზმი. ამჟამად უკრაინის კომპარტია 3 მილიონ კომუნისტს აერთიანებს.

ჩვენი მამულის ხალხთა ძმობამ ბევრ ქარტეხილსა და განსაცდელს გაუძლო, გაუძლო მათ კიევმაც. დღეს განსაკუთრებით ცოცხლად გვიდგას თვალწინ გმირობა, რომელიც კიევის დამცველებმა და განმათავისუფლებლებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში. უკრაინის, მისი ძველთაძველი დედაქალაქის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ საბჭოეთის ყველა ხალხის შვილები.

თხუთმეტი საუკუნეა დგას კიევი დნეპრის ნაპირებზე. იმედიანად, ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს გმირი ქალაქი, მშრომელი ქალაქი. მან უკვე კარგა ხანია მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. ახალ მწვერვალებს მიაღწიეს ეკონომიკამ, მეცნიერებამ და კულტურამ. დღეს კიევი, ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მაღალგანვითარებული ინდუსტრიის ქალაქი, სადაც გამოდის 30-ჯერ მეტი მრეწველობის პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, სადაც ყოველ ხუთ წელიწადში აშენებული საცხოვრებელი სახლების ფართობი მთელი ომამდელი კიევის საბინაო ფონდის ტოლია. დღეს კიევი — ეს არის დიდი მეცნიერების ქალაქიც. აქ ნაყოფიერად შრომობს უკრაინის მეცნიერთა მეოთხედი, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ცოდნის ყველა დარგის განვითარებაში. დღეს კიევი — ეს არის აგრეთვე აღიარებული კულტურული ცენტრი.

ერთი წლის წინ კიევში მემორიალური კომპლექსის გახსნაზე გამოსვლისას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „დიდია ის ხალხი, რომელიც ნიადაგ გრძნობს ცოცხალ კავშირს თავის ისტორიასთან, შეუძლია, შეისისხლხორცოს ყოველივე საუკეთესო თავისი ისტორიული ტრადიციებიდან და გადააქციოს იგი დღევანდელობის კუთვნილებად. საბჭოთა ხალხს ეს შესანიშნავი თვისება სრულად ახასიათებს“. ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგული კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები მარტოოდენ ხალხთა ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მცველები როდი არიან. ისინი ავითარებენ და ამრავლებენ წარსულის პროგრესულ, რევოლუციურ ტრადიციებს. ერთი მათგანია დამკვრელური შრომის ტრადიცია.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იღვწიან მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრამის განსახორციელებლად...

საბჭოთა ხალხის მთელი მიღწევები, ყველა ჩვენი გამარჯვება, ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მისი საბრძოლო შტაბის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგი. უკრაინელი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სრულად ენდობა მშობლიურ პარტიას, მთელი არსებით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას...

კიევის 1500 წლისთავისა და ქალაქისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან (28 მაისი, 1982 წელი).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



- კიევის მთავარი მაგისტრალი — კრეშჩატიკი
- ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში
- ივანო-ფრანკოს ოლქი. ხორბლის აღება გოროდენკოვსკის რაიონის ერთ-ერთ სოფელში.
- კიევის „1941-45 წლების დიდი სამამულო ომის ისტორიის უკრაინის სახელმწიფო მუზეუმი".
- ზაპოროჟიე ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპროჰესი
- სცენაზეა ლენინური კომკავშირის და რესპუბლიკის კომკავშირის ნ. ოსტროვსკის სახელობის პრემიების, უკრაინის დამსახურებული თვითმოქმედი ანსამბლი „იუნოსტი".
- უკრაინული თვითმოქმედი ანსამბლის წევრები მიხეილი და ბოგდან ბაგრინეცები.

# უკრაინა, უკრაინა







### ქალაქ კიევს — ხალხთა მეგობრობის ორდენი

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებაში ქალაქ კიევის დიდი დამსახურების, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ქალაქის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებების აღსანიშნავად და დაარსების 1500 წლის თავთან დაკავშირებით **ქალაქი კიევი** დაჯილდოვდა **ხალხთა მეგობრობის ორდენით**

ეროვნული ბიბლიოთეკა







პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№6 (546) ივნისი, 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.



## ლენინური პრემიის ლაურეატს მიკოლა ბაჟანს

თქვენ, თანამედროვე უკრაინული პოეზიის დიდოსტატსა და ქართველი ხალხის ნაცად მეგობარს, დიდ მოღვაწესა და შესანიშნავ პიროვნებას, გილოცავთ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს შემოქმედებით ჯილდოს — ლენინურ პრემიას.

ვამაყობ იმით, რომ უკრაინის დედაქალაქში ჩემი მუშაობის პერიოდში და საქართველოში დაბრუნების შემდეგაც საშუალება მქონდა, მრავალგზის შეგხვედროდით და მესაუბრა თქვენთან, როგორც უფროს ძმასთან.

სიყვარულით გეხვევით, გკოცნით.

**ლამარა ჭყონია,**

უკრაინისა და საქართველოს სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ძვირფასო ძმაო მიკოლა!

სულითა და გულით გილოცავ შენი მრავალწლოვანი, მაღალი, მთელ ქვეყანაზე განთქმული პოეზიის ჭეშმარიტად ღირსეულ დაფასებას — ლენინურ პრემიას. მიხარია, რომ ამ შენს დიდ გამარჯვებას სხვა შენს მეგობართა შორის მეც წინასწარ, ორიოდე კვირით ადრე, მივესალმე ვრცელი წერილით „ლიტერატურნაია გაზეტაში".

მარად შენი

**ირაკლი აბაშიძე,**

პოეტი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი

მე, დიდი სამამულო ომის დღეებში უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლების ერთ-ერთ მონაწილეს, კარგად მახსოვს თქვენი ამაღელვებელი, აღმაფრთოვანებელი პოეტური მოწოდება, რომელსაც ფიცივით იმეორებდნენ საბჭოთა მეომრები.

მას შემდეგ ჩემთვის მშობლიური და ახლობელი გახდა თქვენი სახელი. თქვენ დიდი ამაგი დასდეთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას — მშვენიერ უკრაინულ ენაზე აახმიანეთ რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, თანამედროვე ქართველი პოეტები.

ჟურნალ „დროშის" საშუალებით, მთელი ქართველი ხალხის სახელით, გილოცავთ ლენინურ პრემიას და გისურვებთ დიდხანს ბედნიერ სიცოცხლეს.

**ირაკლი ციციშვილი,**

საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი

ძვირფასო მიკოლა პლატონის ძევ!

მთელი საქართველო გაახარა თქვენი დიდი შემოქმედებითი გმირობის კიდევ ერთმა საყოველთაო აღიარებამ.

გილოცავთ ლენინურ პრემიას.

გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს!

**ხუტა ბერულავა**



# ცისფერთვალება

**ალექსეი როგოტჩენკო**

მოთხრობა

ზღვა ბობოქრობდა. თეთრქაფმორეული ტალღა ტალღაზე გადადიოდა. ზღვაური დიდრონ ტალღებს ნაპირისკენ მიაქანებდა და მეთევზეთა დასახლებასთან ახეთქებდა. ფანჯრებს თვალისმომჭრელი წვრილი შხეფები ესხურებოდა.

...ჩვენ ზღვის ნაპირზე ვიდექით და ძლიერი სტიქიის ცქერით ვტკბებოდით. ყირიმის მცხუნვარე მზეს სახე ბრინჯაოსფრად შეეფაკლა ჩემი თანამგზავრისათვის. წარბები ჩალისფრად გახუნებოდა. ყურადღებას იქცევდა მისი მტკიცე, ენერგიული ნიკაპი.

მავზღველმა მეთევზემ, პეტრე კალიტამ, ქარში ქოჩორი რომ აწეწოდა, დაძარღვული ხელებით მარდად შეახვია მსხვილი პაპიროსი, ქარს მოეფარა, მოუკიდა და ათამაშებულ ზღვისკენ დინჯად გაიხედა. ოდნავ შეჭაღარავებულ თმაზე თავისი ძლიერი ხელი გადაისვა, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გულზე დაწოლილი სიმძიმე მოიშორაო, პირიდან პაპიროსი გამოიღო, ზღვას თვალი გაავლო და აუჩქარებლად დაიწყო მოყოლა.

დასახლებაზე მიმითითა და მკითხა:

— ხედავთ აგერ იმ სახლს? ზღვის პირას მერცხლის ბუდესავით რომ ჩანს? ამ ქოხში ერთი ქალიშვილი ცხოვრობდა მარტოდმარტო. ნადია ერქვა. მეზღვაურებმა კი ცისფერთვალება შეარქვეს.

კალიტა ცოტა ხანს დადუმდა, პაპიროსი მოქაჩა, ცისფერი კვამლი გამოუშვა და განაგრძო:

— ორმოცდაორ წელში სევასტოპოლელმა მეზღვაურებმა თავი მთებს შეაფარეს. სამმა დაჭრილმა კი მეცხრე დღეს აი იმ დასახლებამდე ძლივს მიაღწია. მათ კარგა ხანს უვლიდა და მკურნალობდა ჩუმი, თავმდაბალი გოგონა ნადია ლისანოვა. ძალიან სანდომიანი და ნათელი გამოხედვა ჰქონდა, მის ხმაში კი შინაგანი ძალა იგრძნობოდა.

— ეჰ, პარტიზანებთან მაინც მივაღწიოთ! — მოკლე ბუშლატის ღილები შეიკრა და ამოიოხრა შავგვრემანმა, ტანდაბალმა მეზღვაურმა ალექსეი გრანოვმა. მას კვერი დაუკრა ზაქრო ქედასელმა — ახალგაზრდა, შავთვალწარბა მეზღვაურმა:

— მომბეზრდა უსაქმოდ ყოფნა. დროა, ვიბრძოლოთ, ჩვენ ხომ მარქაფში არა ვართ...

— მოითმინეთ, ბიჭებო! — საუბარში ჩაება მესამე. ის ყველაზე უფროსი იყო მათ შორის, — აი, საბოლოოდ მოგვარჩენს ნადეჟდა და მერე...

...მომაგრებული ბიჭები ღამით ზღვაზე მიდიოდნენ და მხოლოდ განთიადისას ბრუნდებოდნენ.

ასეთ წუთებში მწიფე ყანისფერ თმებზე ხელს ისვამდა გოგონა და რაღაც იდუმალი სევდით უმზერდა მეზღვაურებს.

— რაზე დაღონდი, დაო? — ერთხმად ეკითხებოდნენ მეზღვაურები.

— თქვენ თვითონ იცით, — წყნარად მიუგებდა გოგონა და უჩუმრად იწმენდდა მლაშე ცრემლს. მასაც უნდოდა, ეხოცა ფაშისტები. რით იყო სხვაზე ნაკლები?

— კარგი, ნუ სტირი, — უთხრა მეთაურმა, — ჩვენთან ერთად იერიშზე იქნები.

მეთაურმა ეს დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა. ქალიშვილმა მადლიერების გრძნობით შეხედა, მის თვალებში არც შიში გამოკრთოდა, არც შეშფოთება, მხოლოდ სიხარული გამოსჭვიოდა. იმ დღის შემდეგ მის თვალებში მეზღვაურებს ცრემლი აღარ შეუნიშნავთ.

მეზღვაურებმა ცისფერთვალებას სამხედრო საქმის სწავლება დაუწყეს: ავტომატით სროლა, შენიღბვა, ყუმბარის ტყორცნა. როცა მეცადინეობა დაამთავრეს, მეთაურმა უთხრა, რომ ის, ებმება რა მებრძოლთა ოჯახში, ბრძოლის ველზე დაცემულ მეგობარს შეცვლის. მას კი მოთმინება არ ჰყოფნიდა.

როგორც კი ბინდი ჩამოწვა, მეზღვაურები პირველი საბრძოლო ოპერაციისათვის მოემზადნენ. რაზმს ფაშისტების იარაღის საწყობი უნდა აღმოეჩინა. ნადია მარქაფში რჩებოდა. ასე ბრძანა მეთაურმა.

დღისით მეზღვაურები საფარში იწვნენ, გზას უთვალთვალებდნენ. დრო ნელა გადიოდა. მხოლოდ მესამე დღეს, როცა ღრუბლებიდან მცხრალმა მთვარემ გამოიხედა, მოისმა ავტომანქანათა ძრავების შორეული ღუღუნი.

— გესმით? — ჰკითხა ქედასელმა მეთაურს.

— მესმის. როგორც იქნა!

ყუმბარებით დატვირთული ავტომანქანები გერმანელთა იარაღის საწყობისკენ მიემართებოდნენ. ისინი ერთმანეთის მიყოლებით ნელა მიიწევდნენ. ღამის სიბნელეში ჰიტლერელების ხმამაღალი ყვირილიც ისმოდა.

გვიან ღამით მეზღვაურები საწყობთან მიხოხდნენ. უხმაუროდ და სწრაფად მოხსნეს გუშაგი, ხელთ იგდეს ასაფეთქებელი მასალა და ტყვია-წამალი, საფუძვლიანად დაიტვირთნენ. ფრთხილად დაბრუნდნენ. გზადაგზა ორი დიდი ხიდი და მნიშვნელოვანი გზაჯვარედინები დანაღმეს.

ცისფერთვალება რატომღაც შინ არ დახვდათ. მეზღვაურები შეშფოთდნენ. მაგრამ ამაოდ შეუკრთათ გული. მათ ფეხდაფეხ მოჰყვათ გოგონა. თურმე მებრძოლთა შესახვედრად გასულიყო შინიდან.

მეთაურმა შეხედა მის გაცისკროვნებულ სახეს და მკაცრად გააფრთხილა, თუკი ეს თვითნებური საქციელი განმეორდება, სიკეთე არ დაგადგება და საყვედურს დაიმსახურებო.

მამაცურად და უშიშრად მოქმედებდა პატარა რაზმი. იგი მოუხელთებელი გახდა. ოკუპანტებში ხმა გავრცელდა, რომ ამ მხარეში მსხვილი პარტიზანული შენაერთი მოქმედებს გენერლის მეთაურობითო.

ერთ ღამეს მეზღვაურები ჩუმად მიხოხდნენ ფაშისტთა კომენდანტურის შენობასთან და ჰიტლერელებს ხელყუმბარები დააყარეს, მაგრამ შეუმჩნევლად თავი ვერ დააღწიეს, უთანასწორო ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა.

ლონემიხდილი ალექსეი გრანოვი ნავსაყუდელის გასწვრივ მიცურავდა. ფაშისტები ტყვიას სეტყვასავით აყრიდნენ. გრანოვი ზურგზე გადაწვა, სული რომ მოეთქვა და ცას შეხედა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ციმციმებდნენ, ალმასის თვლებივით ბრწყინავდნენ... ალექსეის კი ძალა ეცლებოდა და ეცლებოდა...

ფაშისტებმა ზღვისკენ დაახვეწეს ზაქრო ქედასელს. მეზღვაური მთელი სხეულით წამოიმართა, კბოდესკენ გაემართა და ზღვაში გადაეშვა...

მეთაური და ცისფერთვალებაღა დარჩნენ. მეთაურმა შეხედა ქალიშვილს და უბრძანა:

— აქაურობას გაეცალე! წადი! მე დაგიცავ!

მაგრამ ქალიშვილი არ დაემორჩილა. მიხვდა, რომ ამ საშინელ წუთებში სწორედ მასზე იყო დამოკიდებული მეთაურის სიცოცხლე.

ფაშისტებს სასწაულებრივ გადაურჩნენ. გვიან ღამით სამარქაფო მიწურში დაბრუნდნენ. ცისფერთვალებამ ჩინჩხვარითა და თივით გაუწყო საწოლი მეთაურს და ბუშლატიც წააფარა, წყაროს წყალი მოუტანა და საჭმელიც გამოუძებნა.

გვერდიდან არ მოშორებია, ჭრილობებზე მრავალძარღვას ადებდა, ნახევებით მალიმალ იარებს უხვევდა.

გადიოდა დღეები, მეზღვაური უექიმოდ და უწამლოდ მომჯობინდა. გოგონას მზრუნველობით თანდათან გამოკეთდა.

ერთხელ მეთაურმა ჩაციებით შეხედა ცისფერთვალებას და უთხრა:

— შენ აქ დარჩი. მე წავალ, პარტიზანებს მოვნახავ.

სიტყვა მისცა, რომ დაბრუნდებოდა და ცისფერთვალებას თან წაიყვანდა. ნადია თავის დაკვრით დაეთანხმა, მერე თვალებში ჯიქურ შეხედა.

— მოხვალ?

— მოვალ, ძვირფასო, მოვალ!

განთიადისას ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

ფაშისტების ფეხქვეშ მიწა იწვოდა. დღისით და ღამით არ ჰქონდათ მოსვენება. ყირიმელი პარტიზანები მტრის საწყობებს აფეთქებდნენ, სავუშაგოებს ანადგურებდნენ, სპობდნენ ჰიტლერელთა გარნიზონებს.

მეთაურმა მიაკითხა ცისფერთვალებას და რაზმში წაიყვანა. მალე გოგონა დასახლებაში დაბრუნდა, მეთაური კი რაზმში დარჩა. მეთაური რაზმს ჩაუდგა სათავეში, ქალიშვილი კი მათი მეკავშირე, მზვერავი გახდა.

ცისფერთვალება, ვინ იცის, სიცოცხლის დაუზოგავად რამდენჯერ შეპარულა რაზმში ძვირფასი ცნობებით! მთელი ეს მხარე სიგრძე-სიგანით მოიარა მზვერავმა. კარგად იცოდა ყველა აღმართ-დაღმართი, ყველა ბილიკი, ქვა და ხე.

მეთაურის დავალებით ცისფერთვალებას იალტაში თავისიანებთან კავშირი ჰქონდა დამყარებული, თავის დროზე აფრთხილებდნენ პარტიზანებს, როდის და სად გამოჩნდებოდნენ ფაშისტები.

ცისფერთვალება ყველგან ასწრებდა. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეეძლო, საიდუმლო ბილიკებით წაეყვანა რაზმი ტყის მიუგნებელ ჯურღმულებში.

რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, ვინ იცის, რამდენჯერ დაჭრილისათვის შეუხვევია იარა!..

ერთ შფოთიან დღეს იმ სახლის კარზე დააკაკუნეს, სადაც ქალიშვილი ცხოვრობდა. ნადიამ ფანჯრიდან მოჰკრა თვალი გერმანელ ობერ-ლეიტენანტს, მას სამი ესესელი ახლდა.

ცისფერთვალება განმარტოებით ჩასვეს საკანში, რომელიც გახურებულ პურის საცხობს ჰგავდა.

მესამე დღეს იგი უშიშროების სამსახურის ადგილობრივ შეფს, მაუერს მიჰგვარეს. ახლა, როცა ქალიშვილი მის ხელთ იყო, მაუერს შეეძლო, შეეტყო სად იმყოფებოდა პარტიზანული რაზმი, რამდენი მებრძოლი ჰყავდათ, გაეგო მეთაურის გვარი და რამდენი ტყვია-წამალი ჰქონდათ...

„როგორც კი ცნობებს შევიტყობთ, დაუყოვნებლივ ჩამოახრჩეთ," — ბრძანა მაუერმა.

ცისფერთვალება აუღელვებლად შეხვდა მაუერის მკაცრ და ზიზღით სავსე გამოხედვას. ამან აიძულა ქალიშვილი გულმაგრად ყოფილიყო.

მაუერმა თარჯიმნის საშუალებით მიმართა:

— უთხარით, რომ იგი ჯერ კიდევ ნორჩია, მან დიდხანს და ლამაზად უნდა იცხოვროს.

შეფმა ღვინო დაისხა, მოსვა, თან თვალს არ აშორებდა გოგონას. მერე გრძლად რაღაც წარმოთქვა. თარჯიმანი თავს უკანტურებდა.

— ბატონი მაუერი ამბობს, რომ თქვენ ქალაქში მზვერავად დაგტოვეს. იგი სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, თუკი პარტიზანებზე გვიამბობთ...

ცისფერთვალებამ გამშრალი ტუჩები სრულიად მშვიდად აამოძრავა:

— არასოდეს!

მაუერი წამოხტა და გოგონას გაცოფებული ეცა კისერში.

— თქვი!

— არასოდეს! — გაიმეორა გოგონამ.

ცისფერთვალებას დიდხანს აწამებდნენ, სცემდნენ მანამდე, ვიდრე გონებას არ დაჰკარგავდა, სტანჯავდნენ შიმშილით. გოგონა მთლად გაჭაღარავდა, მაგრამ ფაშისტებმა მისგან ვერაფერი შეიტყვეს.

ტანჯვით, წამებით მიდიოდა მძიმე დღეები. ჭრილობები დაუწყლულდა და დაუჩირქდა.

გოგონა ცდილობდა, არ ეტირა. არ უნდოდა ამით მტრისათვის თავისი სისუსტე ეჩვენებინა. ბევრი რამ აგონდებოდა, ბევრი რამ გაიხსენა იმ დღეებში: სკოლა, მეგობრები, მშობლები.

...ცრემლი სახეზე ჩამოუგორდა. არა, არ უნდა იტიროს! არა და არა! ამას ელიან ფაშისტები!

როგორ უნდოდა სიცოცხლე!..

1942 წლის 24 თებერვალს ღამით საკანის კარი მოულოდნელად გაიღო. რას ნიშნავს ეს: თავისუფლებას თუ სიკვდილს?

— გამოდი! — უბრძანა გესტაპოელმა.

ნადია ლისანოვა მიხვდა: თავისუფლებას არ უქადდა ეს ბრძანება. მწარე იყო სიცოცხლესთან განშორება. მან ხომ სულ ცოტა რამ გააკეთა სამშობლოსათვის!

განთიადისას სოლიამის მიჯნაზე, იალტის მახლობლად იგი დახვრიტეს.

• • •

...პეტრე კალიტას ხმა დახშულად გაისმოდა. მის თვალებში გამოუნელებელი სევდა მოჩანდა. იგი დადუმდა და ყური მიუგდო ზღვის ხმაურს.

ტალღები განუწყვეტლივ ეხეთქებოდნენ ნაპირს, შრიალებდა კენჭებში, შხეფებს მაღლა ისროდა...

— მეთაურის ბედი როგორღა წარიმართა? — ვკითხე მე.

— მეთაურისა? იგი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ არაფრით არ შეეძლო ცისფერთვალებას მიტოვება და სამუდამოდ აქ დასახლდა.

მივხვდი, რომ მეთაური, იგი, კალიტა იყო.

თარგმნა თენგიზ გოგოლაძემ.

# სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 60



**მზის სადიდებელი სიმღერა**

ჩვენო ძმებო და კარის მეზობლებო, საქართველოს დიდი მზის ნაწილია თქვენი ჩახჩახა მზე, თქვენს მზეს ვენაცვალე, ვაშა თქვენს გზას, დიდებით მოსილს.

შორიდან მოდიხართ და თვალნათლივ ვგრძნობ სურნელებას თქვენი დიდი მომავლისა. ძირძველი ხალხისათვის ახალი სამოცი წელი სამოცი ახალი გამარჯვებაა.

მე რომ ოსურ ცეკვას ვუყურებ, ახლად ვიბადები, მე რომ ოსურ სიმღერას ვისმენ, ტანში ჟრუანტელს მგვრის, მე რომ ოსი მეგობრის ლექსსა ვთარგმნი, საკუთარი მგონია.

მოვალ და ოსური ლუდით დაგლოცავთ, წამოვალ და „საკართანოსაც" გეტყვით, იქვე გავიხსენებ ჩემი ძმის, გიორგი ბესთაუთის ლექსს კოსტაზე:

„მთას გადაივლის, მთაზე დაღგება,
მთის ტოლი კაცი გაჰყურებს მერმისს,
მისი სიმღერა ღრუბლებს გასცდება,
მზის სადიდებელ სიმღერას მღერის".

გაუმარჯოს ოსი კაცის მზის სადიდებელ სიმღერას.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

**ისიდორ კოზათი**

## სიმაღლისაკენ

მამულის გზებზე ხან აქ ვარ, ხან იქ,
გულთან მოდიან მამულის გზები.
აქ ნაცნობია ხევიც და ხრამიც
და ტრამალებშიც მიელია გზნებით.
ვერ შემაშინებს მანძილი, დაღლა,
ჩემი მამულის სიკეთით ვთბები...
ალარც თბილ ლოგინს დავეძებ ახლა,
ჩემთვის რბილია მამულის მთები.
მათ გულისცემას ვგრძნობ და ვხალისობ,
ჩვენი გულები თანხმობით ბრწყინავს.
და არ მაშინებს დარი ხვალისა,
ვერც ქარი, თოვლი, ვერც მზე და წვიმა.
მთვარე, ვარსკვლავნი, მზე უკეთესი,
ჩემს დაღლილობას გზადაგზა ფანტავს.
მეპატიჟება კოცონთან მწყემსი,
მონადირენი მიყოფენ ნადავლს.
ჩემი ხომალდი მიჰყავს ჩემს სურვილს,
ვათვალიერებ ყველაფერს კდემით...
გნებავს? მიიღე, მამულო, სული,
გეცოდინება, რომ შენთვის ვკვდები!

თარგმნა ნოდარ ნარსიამ.

**რევაზ ასაევი**

## მრავალჟამიერ

თქვენთან მოვედი, თქვენს კართან
კვლავ ვდგავარ გაზაფხულივით,
სულს მუქად შემოემატა
ერთად ოცნების სურვილი.

იყოს მშვიდობა! სინათლე
გზას გიკვალავდეთ ამიერ,
თქვენი სიცოცხლე ვინატრე
და თქვენი მრავალჟამიერ!

მე თქვენი ბედნიერების
და სიხარულის წელი ვარ,
თქვენი დახნული მიწა ვარ,
თქვენი ფხიანი ცელი ვარ!

ბულბულის სტვენა-გალობის
უპირველესი ჰანგი ვარ,
თქვენს გზაზე თქვენი წყალობით
ია-ენძელად დავდივარ.

მე თქვენი ნაკადული ვარ,
ბუდე ვარ თქვენი მერცხლების,
წვიმა ვარ თქვენი ღრუბლისა,
ფეხებზე შემოგემცვრევით.

ხმა ვარ ჩანჩქერთა მსხვრევისა,
არწივად დაბადებული,
კვირტი ვარ განახლებისა
მზის ტოტზე თვალანთებული.

მე თავთუხების ღელვა ვარ,
ფრთები ვარ თქვენი ოცნების,
თქვენი იმედის ელვა ვარ,
ზეცას ქუხილად მოვწყდები.

თქვენი ვენახის ლერწი ვარ,
შაქრად ქცეული მტევანი,
მაჭრის ცინცხალი წვეთი ვარ,
თქვენს ქვევრში დაუტევარი.

ცეცხლი ვარ გარიჟრაჟისა,
ცრემლი ვარ წყაროს თვალისა,
შუქი ვარ ბრძნული აზრისა,
ნატვრა ვარ მომავალისა.

შრომაში შრომის ჰანგი ვარ,
ომში ბუკი და ნაღარა,
მე თქვენი სიზმარ-ცხადი ვარ
და თქვენი წმინდა ქადარა.

მე მწყემსის სალამური ვარ,
აკვნის ნანა ვარ წკრიალა,
მე თქვენი თბილი პური ვარ
და თქვენი რწმენის ფიალა.

შინმოუსვლელთა სუნთქვა ვარ,
სხივი ვარ მათი გზნებისა,
ვარ მათი ხვეწნა-მუდარა
და ცეცხლი უკვდავებისა.

ვარ კურთხეული სიმღერა
თქვენი ნათელი გზებისა,
ნატვრა ვარ ასახდენელი
კეთილი წინაპრებისა.

სიხარული ვარ მე თქვენი,
მე მტკივა თქვენი ტკივილი,
მე თქვენ ლაშქარში გეთვლებით,
მე თქვენ გამზარდეთ შვილივით.

თქვენი ვარ, თქვენი ჯიშის ვარ,
თქვენი გულის და სახისა,
ხალხისა ვარ და ვიქნები,
სისხლი ვარ ჩემი ხალხისა.

თქვენთან მოვედი, თქვენს იქით
სხვა გზა არა მაქვს ამიერ,
თქვენი დიდება ვინატრე
და თქვენი მრავალჟამიერ!

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა.

**კოსტა მარგიევი**

## ცეცხლოვანი სიტყვები

„ვიღუპებით, მაგრამ არ ვნებდებით.
ნაზრახ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნია!" —
ასეთი ქართული წარწერა წავიკითხე ქერჩის
ახლოს, აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოების
კატაკომბებში.

ვინ დაწერა ეს სიტყვები, ნეტავი?
ნეტავ, ახლა ის ქართველი სად არი?
იქნებ, მტრის გზის მკერდით გადამკეტავი
დაიფერფლა ომის ცხელი ლადარით.
მშობელ სოფელს დაუბრუნდა ეგების
თბილი კერის შვილიცა და პატრონიც,
გაუღიმა ცისკარს მზისფრად შეღებილს
და შეუყვა მინდორს თავის ტრაქტორით.
ვერას ვიტყვი. ჯარისკაცი სიმართლის
გულით წერდა ამ სტრიქონებს ცეცხლოვანს,
ძარღვში ედგა სისხლი გმირი წინაპრის
და სხვაგვარად არც შეეძლო, ეცხოვრა.
ქერჩის ახლოს ბნელი კატაკომბები...
ხუთთვიანი ბრძოლა უთანასწორო...
მიწას ციდან ასკდებიან ბომბები —
ცეცხლის ზვავი გულით უნდა აწონო.
ძმებთან ერთად ქართველკაცი ზვიადი
ძირს არ ხრიდა საარწივოდ გაშლილ ფრთებს,
ვერ აკრთობდათ შიმშილი და წყვდიადი...
მოსვენებას არ აძლევდნენ ფაშისტებს.
სისხლიანი პერანგები — დროშები
ხელში დილის გარიჟრაჟად სჭერიათ.
მათთან ერთად იქნებოდნენ ოსებიც,
სადღაც მათი სახელებიც წერია.
ფარნით დავალ უგრძეს სამტეხლოებში,
მაგრამ, ჰოი, სად არიან ისინი...
ნუთუ ჩემი ძახილი არ მოესმით,
გათანგულებს წყურვილით და სიცივით?!
ამ საშინელ ჯურღმულების ხიზნები
აქ ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ და კვდებოდნენ.
არ ყოფილან მორჩილები მტრის ნების,
თვით სიკვდილსაც ვაჟკაცურად ხვდებოდნენ.
ნაკვერჩხლებად ულვიოდათ თვალები,
განა ქარში სანთლებივით ქრებოდნენ,
ჯოჯოხეთურ ტანჯვის გადამტანები
მუდამ ქვეყნის ერთგულებად რჩებოდნენ.
ვიცი, როგორც სხვა შვილები ქვეყნისა,
აქ იბრძოდა შვილიც საქართველოსი,
ნეტავ, იმ კაცს შინ მისვლა თუ ეღირსა,
ნახვა მშობელ ველისა და მდელოსი?!

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.





# ოჯახი — სახელმწიფოს საფუძველი

**მამუკა ასლანიკაშვილი,**
საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

„სწრაფად ჩავიცვამდი ხოლმე და ფეხშიშველი, უჭმელი მამას მივსდევდი. თუ ხელსაც ჩამჭიდებდა, ამაყად მიმოვიხედავდი, ხომ ხედავთ, რა დიდი გავიზარდე, უკვე ქარხანაში მივდივარ-მეთქი".

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს საოცარი ლირიზმით გამთბარი სტრიქონები ბევრ რამეს გვეუბნებიან, გვასწავლიან. მამა-შვილის ამ თითქოსდა უბრალო დამოკიდებულებაში, ახალგაზრდა ადამიანის მთელი სულიერი და მოქალაქეობრივი სამყაროა ჩამოყალიბებული, რომლის უშრეტ საზრდოს ოჯახი წარმოადგენს. სწორედ ოჯახი ზრდის მომავალ მოქალაქეს, უნერგავს მას ცხოვრებისადმი, საზოგადოებისადმი დამოკიდებულების თვისებებს.

ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით მშრომელებთან შეხვედრებისა და გულახდილი დიალოგების დროს, სადაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ორი მიმართულება:

**პირველი** — სათანადო პოპულარიზაცია არ უკეთდება მაღალიდეური, ზნეობრივი და შრომითი ტრადიციებით გამორჩეულ ოჯახებს.

**მეორე** — კონტროლს მოკლებული ოჯახები, რომლებიც ჩვენს იდეურ-ზნეობრივ მორალთან შეუთავსებელი ცხოვრებით ცხოვრობენ, ზოგჯერ არათუ საზოგადოებაში იმკვიდრებენ ადგილს, არამედ მიბაძვის ობიექტები ხდებიან. ასეთი ოჯახიდან საზოგადოება, უმეტეს შემთხვევაში, არასრულფასოვან შევსებას იღებს.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, ბიუროებსა და კრებებზე სხვადასხვა ასპექტში განხილულმა ოჯახების ანგარიშებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა ამ პრობლემის აქტუალობაში, მიგვანიშნა, თუ როგორ, რა გზით გაგვეძლიერებინა პარტიული ზეგავლენა ეგრეთ წოდებულ ძნელ კატეგორიებთან. ასე გაჩნდა პასუხისმგებლობის ფენომენი — ოჯახისა მოზარდი თაობის მიმართ და მოზარდი თაობისა — მშობლებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა საოჯახო პრობლემების საკოორდინაციო კომისია, რომელმაც ხელში აიღო ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, პასუხისმგებლობის ამაღლების, მშობელთა პედაგოგიზაციისა და ოჯახების დახმარებისათვის მუშაობის ხელმძღვანელობა.

მთელი ეს საქმიანობა დაეყრდნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრიგადის დახმარებით დამუშავებულ პერსპექტიულ კომპლექსურ გეგმასა და დებულებას. ამავე ბრიგადამ, ჩვენი თხოვნით, ძირფესვიანად შეისწავლა და გაანალიზა რაიონში არსებული მდგომარეობა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ახლახან მიღებულ დადგენილებას: „ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ". ეს დადგენილება საპროგრამო დოკუმენტი გახდა მთელი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბ-

ქოს დახმარებით, საზოგადოებრივ საწყისებზე არსებულ მშობელთა საზოგადოებას დღეს უკვე გააჩნია იურიდიული საფუძველი. საოჯახო პრობლემების საკოორდინაციო კომისიასთან შეიქმნა სამი სექტორი — შესაბამისი საშტატო ერთეულებით. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენს მუშაობაში დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი, რომელიც მოითხოვს სისტემატურობას, კომპლექსურობას, ეპიზოდურობისა და ფორმალიზმის გამორიცხვას, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების ძირფესვიანად გარდაქმნას.

პირველი, რაც გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, გახლავთ ის, რომ აღნიშნული საკითხი გავხადოთ რაიკომის პლენუმის მსჯელობის საგნად. პლენუმის მზადების პერიოდში შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად მოვიწვევთ მეცნიერ-სპეციალისტებს, მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიებს, რაც საშუალებას მოგვცემს ისეთნაირად მოვუყაროთ თავი ყველა საკითხს, რომ პლენუმზე მიღებულმა პროგრამამ მთლიანად მოიცვას ამ პრობლემის არსი და ყველა ასპექტი.

დღემდე ჩატარებული მუშაობა გარკვეულ საფუძველს გვაძლევს, რომ ჩვენ შევძლებთ მიზნობრივად გამოვიყენოთ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემული მითითებები და დასკვნები. მუშაობის კომპლექსურობაში ხელს გვიწყობს ისიც, რომ გასულ წელს, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის შეიქმნა რაიონული საკოორდინაციო საბჭო. ჩამოყალიბდა 22 მიკრორაიონი და მათი შესაბამისი საზოგადოებრივი საბჭოები. ამ საბჭოების შემადგენლობაში, სხვა სექციებთან ერთად, შედის ოჯახური პრობლემების, ახალგაზრდობასთან, ბავშვებთან და მოზარდ თაობასთან აღმზრდელობითი მუშაობის სექცია.

რაიონში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მშრომელთა პედაგოგიზაციას. სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან შეიქმნა მშობელთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები. ტრადიციად ვაქციეთ ღონისძიებები: „ორდენი ჩემს ოჯახში“, „ხუთწლედი ჩემს ოჯახში“; ახლახან დავნერგეთ კიდევ ერთი ფორმა — „ჩემი ოჯახის ბიოგრაფია“. სასოფლო საბჭოების მიხედვით კეთდება ფოტოსტენდები მაღალზნეობრივ ოჯახებზე, საკოლმეურნეო შრომის დინასტიებზე. გაკვეთილის დაწყების წინ მასწავლებელი კლასს აცნობს — რომელი მოსწავლის დედა ან მამა გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, გახდა წარმოების ნოვატორი, ორდენოსანი, გმირი და ასე შემდეგ.

ანალოგიური ხასიათის ღონისძიება ტარდება საწარმოებში... მოსწავლეებს არდადეგების პერიოდში მიეცათ დავალება, შეადგინონ დღიური, სადაც აღწერენ მშობლებთან (განსაკუთრებით მამებთან) ურთიერთობას: რამდენჯერ იყვნენ მშობლებთან ერთად კინოში, თეატრში, სპორტულ ღონისძიებებზე, მონაწილეობდნენ თუ არა საკოლმეურნეო შრომაში, ქალაქისა და სოფლის კეთილმოწყობაში. ზაფხულის პერიოდში გათვალისწინებულია ქალაქის პიონერულ ბანაკსა და სოფელ სვირში სპეციალურად მოწყობილ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ბანაკში დავასაქმოთ უდედმამო, ძნელად აღსაზრდელი, „რთული“ ოჯახების ბავშვები...

მეტად საინტერესო იყო ქარხანა „საქკაბელის“ კლუბში მშრომელთა შეხვედრა საშეფო სკოლების წარმომადგენლებთან, სადაც პედაგოგები და მოსწავლეები გაეცნენ საინტერესო ადამიანებს, მათ მისაბაძ ცხოვრებას.

ასევე სასარგებლო გამოდგა შორაპნის რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლის მშობელთა საზოგადოების გასვლითი სხდომების ჩატარება ქარხანა „ელექტროელემენტში“. აქ სკოლის ადმინისტრაცია, კლასის ხელმძღვანელი მასწავლებლები, მშრომელთა საზოგადოების წევრები სამუშაო ადგილზე შეხვდნენ მშობლებს, გაეცვნენ სტენდს „ოჯახი, სკოლა, წარმოება“.

ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს ფეროშენადნობთა ქარხანაში, სადაც ტრადიციად იქცა კომკავშირული, „ვერცხლისა“ და „ოქროს“ ქორწილების გადახდა.

ქართული ანდაზა ამბობს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“. ამ მრავლისმთქმელ გამოთქმაში კარგად ჩანს ოჯახის როლი შვილების აღზრდის საქმეში. მართლაც ოჯახი ქვეყნისთვის ოდითგანვე ერის ძლიერების წყაროდ ითვლებოდა. მიუხედავად ათასი ჯურის დამპყრობთა შემოსევისა, ქვეყანა მაინც მტკიცედ იდგა, ერი მაინც ცოცხლობდა. ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, ოჯახის, მისი მორალური სისპეტაკის და სიძლიერის დამსახურებაცაა. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება დღეს ოჯახს. თანამედროვე ოჯახი, რომელიც თითქოსდა ყველაფერს ჩვეულებრივად აკეთებს, შრომობს პატიოსნად, საქმის ერთგულებით, ზრდის შვილებს და იგი უპირველეს მოვალეობად მიაჩნია. თანამედროვე ოჯახი ისეთივე დიდ სამსახურს უწევს სამშობლოს, როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილი ისტორიული ოჯახი.

გასულ წელს რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოვისმინეთ სოფელ ზედა საქარაში მცხოვრები პენსიონერი პედაგოგის, კომუნისტ შურა ბუხრაშვილის ანგარიში. იგი კარგი დედა, პედაგოგი და მეურვე გახლავთ. მან ჯერ კიდევ ორი წლის წინ საკუთარი ინიციატივით მოაწყო „საოჯახო ფერმა“. ბიურომ მოიწონა შ. ბუხრაშვილის გამოცდილება და მთელ რაიონში განაზოგადა იგი. მასზე სპეციალური ფილმი გადავიღეთ, გამოვეცით ბიულეტენი, საუბრები ჩავატარეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. ჯერ სოფელ ზედა საქარის საშუალო სკოლის სადამრიგებლო კლასის 19-მა მოსწავლემ მიბაძა თავის მასწავლებელს, შემდეგ ასევე მოიქცა სოფელ ქვედა საზანოს 1-ლი საშუალო სკოლის მთელი VIII კლასი. ნოვატორ ქალს დღეს მრავალი ათეული მიმდევარი ჰყავს. აი, თითქოსდა ასე უბრალოდ წარმოიშობიან ხუთწლედის გმირები, ასე ეყრება საფუძველი კარგ თაოსნობას. პარტიამ და მთავრობამ დააფასა შ. ბუხრაშვილის ღვაწლი. იგი დღეს „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერია.

დიდი პედაგოგი ა. მაკარენკო წერდა: „ერთადერთი სწორი და ნამდვილი საფუძველი ბავშვთა სწორი აღზრდისათვის, მშობელთა ცხოვრება და მუშაობაა; მათი მოქალაქეობრივი სახე მათი საქციელია; როცა მშობლები საერთო საქმეს ერთგულად ეკიდებიან, როცა გულწრფელად აინტერესებთ თავიანთი ბავშვების ბედი და გონივრულად ერკვევიან მათ ცხოვრებაში, საქმე სწორედ მაშინ მიდის წინ“. ამ მოსაზრების ჭეშმარიტებას ნათლად ვხედავთ სოფელ კვალითში მცხოვრები გაბრიჭიძეების ოჯახის მაგალითზე.

გაბრიჭიძეების ძირძველი ოჯახი სამინუშოა რაიონში თავისი წევრების მაღალი იდეურობითა და პოლიტიკური წრთობით. უაღრესად აქტუალური ცხოვრებისეული პოზიცია — აი, ამ ოჯახის კრედო. მისი ყველა წევრი ჩაბმულია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ან სწავლობს უმაღლეს, საშუალო და საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში.

ოჯახის მდიდარმა ტრადიციებმა განაპირობა აქ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, მავნე წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების სრული აღმოფხვრა. ოჯახში 10 კომუნისტია, 14 კომკავშირელი. თითქმის ყველა ოჯახის წევრი არჩეულია პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში. 60 შთამომავალი, მათ შორის 3 მეცნიერებათა კანდიდატი, 14 პედაგოგი , 4 ექიმი, 6 ინჟინერი, კოლმეურნეები, მუშები, მოსწავლეები, — აი, გაბრიჭიძეების „ოჯახური ანკეტის“ მონაცემები. ოჯახის გამოცდილების შესახებ გამოვეცით სპეციალური ბიულეტენი, გამოვაქვეყნეთ ოჯახის წევრების მიმართვა რაიონის ყველა ოჯახისადმი. ასეთი ოჯახები მრავლად გვყავს და პარტიის რაიკომს გადაწყვეტილი აქვს, კვლავაც გააგრძელოს ბიუროს სხდომაზე მათი ანგარიშების მოსმენა.

უახლოეს ბიუროზე ჩვენ მოვისმენთ შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის“ შრომითი დინასტიების ანგარიშებს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის № 1 საშუალო სკოლის ერთ-ერთი კლასის მოსწავლეები პირველნი გამოეხმაურნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილს ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მოსწავლე ახალგაზრდობისადმი და ინიციატივა აიღეს, სწავლა განაგრძონ ქალაქ ზესტაფონის № 144 ტექნიკურ სასწავლებელში, ხოლო სოფელ ქვედა საზანოს საშუალო სკოლადამთავრებულთა ერთი კლასი კოლმეურნეობაში სამუშაოდ დარჩება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად გაწეული მუშაობის ანალიზმა დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ გაგვაჩნია სერიოზული ნაკლოვანებები, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული ახალგაზრდობის ფორმირების საქმეში ოჯახის როლის ამაღლებისათვის კომპლექსური მიდგომის მეთოდები და ფორმები. ამ კუთხით სექციების მუშაობა ვერ უზრუნველყოფს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ზეგავლენისა და დახმარების გააქტიურებას ეგრეთ წოდებული „რთული ოჯახების“, მრავალშვილიანი და მომუშავე დედების, ახალგაზრდა ოჯახების შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის პოლიტიკური და იდეურ-ზნეობრივი აღზრდის მიზნით ჩატარებულ მუშაობას ჯერ კიდევ არ აქვს სისტემატური ხასიათი.

# მტკვრისა და ლიახვის შესართავთან

ნარკვევი

ალექსანდრე ტაბატაძე

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებას დღეს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. ეს არცაა გასაკვირი — აქ გამოშვებული ბამბის ქსოვილები საბჭოთა კავშირის 250-მდე სავაჭრო და სამკერვალო ორგანიზაციებს ეგზავნებათ. მტკვრისა და ლიახვის შესართავთან ამ ოცდათერთმეტი წლის წინ ამუშავებული პირველი სართავი მანქანების ხმა დღეს გიგანტური საწარმოს გუგუნადაა ქცეული.

ოცდაათი წლის მანძილზე გორელ ფეიქრებს ბევრი წარმატებაც ახსოვს და წარუმატებლობაც. მაგრამ არასოდეს დაუკარგავთ რწმენა მომავლისა და სიძნელეების ჟამსაც შეუნარჩუნებიათ არჩეული პროფესიისადმი ერთგულება და სულიერი სიმტკიცე. ასეთი სიძნელეების წინაშე იდგნენ ისინი უკანასკნელ წლებშიც, რაც ძირითადად საწარმოს მოწყობილობათა მოძველებითა და სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული. დღის წესრიგში მწვავედ იდგა პირველი სართავ-საქსოვი საწარმოს გაფართოების საკითხი. მოხდა ისე, რომ სართავ და საქსოვ საამქროებში დაიდგა ახალი მაღალმწარმოებლური მანქანები და დაზგები, ხოლო მოსამზადებელი საამქროს სიმძლავრე უცვლელი დარჩა. ამის გამო იგი ნახევარფაბრიკატით ვეღარ უზრუნველყოფდა სართავ საამქროს, ეს უკანასკნელი საქსოვ ფაბრიკას ვერ აწვდიდა საჭირო რაოდენობის ძაფს. სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ციკლებით მეტსა და მაღალი ხარისხის ნედლეულს. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი გაერთიანების მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს როგორც რესპუბლიკისა და საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ. რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ბევრი რთული საკითხი გადაწყდა მათი მეშვეობით.

მანქანა-დანადგარების განახლება მიმდინარეობს მთელს გაერთიანებაში. გამომყვან ფაბრიკაში, მაგალითად, დამონტაჟდა და მწყობრში ჩადგა ქსოვილის ახალი საშრობი ხაზი, სამერსერიზაციო, სამღებრო და საწუნმდებლოსაზომი მანქანები, მონტაჟდება ახალი საბეჭდი მანქანა და სხვა. ამავე ფაბრიკაში ამ ცოტა ხნის წინ აითვისეს საბეჭდი მანქანის დოლზე კირზის დაწებოების ახალი მეთოდი, რომელმაც ფაბრიკის კოლექტივს საშუალება მისცა, ყოველწლიურად გამოუყენებელ ნაჭრებად გადაქცევას გადაარჩინოს 25 ათასი მეტრი მზა ქსოვილი.

მართალია, სამუშაოები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, უკვე იძლევა თავის შედეგს. მაგალითად, თუ ერთი ძველი მოდელის სავარცხნი მანქანა საათში იძლეოდა 3-5 კილოგრამ ლენტას, ახალი მანქანა იძლევა 8-10 კილოგრამს. ეს ცოტა როდია. ან შრომის მექანიზაციისათვის გაერთიანებაში დიდი მუშაობა ჩატარდა და კვლავ ტარდება. განსაკუთრებით რთული პირობები იქმნება საქსოვ საამქროებში ზაფხულობით — ტემპერატურა 38-40 გრადუსამდე ადის. ამას ემატება მაღალი ტენიანობა, ხმაური... აი, სწორედ ამ სირთულეების შემსუბუქებას ისახავს მიზნად უხმაურო საქსოვი დაზგების დამონტაჟება. ხოლო სამაცივრო-საკომპრესორო სადგური, რომლის მშენებლობაც ამჟამად მიმდინარეობს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საამქროებში კლიმატურ პირობებს. პირველ საქსოვ საამქროში, მაგალითად, უკვე დამონტაჟებულია ახალი კომპრესორები, რომლებიც ხსენებული სადგურის გაშვების შემდეგ საგრძნობლად გააადვილებს ტემპერატურის რეგულირების საქმეს.

ჩვენ ბევრი რამ ვთქვით ტექნიკის სიახლეებზე. მაგრამ ყველაზე საუკეთესო ტექნიკაც არაფერს მოგვცემს, თუ ის გონიერი, საქმის მცოდნე ადამიანის ხელში არ აღმოჩნდა. სწორედ ასეთი ადამიანები ემსახურებიან იმ ახალ დაზგებს და მანქანებს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. გაერთიანებაში ძალიან ბევრი ხელგაწაფული მრთველი და მქსოველი მუშაობს — ისინი, ვინც საწარმოს ამოქმედების პირველივე დღეებიდან მოვიდნენ და ისინიც, ვინც სულ რამდენიმე წლის წინ ჩადგნენ ამ მრავალათასიანი კოლექტივის რიგებში. გორე-



სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარინე ალბუთაშვილი.

ამ საკითხის გადაწყვეტას. ზემდგომი ორგანოების აქტიური ჩარევის შემდეგ, 1980 წლიდან, დაიწყო მოსამზადებელი საამქროს გაფართოება. კერძოდ, დამხარისხებელი საამქროსა და ცენტრალური სამაცივრო-საკომპრესორო სადგურის მშენებლობა. პარალელურად გაერთიანების ხელმძღვანელობამ დაიწყო მოსამზადებელ საამქროში ახალი მანქანების დამონტაჟება. თვეების მანძილზე ერთად მუშაობდნენ მშენებლები და ფეიქრები. მათ მხოლოდ ბრეზენტის კედელი ჰყოფდათ. ახალი მანქანების დამონტაჟებამდე ძველ მანქანებს ამუშავებდნენ, რითაც ერთგვარად შემცირდა პროდუქციის დანაკარგები. ახლა ბევრი ახალი მანქანა უკვე მუშაობს, ძალას იკრებს რეკონსტრუქციით „დაზარალებული“ საამქრო.

— დიდი სიძნელეები უკვე დაძლეულია, — ამბობს გაერთიანების გენერალური დირექტორი ვახტანგ ხინჩიკაშვილი — ახლა მთავარია, გორის № 9 სამშენებლო ტრესტის მშენებლებმა სიტყვა არ გატეხონ და ივნისის ბოლოსთვის დაამთავრონ მიშენების სამუშაოები, რათა მწყობრში ჩავაყენოთ ახალი დამხარისხებელი საამქრო. ამის შემდეგ წელში გაიმართება სართავ-საქსოვი საწარმოები, ისინი მიიღებენ გაასეთი მაგალითი: თუ გასული წლის მარტის თვეში სართავი საამქრო უშვებდა 4-5 ტონა ძაფს, წელს მარტის თვეში მიღებულ იქნა 5-6 ტონა.

ახალი, მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარების დამონტაჟებამ და გაშვებამ, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ განაპირობა საბოლოო შედეგები — საწარმომ თავი დააღწია ჩამორჩენას. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 356 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 301 ათასი მანეთის პროდუქცია. ასევე წარმატებით შესრულდა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც.

სიკეთე დაეტყო პროდუქციის ხარისხსაც. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გორელი ფეიქრების მიერ გამოშვებული 4 მილიონ 400 ათასი მეტრი ქსოვილიდან 32,1 პროცენტი ხარისხის ნიშნიანია, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს გასული წლის ამავე პერიოდის დონეს.

ეს დარგი, მართალია, მსუბუქი მრეწველობის სახელს ატარებს, მაგრამ არცთუ მსუბუქი და იოლია ფეიქრის ჯაფა. სწორედ ამიტომ შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ხელით ლი ფეიქრები, ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, საგულდაგულოდ ემზადებიან საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. უკეთესთა შორის უკეთესნი არიან გივი მეგრელიშვილი და ნინა ჯეირანოვა, ჟუჟუნა ლომიძე და ეკატერინე ქურდაძე, ნელი გელდიაშვილი და მანია ხუბაევა... ისინი უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის უკანასკნელი წლის ანგარიშში მუშაობენ. ხოლო სახელგანთქმული მრთველის მარინა ალბუთაშვილის კალენდარზე 1988 წელია!

* * *

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ფლაგმანია. მის შრომით შედეგებზე ბევრად არის დამოკიდებული ამ დარგში რესპუბლიკური მაჩვენებელი. ეს კარგად ესმით გორელებს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ დიდ საქმეში.

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ ის თვალსაჩინო ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საწარმოს მასშტა-

## ტაგუ მებურიშვილი

* * *

რა დიდი დღეა! აღარც კი მახსოვს,
როდის გათენდა, როდის...
და სიხარულის ცრემლია ნუთუ,
თვალთ ლაპალუპით რომ სდის.
აღარც კი მახსოვს, როდის გათენდა,
დღე წელიწადად იქცა...
დავნავარდობდი ზღვასა და ცაში,
აქ ზღვა მეძახდა, იქ — ცა.
ადექი! ახლა სხვა მხრისკენ გაჰყევ
ოცნების ნავს თუ ხომალდს,
ბედნიერების კალთაში დიდხანს
არ შეიძლება ჯდომა.

### არ თქვა მეორედ

ნუნუნს უკელი, თუ ღმერთი გწამს, ნუნუნს უკელი,
არ გამაგონო: რა სანუკველ, რის სანუკველი.
არ თქვა მეორედ: რომ არ გჯერა თავის თვით შენის,
რომ შენ და რწმენა სამუდამოდ გაითიშენით.
ვერ გშველის კაცი? ძმაო ჩემო, ზენა გიშველის.

რაო? თვით ბედმა გაგიმეტა, არ გაგიტანა?!
მაშინ თვითონვე უნდა იქცე ღმერთად, ტიტანად.

* * *

სოფელში რომ წამოვალ, (ნატვრა მინავლებულა), —
დედავ, არ ავუჩქარებ ნაბიჯს წინანდებურად.
აღარ მყავხარ, შენს გარდა, შუადღით თუ საღამოს,
ჩემი თავი ოხერი სოფლად ვის მივახარო.
ჩვენი ოდის ბანიდან, ცას კი არა უძიროს,
ცრემლიანმა, დედავ, შენს საფლავს უნდა ვუცქირო.

### რომ დამენახა

მებურიშვილო იპოლიტე, — ბაბუავ ჩემო,
გეფინა მკერდზე თეთრი წვერის ბამბურა ჩერო.
ჭკუიდან რომ მშლის, შვილიშვილი, — ბიჭი ტალიკა,
მე ახლა ვხვდები გყვარებივარ თურმე რარიგად!
ღმერთმა მაღალმა მე ბაბუად მშობა ხელახლა,
ჩემდამი შენი სიყვარული რომ დამენახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თუ სხვას ვერაფერს ვერ გაგიკეთებ

მე მალე შევალ ისეთ ასაკში,
რომ ზმანებულიც აწ და მარადის
დამეჯერება. ვიტყვი რასაც კი,
იქნება ნაღდი და ჭეშმარიტი.

რაც თავი მახსოვს, ნინოს ნათლულო,
შენი ხმით ვმღერი, მაგ ფრთებით ვფრინავ.
მაინც ვერ გეტყვი, რომ უსათუოდ
საშენო ომში მოვკვდები გმირად.

ეგებ მტერს მედგრად ვერ დავხვდე ტიალს,
რომ განგმირული ვარდებით მომრთონ...
მე არ მომხვდება ზურგიდან ტყვია
და შენც წინასწარ ნურაფერს მომთხოვ.

ერთში ვიქნები მართალი ცამდე:
მოყვასს გავუწვდი ამ ხეს, ამ ხელებს...
შენს შვილს და ჩემს ძმას თუ შევხვდი სადმე
წაქცეულს, ფეხზე წამოვაყენებ.

ერთშიც მერწმუნე: შენად და ჩემად
არ გამიყვია მწარე და ტკბილი...
მე არ ვიგემებ იმნაირ ტყემალს,
რომ შვილიშვილებს მოჰკვეთოს კბილი.

ბების გაზრდისათვის. მხედველობაში გვაქვს სამი ფილიალის გახსნა — საქსოვი საამქროების ამუშავება სოფელ ატენში, სოფელ ბორითში და ქალაქ ახალციხეში. გაკეთდა უდაოდ კარგი საქმე. ჯერ ერთი, ამან გაზარდა პროდუქციის წარმოება, მეორეც, ადგილებზე დასაქმებულ იქნა გამოუყენებელი მუშახელი.

ასე რომ, გორელი ფეიქრების წინაშე დიდი და ნათელი პერსპექტივებია. ასე სწამს აქ ყველას, — ხელმძღვანელებს და რიგით მუშებს, რომლებსაც შევხვდით და ვესაუბრეთ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ყველა სიძნელე დაძლეული იყოს და გადასაწყვეტი საკითხი აღარ იდგეს გაერთიანების წინაშე. სულაც არა. მტკივნეული საკითხები კვლავ არის და ისინი ელიან გადაჭრას. მოვუსმინოთ თვით ფეიქრებს:

**ივანე პოზოვი**, გაერთიანების მთავარი ინჟინრის მოადგილე — ისეთი მსხვილი საწარმოსათვის, როგორიც ჩვენია, ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ საათში ჩვენთან იმდენი პროდუქცია იქმნება, რამდენის შექმნაზეც ქალაქის ზოგიერთი საწარმო რამდენიმე დღეს მუშაობს. ამიტომ სულ მცირე გაუთვალისწინებელ შეფერხებასაც კი დიდი ზარალი მოაქვს. სამწუხაროდ, ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტის გამო ასეთ მოცდენებს ზოგჯერ კვლავ აქვს ადგილი, რასაც, ცხადია, პროდუქციის დანაკარგები მოსდევს. უფრო მეტიც, ელექტროენერგიის გამორთვისას ზემოთ ხსენებულ 3რ ახალ საქსოვ დაზგაზე ხდება მისაქსელის ძაფების მთლიანი ჩაწყვეტა. ელექტროენერგიის მიღების შემდეგაც მათ გადაბმაზე დიდი დრო იკარგება...

**ნოდარ ღვინიაშვილი**, გაერთიანების მთავარი ენერგეტიკოსი — ჩვენ ელექტროკვებას ვიღებთ რაიონის ქვესადგურიდან — ჩართული ვართ ავტომატურ ტრანსფორმატორზე. ეს კი ხშირად იწვევს ავარიას. გარდა ამისა, 30 წლის წინ ჩაწყობილი ჩვენი ელექტროკაბელები საკმაოდ მოძველებულია. დაზიანების შემთხვევაში ჩვენ მათ აღვადგენთ პრიმიტიული წესით (სამონტაჟო მასალების უქონლობის გამო), რაც არასაიმედოა. 1983-84 წლებისთვის გათვალისწინებულია ღონისძიებების განხორციელება ამ საკითხის მოსაგვარებლად, მანამდე კი ზომები უნდა იქნეს მიღებული დაზიანებული კაბელების უფრო საიმედოდ აღდგენისათვის.

**არსენ რიჟამაძე**, გამომყვანი წარმოების დირექტორი — ჩვენს ფაბრიკაში ერთი წლის წინ დავამონტაჟეთ ავტომატური გრავირების მანქანა (ქსოვილების მოსახატავად საჭიროა დიდი რაოდენობის ლითონის ლილვების გრავირება შესაბამისი სურათებით). ასეთი მანქანა ბევრ საწარმოს როდი აქვს. იგი 15 კაცს სცვლის. მაგრამ, სამწუხაროდ, მას ვერ ვიყენებთ, რადგან არ გაგვაჩნია ამ საქმისათვის აუცილებელი სპეციალური სახარატო დაზგა. ასეთი დაზგა საკავშირო მინისტრის ბრძანებით დიდი ხანია გამოყოფილი გვაქვს, მაგრამ ფიზიკურად დღემდე ვერ მივიღეთ.

**ნანული გაჩეჩილაძე**, № 1 სართავ-საქსოვი წარმოების მუშა — მე-16 წელია აქ ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებ. აღზრდილი მყავს 20-მდე ფეიქარი. უკანასკნელ ხანებში ჩვენი შრომის პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჯერ კიდევ მოთხოვნების დონეზე ვერ დგას მუშათა სასადილოების საქმიანობა. იქ ხშირად ერთფეროვანი, დაბალი ხარისხის კერძები მზადდება.

**მანანა ტლაშაძე**, № 1 სართავ-საქსოვი წარმოების კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი — ჩვენი საწარმო ძირითადად ახალგაზრდულია. ისინი მართლაც გმირულ შრომას ეწევიან. მაგრამ გამრჯე შრომის შემდეგ ახალგაზრდობას კარგი დასვენებაც უნდა. ჩვენი ძველისძველი კლუბი კი ამის საშუალებას არ იძლევა. კლუბში კაცს ჯერ შესვლა უნდა სიამოვნებდეს, მერე კი — იქ ნანახი და განცდილი. ათ წელზე მეტია, მიმდინარეობს ფეიქართა კულტურის სახლის მშენებლობა. მისი დამთავრების დაჩქარებაზე არსებობს ზემდგომი ორგანოების ბევრი მითითება, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა. ამჟამად მშენებლობა მთლიანად შეჩერებულია. ეს კი ყველა ახალგაზრდას აწუხებს და აღელვებს. და კიდევ ერთი საკითხი: რამდენიმე წლის წინ ფეიქართა დასახლების დასუფთავების საქმე ქალაქის დასუფთავების კანტორას გადაეცა. ვფიქრობდით, რომ ეს ღონისძიება მდგომარეობას გააუმჯობესებდა. მაგრამ მოხდა პირიქით. ახლა უფრო ხშირად შეხვდებით დაუსუფთავებელ ქუჩებს და ეზოებს. ვფიქრობთ, ეს საკითხი ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს.

* * *

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში საფეიქრო მრეწველობის შემდგომი განვითარებისაკენ. გორელმა ფეიქრებმა ეს ფაქტი აღიქვეს, როგორც ნათელი გამოვლინება პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდისათვის. მათ გადაწყვეტილი აქვთ, ამ ზრუნვის პასუხად იშრომონ გაორკეცებული ენერგიით. ხოლო ამ შრომის შედეგი მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო დროულად გადაწყდება მათ წინაშე მდგომი მტკივნეული საკითხები.

გიორგი კეჭაღმაძე

# ზამთრის წინ

მახარაძის რაიონში, სოფელ მერიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი კეჭაღმაძე. იგი ბავშვებს გერმანულ ენას ასწავლის.

გიორგი კეჭაღმაძის მოთხრობები, რომანები და საბავშვო ნაწარმოებები დიდი ხანია, შეიყვარა მკითხველმა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რომანი „ჩემი პატარა ლანდი“ კი უკვე ორჯერ დაიბეჭდა ბერლინში.

ამჟამად მწერალი მუშაობს ვრცელ ნაწარმოებზე — „ოქროს ნალი“, რომელიც ეძღვნება ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას.

ვაქვეყნებთ გიორგი კეჭაღმაძის ახალ ნოველას.

ორნი ისხდნენ სუფრასთან, წინ სამიოდე ნაჭერი ცივი მჭადი და შუაზე გატეხილი ყველი ედოთ. ღამე იყო, გარეთ კოკისპირულად წვიმდა და ციოდა. ხმადაბლა საუბრობდნენ. მასპინძელმა პატარა დოქით ჭიქები შეავსო და აღტაცებით წამოიძახა:

— რა ღვინოა?!

მართლაც კარგი ღვინო იყო. ცოტა ჰქონდათ დალეული, მაგრამ უკვე არც სუფრის სიღარიბეს გრძნობდნენ, არც სიცივეს. მამუკას ჭიქა ხელში ეჭირა და თამადის ქადაგებას უსმენდა. ჩვეულებად ჰქონდა, დაიწყებდა თუ არა თამადა ლაპარაკს, ისიც აიღებდა ჭიქას და ამის შემდეგ ძირს აღარ დადგამდა, თუნდაც ორ საათს გაგრძელებულიყო სადღეგრძელო. მასპინძელმა ჭიქა დაცალა, სუფრაზე დადგა, დოქს თვალი შეავლო და თქვა:

— უჰ, ცივია. ხომ არ გაგვეთბო ცოტა?

— ადრე აცივდა, — თქვა მამუკამ და მაშინვე დაავიწყდა, თუ ვისი სადღეგრძელო თქვა მასპინძელმა.

— რაღა ადრეა, ზამთარი კარზეა მომდგარი.

— ჰო, — მამუკა ისევ სადღეგრძელოს იხსენებდა.

— მე ვიკითხო, თორემ შენ რა გიჭირს, — ჩაიცინა მასპინძელმა, — გავიყინები ზამთარში.

— კი, ნამდვილად, — ჩაილაპარაკა მამუკამ. ვეღარ გაიხსენა სადღეგრძელო, ხელი ჩაიქნია, გაუმარჯოსო, ჩაიბუტბუტა, ჭიქა ერთბაშად გამოსცალა და ტუჩები მოიწმინდა ხელის ზურგით.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. აქამდე განუწყვეტლივ წვიმდა და თუნუქის სახურავზე გამაყრუებლად ხმაურობდა.

— გადაიღო, — თქვა მამუკამ და წამოდგა.

— მოიცა, კაცო, რა გაჩქარებს... ამხელა ღამეა.

— კარგად იყავი. გმადლობთ.

მამუკამ სწრაფად წამოისხა ქურქი და გარეთ გავარდა. მასპინძელიც გაჰყვა. აღარ წვიმდა. მამუკა მყისვე გაუჩინარდა სიბნელეში. მხოლოდ მისი რეზინის ჩექმების ტყაპა-ტყუპი ისმოდა. მასპინძელი შინ შებრუნდა, სუფრასთან მივიდა, ალაგება დააპირა, მაგრამ დაეზარა და მეორე ოთახში გავიდა, სადაც დედამისი იწვა.

— წავიდა?

— ჰო.

დედა ცოტა ხანს დუმდა, ბიჭს თვალებში უმზერდა.

— ხომ ხედავ, ვეღარ ვდგები.

— ნუ გეშინია... მორჩები.

— დამაყენე საშველი მეც და შენს თავსაც. არ გრცხვენია მაინც? ასე უნდა სტუმარს გამასპინძლება?

— დაიწყო... მაცალე, სული მოვითქვა.

— ის ბიჭი შენზე უმცროსია.

— მეც მოვასწრებ. რამე ხომ არ გნებავს?

— არა.

— დავწექი აბა.

— სინათლე ჩააქრე.

ბიჭმა შუქი ჩააქრო, თავის ოთახში გავიდა და ტანზე გახდა დაიწყო. ხელის ფათურით მოძებნა სკამი, რომ ვერ იპოვა, ტანსაცმელი იატაკზე დაყარა და ლოგინში შეძვრა.

●

მამუკამ სასადილოს ჩაუარა, წამით შეჩერდა და ნათურას ახედა, საცოდავად რომ ბჟუტავდა ხის ბოძზე. „რატომაა ასე საცოდავი?“ — გაიფიქრა მამუკამ და გაეცინა. „მარტოა და თანაც წვიმაშია... სცივა...“ ისევ გაეცინა. სასადილოს ერთ-ერთ ფანჯარაზე ფარდა აწეული იყო და მამუკამ მზარეული და მებუფეტე დაინახა, მუშაობა დაემთავრებინათ, მაგიდას უსხდნენ და ვახშმობდნენ. „იქეიფეთ, ბიჭებო,— ჩაილაპარაკა მამუკამ, — არაფერი მოიკლოთ... იქეიფეთ, მე გპატიჟებთ“. რაღაც ძალიან უხაროდა, რა იყო ეს, ვერ მიმხვდარიყო. ღვინომ შეაჭიკჭიკა ალბათ ცოტათი. კარგი ღვინო იყო, ოდნავ რომ გაეთბოთ, არ აწყენდა, მაგრამ ვის ეცალა ღვინის გასათბობად. ანდა სად ეჩქარებოდა, კაცმა რომ თქვას. ამოდენა ღამეა. ნაბიჯს აუჩქარა, თხრილზე გადახტა და აღმართს შეასკდა. მალე მიადგა ჭიშკარს. შეაღო თუ არა, ერთბაშად ისე გამეტებით დაუშვა წვიმამ, თითქოს საიდანღაც პირდაპირ ვედროებით გადმოასხესო. მამუკა ადგილს მოსწყდა და კიბისკენ გაქანდა. მერე ოთახში შევარდა. ნანა ბუხართან იჯდა, სამი წლის ხათუნა კალთაში ჩაესვა და პირში ძალად უტენიდა საჭმელს. ნათელა ტახტზე იდგა, იქვე მიდგმულ მაგიდაზე გადაწოლილიყო და ცხელ ჩაის ხვრეპდა. მამუკამ ქურქი გაიხადა და კარებთან კედელზე ჩამოკიდა.

— რა ამბავია, კაცო?

— რა მაგრად დაუშვა!

— ტალახიანი ჩექმები გაიხადე და დერეფანში დააწყვე... ქვეყანა არ დაიქცეოდა, ეგ ტალახი გარეთ რომ დაგეტოვებინა. სულ ხომ არ უნდა ვწმინდო იატაკი?

მამუკა დერეფანში გავიდა, ჩექმები გაიხადა და მაშინვე შემობრუნდა. ბოლოსდაბოლოს მართალია ეს ქალიო, ფიქრობდა.

— რაღა მეშველება, მოკვდება ეს გოგო მშიერი.

— კიდევ არ ჭამს?

— რა ჭამაა. მოციცქნის და მორჩა.

— კარგად კ[illegible] და...

— მამიკო, ჩაი გინდა? — ჰკითხა ნათელამ. გოგოს მხიარულად უციმციმებდა თვალები, ეშმაკურად იღიმებოდა. „ეს კი ნამდვილი ღორმუცელაა, — გაიფიქრა მამუკამ, — სულ ჭამს და ჭამს“.

— აბა დამისხი... ვნახავ ერთი, რა დიასახლისიც ხარ.

ნათელა ტახტიდან გადმოხტა, ჩაიდანს წაეტანა, ნანამ მოიხედა და ხელი სტაცა.

— აა, — გაჯავრდა ნათელა, — გამიშვი, მამიკოს ჩაი უნდა დავუსხა.

— გაგიჟდი, კაცო? ხომ დაიმდუღრა ბავშვი. ამისგან ჩაის დასხმა გაგონილა?

— რომ გაიზრდები, მერე დამისხი, — უთხრა მამამ, გოგო ხელში აიყვანა და ისევ ტახტზე დასვა.

მამუკა გვერდით მიუჯდა, ბუხარს უმზერდა და იღიმებოდა. რა უაზროდ იღიმებაო, გაიფიქრა ნანამ, ნეტავ სად გამოთვრაო. მუგუზლებით სავსე ბუხარი გუზგუზებდა და ოთახს სითბოთი და სიმშვიდით ავსებდა. ნანა ხათუნას უჯავრდებოდა: „ჭამე, გოგო, ჭამე...“ ნათელას ახლა ჯამზე დაესხა ჩაი და სულს უბერავდა. გამწარებით ქშინავდა, შუბლი ოფლით დაცვაროდა. კედელზე სველი ქურქი ეკიდა, იქედან წყალი წვეთავდა იატაკზე.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა. წვიმის მსხვილი წვეთები მინას აწყდებოდნენ და იმსხვრეოდნენ. „ალბათ გათოვდება, — ფიქრობდა მამუკა, — წელს ადრე მოვა თოვლი...“ გარეთ ციოდა, წვიმდა და ქარი ქროდა, შიგნით კი სითბო და სიმყუდროვე იყო.

მამუკა წითლად აგუზგუზებულ ბუხარს უმზერდა და ნელ-ნელა ერეოდა რული. ძილისპირულივით ჩაესმოდა წვიმის ხმაური, ბუხრის გუზგუზი, ნანას ხვეწნა: „ჭამე, შენ გენაცვალე, ჭამე... ნუ იფურთხები, თორემ შემოგკრავ, იცოდე“. ყველაფერი ეს ერთ უცნაურ, გამაბრუებელ სიმღერად ჩაესმოდა და ნელ-ნელა იპყრობდა ძილის ყრუ, ტკბილი ვნება... „ტკაც“, გაისმა უცებ. მამუკა შეკრთა და თვალები გაახილა.

„მამა!“ იყვირა ხათუნამ, დედის კალთიდან გადმოხტა და აღრიალდა: „მამაა...“ — ფეხებზე მოეპოტინა. მამუკამ ხელი სტაცა და ბავშვი გულზე მიიკრა, უცნაური შიში დაეუფლა, გრძნობდა, რომ საშიში არაფერი იყო, მაგრამ მაინც ვერ განთავისუფლებულიყო ამ გაურკვეველი შიშისაგან.

ხათუნა მკერდში ჩაკვროდა და ხმადაბლა ტიროდა, სლუკუნებდა. ნანა იდგა, ბავშვს ხელი მოკიდა. „მომეცი აქ... მომეცი ახლავე...“ ხათუნა უფრო მაგრად ჩაეკრა მამას და ტირილსაც უმატა. „მომცილდი!“ — უყვირა მამუკამ ქალს. ცოლის მწყრალი და გაოცებული თვალები რომ დაინახა, რატომღაც უფრო გაბრაზდა, ხელი ჰკრა. ნანამ უკან დაიწია, სკამს შეეხა-

დასასრული მე-14 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრთხილად, შენს წინაშე ადამიანია!

ოლია რევია

> დანაშაულის გახსნა-გამოძიება მთელი მეცნიერებაა, მაგრამ ეს მეცნიერება ეფექტიანი გახდება მხოლოდ იმ პირობით, თუ შეიცავს პროფილაქტიკას, პროგნოზირებას. დავასწროთ მოვლენებს, არ დავუშვათ ტრაგედია და სერიოზული ტრავმები შრომითს კოლექტივში, ოჯახში — აი, რა არის დანაშაულობებთან ბრძოლის მაღალი ეფექტიანობის საწინდარი, ჩვენ მოვუწოდებთ პარტიულ, საბჭოთა ადმინისტრაციულ ორგანოებს უფრო აქტიურად გამოიყენონ დანაშაულობათა პროფილაქტიკის ყველა არსებული ფორმა.
>
> **ე. შევარდნაძე.**



ნათქვამია: ცალ-ცალკე მომჩივარი ბატონს მართალი ეგონაო. მაგრამ ლურჯ, სამხრეებიან ფორმაში გამოწყობილ ამ ახალგაზრდა ქალს, დიდი გულისყურითა და მოთმინებით რომ უსმენს გაანჩხლებულ რძალსა და დედამთილს, უსულგულო ქმრისაგან მიტოვებულ ჩვილბავშვიან ქალსა და ცოლის სიავით გზააბნეულ კაცს, ორიოდე მტკაველი მიწისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ მეზობლებს, არც მტყუანი ეშლება და არც მართალი. უსმენს, მოთმინებით, განუმარტავს და ორივე მხარეს ერთი პასუხით ამშვიდებს — კანონს არ დავარღვევთ! და ეს ცარიელი დაპირება როდია!..

ლილი ჯ-ს გადაწყვეტილება ურყევი იყო — ჩემმა შვილმა მამის გვარი უნდა ატაროსო. და, მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, იგი მაინც განაგრძობდა ბრძოლას.

ამ დროს შეხვდა მანანა ქურდაძეს.

— კანონს არ დავარღვევთ! — მტკიცედ თქვა პროკურორმა და მუშა ქალმაც იწამა მისი. კარგა ხანს მოსვენებას არ აძლევდა მანანას დედა-შვილის ბედი:

ნათესავების მეშვეობით გაცნობისა და დაახლოების შემდეგ ბექანი ლილის ბინაში გადასულა საცხოვრებლად. პატარა საქორწილო სუფრაც გაუშლიათ, ნაცნობმეგობრები მოუწვევიათ, ბექანს საჩუქრებიც უყიდია ქალისათვის. მაგრამ შვიდი თვის ფეხმძიმე მიუტოვებია, მერე კი უარყოფდა — არც მიცხოვრია მის ბინაში და არც ბავშვია ჩემიო.

ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდა ხელმეორედ ჩაკითხული პროკურორს ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძვლები, როცა ნათელ დარბაზში გაისმა მისი დინჯი, დამაჯერებელი ხმა: „...განჩინება არ არის სწორი და უნდა გაუქმდეს...“

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა შემდეგ ერთხმად გაიზიარა ეს აზრი.

საჩივრების ზღვას მხოლოდ ერთი წვეთი მოაკლდა.

ტირილითა და მუდარით, მუქარითა და ყვირილით შესულთ მანანას კაბინეტიდან გაჰყვებათ ხოლმე რწმენა — დიახ, არის ქვეყნად სამართალი!

გარეშე თვალისთვის უმნიშვნელო ქაღალდის ნაგლეჯს, გარეშე ყურისათვის არაფრისმთქმელ სიტყვას მანანასათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ განსაკუთრებულმა, საქმეში ღრმად წვდომისა და არაჩვეულებრივი მოთმინების უნარმა მოუპოვა მას აღიარება, სიყვარული და პატივისცემა.

სიმართლის ეს რთული დარგი მანანამ სტუდენტობიდანვე შეიყვარა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურაში განიმტკიცა თეორიული ცოდნა. ერთი წლის მანძილზე სისხლის სამართლის 21 საქმე გამოიძია. როცა განსასჯელის დაკითხვას იწყებდა, ახალბედას გონებიდან არ შორდებოდა მამის დარიგება (მანანას მამა ვლადიმერ ქურდაძე წლების მანძილზე ხაშურის რაიონის პროკურორის თანაშემწე იყო):

— ფრთხილად, შვილო, არ დაგავიწყდეს, შენს წინ მარტო დამნაშავე კი არა, ადამიანი დგას.

ამ რწმენისათვის არასოდეს უღალატნია მანანა ქურდაძეს. მერე საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა პროკურორად.

1975 წელს შეიქმნა ქალაქ თბილისის სასამართლო. აქ ივსება და მდიდრდება მანანას ბიოგრაფია, ირჩევენ სასამართლოს წევრად, სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს კოლეგიის პირველი შემადგენლობის თავმჯდომარეს ქალაქის სასამართლოს კომუნისტები პარტიის რიგებში იღებენ. 1980 წლიდან კი იგი კვლავ რესპუბლიკის პროკურატურის სამოქალაქო განყოფილებაშია, რომელსაც წარმატებით უძღვება.

„ცრემლიანი თვალებით შემოგყურებთ, ქმარმა მიმატოვა ორი ჩვილი ბავშვით. გთხოვთ დამეხმაროთ“, — სწერდა ბათუმელი ბაბალე მ.

მთელი დღეები ჩაჰკირკიტებდა მანანა ამ საქმეს. ეძებდა კანონიერ გამოსავალს.

„ბათუმის სახალხო სასამართლომ რატომ არ გამოუყო ბაბალე მ-ს საცხოვრებელი ფართობი, ნუთუ ჩემმა კოლეგებმა სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმე?“ — თავის თავს ეკითხებოდა პროკურორი.

ქორწინების შემდეგ ბაბალე ქმრის მშობლების სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი ქ. ჩიტაში სამხედრო სამსახურში მყოფ მეუღლესთან გადავიდა საცხოვრებლად. შეეძინათ თუ არა ბავშვები, იგი კვლავ დაბრუნდა ქმრის მშობლებთან. ურთიერთობის გამწვავებამდე მამამთილი რძლის მუდმივ ჩაწერაზეც კი ზრუნავდა (ამის თაობაზე მას მიუმართავს საბინაო სამმართველოსათვის). შემდეგ კი დედამთილმა ნივთები გამოუყარა და ორი მცირეწლოვანი ბავშვით გარეთ გამოაგდო. ბაბალეს თავშესაფარი არ გააჩნდა.

იუსტიციის მრჩეველმა მალე გაარღვია ბაბალე მ-ს გარშემო შეკრული უსამართლობის რკალი...

ჭკვიან ადამიანთან კამათში იბადება ჯანსაღი აზრი! — ასე ფიქრობენ მანანა ქურდაძის კოლეგები, განყოფილების მუშაკები და ყველა საჩივრის ავტორთა ბედი უკავშირდება სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ზედამხედველობის უფროსის მანანა ქურდაძის ცოდნასა და გამოცდილებას.

სამუშაო დღის ბოლოს, როდესაც მანანა უმაღლეს პარტიულ სკოლაში იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, პროფტექნიკურ სასწავლებელში სამოქალაქო სამართლის საკითხებზე გაკვეთილების ჩასატარებლად მიეშურება, ან შინ, პატარა გურანდასაკენ მიიჩქარის, დერეფანში კართან ატუზულ რომელიმე ურწმუნოს კვლავ იმ სიტყვებით ამშვიდებს, რომელიც მთელ მის მოღვაწეობას ლაიტმოტივად მიჰყვება — კანონს არ დავარღვევთ!

დიახ, კანონის სამართლიანობის შეგრძნება მანანა ქურდაძის მუდმივი თანამგზავრია.



სცენა სპექტაკლიდან „აღორძინება“

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები თბილისში

(აპრილი, 1982 წ.)

სცენა სპექტაკლიდან „წყაროს ხმა“



სცენა სპექტაკლიდან „სანამ ურემი გადაბრუნდება“



# ლეოპოლდ ძაძამიძე



ყაზბეგი



სვანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი ტალინი



ამას წინათ საგაზაფხულო თბილისური ვერნისაჟი დაამშვენა ლეოპოლდ ძაძამიძის (1922-1966) ნამუშევრების პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც თბილისის სახელმწიფო გალერეაში მოეწყო. ექსპოზიციაში 150-მდე პეიზაჟი და ეტიუდი იყო. თითოეულ მათგანში თვალნათლივ იგრძნობოდა ჭეშმარიტი ხელოვანის გულის ძალუმი ფეთქვა. პოეტური აღმაფრენით გაცისკროვნებულ წელიწადის დროთა შორის შემოდგომის ამსახველი სურათები სჭარბობდა. თავისებური სითბო და ლირიზმი ჰქონდა ავტორს ჩაქსოვილი მსუბუქად და ხხარტად აგებულ კომპოზიციებში.

ცხოვრებისეული დამაჯერებლობით სუნთქავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამსახველი პეიზაჟების ციკლი. მშობლიური ქვეყნის სიყვარულით ჟღერდა „სალამო სამეგრელოში", „გრემი", „სახლი იმერეთში", „მესტია" და სხვ. ორიგინალური მხატვრული თვალთახედვით გაცოცხლდა ბალტიისპირეთისა და დაღესტნის სანახები.

გამოფენამ ცხადყო, რომ მხატვარი მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა თანამედროვეობის რიტმს და დიდი გულისხმიერებით ქმნიდა დღევანდელობის შესატყვის თემატურ სურათებს („საგუშაგოზე", „ტყვარჩელი", „ამწეები").

ლეოპოლდ ძაძამიძის ნამუშევართა გამოფენამ მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთხელ კიდევ დავინახეთ ას შესანიშნავი ხელოვანი, რომლის შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა ექსპრესიული გაქანებით, ინდივიდუალური ხელწერითა და სამყაროს თავისებური აღქმით.

ლეოპოლდ ძაძამიძემ ჭეშმარიტად იცხოვრა ხელოვნებაში და ერთი ლამაზი ფურცელი შემატა ქართულ საბჭოთა ფერწერას.

ჟურნალ „დროშის" ამ ნომრის ჩანართებში ადგილი ეთმობა უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მხატვრის შემოქმედების ნიმუშებს.

სოფელი ფანაშეთი







ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღვის მკურნალები

1969 წლის ექვსი იანვარი ავად გათენდა მშვენიერი ბიჭვინთისათვის — რვამეტრიანმა ტალღებმა გადმოლახეს ნაპირები, გადათელეს ნაძვების რელიქტური ტყე, დააზიანეს კომუნიკაცია, გადარეცხეს ტალღაამრიდი კედელი და ბოლოს მოანგრიეს კიდეც. ასიოც საათს გრძელდებოდა შტორმი. ასეთი რამ არ ახსოვთ მხცოვან აფხაზებსაც კი (ოკეანოლოგების გამოანგარიშებით შვიდი მეტრის სიმაღლის ტალღის დარტყმისაგან სანაპირო ხაზის ყოველ კილომეტრზე ვითარდება ენერგია, რომლის ძალა თითქმის მილიონი ცხენის ძალის ტოლია).

საზარელი სანახავი იყო აყირავებული ფილები, სილის გროვები, მშენებლობის ნარჩენები, შუშის ნამსხვრევები, ფიცრით შეჭედილი პანსიონატის ჰოლები.

ამ უძველეს კონცხთან ზღვის ფსკერიც ვერაგი აღმოჩნდა: აქ ციცაბო წყალქვეშა ფერდობი ნაპირს აღწევს. აი, რატომ ხდება, რომ წყლის კედელი ზედ ნაპირთან აღიმართება ხოლმე და მთელი ძალით ენარცხება მას. შტორმულ ტალღებს ბეტონის მტკიცე კედლებიც კი ვერ უძლებენ.

საქართველოს საზღვაო სანაპიროს სიგრძე 300 კილომეტრს აღემატება. მის ორ მესამედს ინტენსიურად შლის და ანგრევს წყალი. ძირითადად ამ ტერიტორიაზეა განლაგებული არსებული და მომავალში დაპროექტებული კურორტები.

ხელმძღვანელობა იმ უწყებებისა, რომლებიც სანაპიროების გასამაგრებელ სამუშაოებს ეწევიან, სახელმწიფოებრივ წესრიგს ამყარებენ ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის შავი ზღვისპირეთის დაცვა. მი[illegible]ბილი აქვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველ[illegible]ს საზღვაო სანაპირო დაცვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას (გენერალური დირექტორი ა. [illegible]იკნაძე).

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში შედის ზღვის სანაპიროს დაცვის სამეცნიერო-კვლევითი სექტორი ექვსი რეჟიმულ-კვლევითი ზღვისპირა სადგურითა და სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციებითურთ. იზრდება და მტკიცდება გაერთიანების კონტაქტები სხვა სამეცნიერო თუ საპროექტო დაწესებულებებთან.

„თითოეული საბჭოთა ადამიანი საქართველოს იცნობს, როგორც ჯანმრთელობის კერას. ყველა მადლობელია გულთბილი მასპინძლობისათვ[illegible]ს, იმისათვის, რომ ყველაფერს აკეთებთ, რათა მილიონობით მშრომელ[illegible]ს ჯანმრთელობა შეუნარჩუნოთ" — აღნიშნა საიუბილეო ზეიმზე თბილისში ლ. ი. ბრეჟნევმა.

რესპუბლიკის სანაპიროს და მთელი მისი სიმდიდრეების დაცვა ჩვენი და მომავალი თაობის საქმეა. ამ საქმეს დღეს ეწევიან ზღვის მკურნალები, მეცნიერები, მშენებლები, დამპროექტებლები, რომლებმაც ფართოდ გაშალეს ბრძოლა ბუნების დაცვისათვის. არის პირველი სასიხარულო შედეგებიც. მდინარე ბზიფის შესართავის მარცხენა სანაპირო, რომელიც იანვრის შტორმებით მთლიანად გაირეცხა, აღდგენილია.



## ზამთრის წინ
(დასასრული)

ლა. ფეხი დაუცურდა და წაიქცა. მაშინვე წამოხტა, ქმარს მივარდა, ძალით გამოგლიჯა ხელიდან ბავშვი, თვითონაც არ იცოდა, რატომ ეჩქარებოდა ამის გაკეთება. მყისვე მეორე ოთახში გავარდა და კარი მიიჯახუნა. ერთბაშად ყველაფერი მიწყნარდა. კოკისპირული წვიმაც შეწყდა...

მამუკა შუა ოთახში იდგა და ბუხარს უმზერდა. კარგა ხანს იყო ასე. ნათელას უკვე ეძინა. იქვე, ტახტზე, მიწოლილიყო და ეძინა. უეცრად ჩასძინებოდა უხერხულად და სასაცილოდ წამოწოლილს. მამუკამ იცოდა, რაღაც უნდა გადაეფარებინა მძინარე ბავშვისათვის, თორემ გაცივდებოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრულიყო. იდგა და ცეცხლს უმზერდა. ნელა ინავლებოდნენ მუგუზლები. კედელთან მივიდა, ფრთხილად ჩამოიღო ქურქი, მოიხურა და ფეხაკრეფით გავიდა დერეფანში, თითქოს ეშინია, მძინარე არ გავაღვიძოო, ჩექმები ჩაიცვა და კიბეზე ჩავიდა. ჭიშკართან რომ მივიდა, წვიმამ ისევ დაუშვა, შეჩერდა, რაღაცას ყური მიუგდო. ახლა სულ სხვანაირი იყო წვიმის ხმაური. მამუკა იდგა და რაღაცის გაგონებას ცდილობდა. უცებ გაშმაგდა, ქურქი მოიგლიჯა და შორს მოისროლა, მერე ჭიშკარი გააღო, გავიდა და დაღმართში დაეშვა. დროდადრო შედგებოდა და ყურს მიუგდებდა. ირგვლივ მხოლოდ ქარისა და წვიმის ხმაური იდგა.

●

სასადილოს წინ ობლად ბჟუტავდა ნათურა. ქვის კიბეზე წვიმა შხაპუნობდა. ირგვლივ წყლის გუბეები დამდგარიყო. მამუკა ერთ-ერთ საფეხურზე იჯდა. თავიდან ფეხებამდე გალუმპულიყო. თავზე წვიმა ასხამდა, მაგრამ, ეტყობოდა, სულაც არ გრძნობდა ამას. თავი ისე აეწია, თითქოს რაღაცას უსმენსო. ასე გაშეშებულიყო. ნანამ ფრთხილად მოჰკიდა ხელი, საწვიმარი მიაჩეჩა, სველ თავზე ქუდი ჩამოათხატა.

— წამო, კაცო, რას უზიხარ აქ.
— ბავშვებმა დაიძინეს?
— აბა? რამდენი ხანია.

თხრილს მოუარეს და ხიდზე გავიდნენ. ბნელოდა. არაფერი ჩანდა. ერთმანეთსაც ვერ ხედავდნენ.

ხიდზე წყალი გადმოსულიყო. გუბეებში მიტოპავდნენ. მამუკას ჩექმებში წყალი სასაცილოდ ჭყაპუნებდა; წვიმა ისევ და ისევ გამეტებით ასხამდა. ახლა ნანაც გაილუმპა. უცებ ქალს ხმამაღლა გაეცინა. მამუკა შეჩერდა, ქალისკენ შებრუნდა, და მასაც აუტყდა სიცილი. სიცილი რომ შეწყვიტეს, ისევ წვიმისა და ფეხის ხმას მიუგდეს ყური. მამუკამ უცებ იცნო ის მუსიკა, წელან ხათუნას ტირილის ხმაზე რომ გაწყდა და სადღაც დაიკარგა. იცნო, სწორედ ის იყო, სიხარულმა და ბედნიერებამ აიტანა, შეებით ამოისუნთქა და ნანას მკლავი მოხვია. ახლა მთელ სხეულს ესმოდა ის საოცარი ბგერები, ტკბილი, ვნებიანი, ძილისმომგვრელი.



მამლუქთა ცხოვრების გზა [illegible] ისტორიაა. მონათ გაყიდული ბა[illegible] ვაჟკაცდებოდნენ, იწრთობოდნენ, ხდებო[illegible]ნ სხვისი მიწის დამცველნი და ერთგული ჯარისკაცნი, შემდეგ კი ამ მიწის სრული ბატონ-პატრონნი.

ისტორიკოსები წერენ, რომ ქართველი მამლუქები ეგვიპტეში სულ პირველად მეცამეტე საუკუნეში სულთან სალადინის დროს გამოჩნდნენ. მალე მათ ეგვიპტეში ძალაუფლება ხელთ იგდეს.

მამლუქთა პირველი დინასტია დიდ კაიროში თურქ-სელჯუკური იყო. მოკლე ხანში ძალაუფლება კავკასიური წარმომავლობის მამლუქების ხელში გადავიდა. ბოლოს იგი ძირითადად ქართული გახდა. თუ სავიურა ლუზინიანსა და ვოლნეის ვერწმუნებით, დივანის (მამლუქთა უმაღლესი ორგანოს) 24 წევრიდან ნახევარზე მეტი (ბეი), ყოველთვის ქართველი იყო.

ნაპოლეონმა პირამიდებთან ომის დაწყების წინ გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც ნერდა: „მოვედი, რათა ეგვიპტე გავანთავისუფლო ყოფილ ქართველ ტყვეთა ბატონობისაგანო".

ქართველმა მამლუქებმა დიდად გაითქვეს სახელი ეგვიპტესა და ბაღდადში. მათ შორის ყველაზე უფრო ამაღლდა ლეგენდარული ალი ბეი. მას გვერდით უდგნენ ბრძოლაში გამობრძმედილი სხვა ქართველები — ალი ბეი ჩანტაშეი, ჰასან ბეი ჯიდელი, იბრაჰიმ ბეი, ისმაილ ბეი და სხვანი მრავალნი.

...ორი ათეული წლის განმავლობაში დავეხეტებოდი მამლუქთა ნაკვალევზე, ვაგროვებდი მასალებს და სათუთად ვალაგებდი, ფარხმალასხმული რაინდი მამლუქები ჩემს გულში სამუდამოდ დასახლდნენ.

და, აი, ვექიდები ვრცელ ნაწარმოებს, რომლის ნაწყვეტსაც დღეს გთავაზობთ ჟურნალი „დროშა".

წიგნს კი ასე ენოდება „ომი პირამიდებთან".

* * *

შეიხ ელ ბელედი იბრაჰიმ ბეი, ეგვიპტელ მამლუქთა უპირველესი — ბულაკიდან ბრუნდებოდა. ჯერ კიდევ [illegible] ეახლა ბულაკში ახმეტ იდინ ფაშას, შეიხ ულ ისლამის[1] დასტური ჩააბარა იმის თაობაზე, რომ მედინაში და მექაში ნასალები ჰასნე[2] უკვე შეიხ ელ ბელედისთან იყო.

მუკატამის ციტადელის ჩრდილი რუმელიის მოედნისაკენ რომ გადანვა, შეიხ ელ ბელედი და მისი ამალა ყარა მეიტანზე გამოჩნდა. წინ იედეკები მოთოხარიკობდნენ, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით მორთულ-მოკაზმული ექვსი ბედაური. თითოეულ ცხენს აქეთ-იქით მდიდრულად გამოწყობილი უწვერულვაშო მონა მამლუქი მოსდევდა. იედეკების უკან მენამულისფერ მოსასხამიანი ოთხი მეუნაგირე მოაბიჯებდა. მოსასხამის მარჯვენა კალთა ძნასავით დაეგრიხათ და მხარზე გადაეგდოთ.

მათ უკან იბრაჰიმ ბეის შავრა ცხენი მოცეკვავდა, შეიხ ელ ბელედის აქეთ-იქით ქვეითად მოსდევდა ექვსი მეჯინიბე, მათ უკან კიდევ ზემო და ქვემო ეგვიპტის ოცდაოთხივე საჯაკის ბეი, თავიანთი ამალითა და ჯანიზარებით.

კოპტების ეკლესიას რომ გაუსწორდნენ, ვირზე ამხედრებული ქრისტიანები მაშინვე ჩამოხდნენ და მონიწების ნიშნად თავი დახარეს.

შეიხ ელ ბელედის გვერდზე არც კი გაუხედავს, სულ წინ იყურებოდა, მუკატამის ბორცვისაკენ, სადაც ამაყად იდგა კაიროს ბურჯი — დიდი ციტადელი.

გრძელმა პროცესიამ უხმაუროდ ჩაუარა ინსტუკ სელაჰის მეჩეთს, მერე აკადემიას, სულთან კალაუნის ჰოსპიტალს და პატარა მოედანზე გავიდა. აქ კი ცამდე ალმართულიყო კაიროს სიამაყე, სულთან ჰასანის უზარმაზარი

### როდამ ჩარჩანიძე

მეჩეთი. მაღალი, უშველებელი მინარეთებით და მქიდროდ ნაშენი მძიმე კედლებით.

ეგვიპტელ მამლუქთა წინამძღოლი მეჩეთის წინ ჩამოქვეითდა. ორმა ჯანეზირმა მაშინვე ხელი სტაცა შავრა ცხენს. შეიხ ელ ბელედი ჩქარი ნაბიჯით წავიდა მეჩეთისაკენ. უკან ასევე ფეხაჩქარებით მიჰყვა ოცდაოთხი ბეიც. იბრაჰიმ ბეიმ მეჩეთისწინა პატარა მოედნის სამი საფეხური სწრაფად აიარა. შესასვლელთან მივიდა, რბილი წითელი ტყავის დათბილული ნალები ისე გაიძრო, არც კი მოხრილა და ღია კარში გაუჩინარდა.

დაბალი, მთლად გათეთრებული შეიხ ულ ისლამი მოლებისა და მლოცველთა თანხლებით უკვე მოდიოდა მეჩეთის შუაგულისაკენ, სადაც ვერცხლის დიდი, მაღალგუმბათიანი სკივრი თავახდილი იდგა. შეიხ ულ ისლამმა მეჩეთში შემოსული ბეები რომ დაინახა, ნაბიჯი კიდევ უფრო შეანელა, იბრაჰიმ ბეის მზერა გაუსწორა და რიხით დაიძახა:

— დიდ არს ალაჰი და მოციქული მისი მუჰამედ!

შეიხ ულ ისლამს ორმა მოლამ ხელში მაშინვე ხავერდის მწვანე, განიერი ხალიჩა მიაწოდეს. უმაღლეს იმამს ხალიჩა წინ გაშვერილ მკლავებზე ჰქონდა გადაკიდებული. ქროლა, ეშმაკური თვალებით წინ იყურებოდა, მამლუქთ უპირველესს მისჩერებოდა.

— მოციქულო ჩვენო, მუჰამედ, მიიღე შეპირებული ხალიჩა, რომელიც ერთი წელი გაათბობს შენს საფლავს. მორთმევა მისი ებრძანა შეიხ ელ ბელედის.

შეიხ ულ ისლამმა მოკლე ნაბიჯი გადადგა, სკივრთან მივიდა და დაიხარა, ოთხად დაკეცილი ხალიჩა ფაქიზად ჩაუშვა დიდ სკივრში. მაშინვე ოთხი ნაბიჯი უკან წარსდგა და შეჩერდა. მისი ამალიდან ორი ახალგაზრდა მოლა დაწინაურდა, სკივრთან მონიწებით მივიდნენ, გუმბათიანი თავსახური ნელა დაუშვეს და სკივრს გულდაგულ მოარგეს. მერე დალუქეს კიდეც და ისევ თავთავიანთ ადგილზე დაბრუნდნენ. შეიხ ულ ისლამი კი უკვე ალაპლენდა ლოცვას ალაჰისა და მისი მოციქულის მისამართით. წინასწარმეტყველს ევედრებოდა, მიეღო მცირე შესაწირი — ხავერდის ხალიჩა და წმინდა აქლემი. ლოცვას რომ მორჩა, ოთხი ჯანიანი მამლუქი ბეი სკივრთან გაჩნდა. სახელურებში ნვდნენ და ფრთხილად ასწიეს. მაშინვე არ გაუტანიათ, ჯერ მამლუქთ უპირველესს გახედეს. შეიხ ელ ბელედიმ თავი დინჯად დაიქნია და მაშინვე მთელი პროცესია კარისაკენ დაიძრა.

წინ იბრაჰიმ ბეი მიდიოდა. მის შემდეგ ოთხი ჯანიანი ბეი, სკივრი რომ მიჰქონდათ. შემდეგ ოცი მამლუქი ბეი, მოლები და მლოცველები. შეიხ ულ ისლამი მეჩეთიდან აღარ გამოსულა. მან ემირ ჰაჯის[1] პროცესია მხოლოდ კარამდე მიაცილა.

მოედანზე სეირის საყურებლად მოხვეტილ მილეთის ხალხს მოეყარა თავი. ქუჩები ისე გაძეძგილიყო, ბრბოს თავი და თავი აქ რომ გახლდათ მეჩეთთან, ბოლო კიდევ სულთან კალაუნის ჰოსპიტლის კედლებს აწვებოდა. იყო ერთი ღრიალი და ზიმზიმი, ვინ რას იძახდა და ყვიროდა, კაციშვილი ვერაფერს გაიგებდა.

მაღრიბელები, ჩაუშები და ჯანეზარები[2] ცდილობდნენ, ადიდებული ნილოსივით მოზღვავებული ხალხი უკან დაეწიათ, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. იმდენი მაინც იმარჯვეს, წმინდა აქლემის ირგვლივ მოზრიალე ბრბო გარეკეს და მეჩეთიდან გამოსული ემირ ჰაჯის პროცესიას გზა გაუხსნეს.

¹ უმაღლესი სასულიერო პირი.
² ღმერთის შესაწირი.

¹ მექას მიმავალ მლოცველთა პროცესია.
² შეიარაღებული ძალა.



# მამლუქის სიმღერა

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ბეებმა მძიმე ვერცხლის სკივრი წმინდა აქლემის წინ მონიწებით დაუშვეს და ორი ნაბიჯით დაიხიეს. მათი ადგილი ექვსმა გოლიათმა მონა მამლუქმა დაიკავა. ეს რჩეული ბიჭები მაშინვე ეცნენ მძიმე სკივრს, ციმციმ ასწიეს და წმინდა აქლემის ზურგზე ამ საქმისათვის სპეციალურად მომზადებულ უნაგირზე კოხტად დადგეს. სწორედ ამ დროს ორმა საისმა იბრაჰიმ ბეის შავრა ცხენი მოჰგვარა. შეიხ ელ ბელედი მოხდენილად მოევლო ბედაურს ზურგზე და მაშინვე ემირ ჰაჯის პროცესია დიდი კაიროს ბაბ ელ ფითუჰის კარისაკენ დაიძრა.

მაღრიბელები, ჩაუშები, ჯანეზარები სტვენითა და ღრიალით წინ მიდიოდნენ და ტალღასავით აგორებულ ბრბოს მარჯვნივ და მარცხნივ ძლივს ერეკებოდნენ. ეს საკმაოდ ძნელი საქმე იყო, მაგრამ მაღრიბელები გრძელი, მწარე მათრახებითა და მსუბუქი შუბებით ამას მაინც ახერხებდნენ. თუმცა შუბის ტრიალში მათ არც ჩაუშები და ჯანეზარები ჩამორჩებოდნენ.

კანტარეთ ელ ჯენეინის ხიდზე რომ შედგნენ, შეიხ ელ ბელედიმ არხს გახედა. შუა ივნისი გახლდათ და არხი მთლად დაწრეტილიყო. ჰაერში დამპალი თევზის მყრალი სუნი იდგა. სუნთქვა ჭირდა და იბრაჰიმ ბეიმ ცხენს ქუსლი შემოჰკრა.

სულ რამდენიმე დღეში ნილოსის ადიდება უნდა დაწყებულიყო. წყალი დიდი კაიროსაკენ მომავალ არხებშიც შემოიჭრებოდა და გაცოცხლდებოდა დამპალი მიდამო.

ხიდის ბოლოში იბრაჰიმ ბეიმ თავი მძიმედ შემოაბრუნა, თავის ამალაში ქაშიფ ალი მოძებნა და თითით მოუხმო.

ქაშიფ ალი სულ ოცდაორი წლისა იყო, თუმცა გრძელი, ნახშირივით შავი წვერის გამო შეიძლება უფრო მეტი ხნისაც მოგჩვენებოდათ. თვალებიც მუგუზალივით შავი ჰქონდა, ნაღვლიანი, მაგრამ მეტყველი. თავი სისხლივით წითელი ჩალმით ჰქონდა ნაკრული და თმები სულაც არ მოუჩანდა. პატრონმა რომ ანიშნა აქ მოდიო, ალიმ ცხენს მარჯვენა ფეხის ქუსლი ჰკრა და დაწინაურდა. შეიხ ელ ბელედის მაშინ გაუსწორდა, ხიდზე რომ გავიდნენ. მათ წინ წმინდა აქლემი მიდიოდა. ალი იბრაჰიმ ბეისაკენ ოდნავ გადაიხარა და სმენა დაძაბა. შეიხ ელ ბელედიმ მონწყალეთ გადმოხედა, ჩურჩულით ჰკითხა: იბრაჰიმ ელ ჩერქეზი თუ გამოჩნდაო?

ქაშიფ ალიმ პატრონს თავი დაუქნია და ნელნელა ჩამოშორდა.

ალი კარგად იცნობდა თავის აღმზრდელს. მის დაღარულ მზემოკიდებულ შუბლზე ისე ნათლად კითხულობდა ყველაფერს, როგორც მუსულმანთა წმიდა წიგნში — „ყურანში".

მერე ის იყო ბაბ ელ ფათუჰის უშველებელი ალაყაფის ჭიშკარიც გამოჩნდა. ზემო ეგვიპტიდან მოტანილი ქვით ნაგები მაღალი მძლავრი გალავანი გარს უვლიდა მთელ დიდ კაიროს. კედელი აქ განიერი სარკმელივით გაუჭრიათ და მისთვის ელ ფათუჰის კარი დაურქმევიათ. ელ ფათუჰის კარს ზემოდან ლამაზად მომრგვალებული მოჭიქული თაღი დაჰყურებდა. თაღის თავზე კიდევ იქით-აქეთ ორი მაღალი კოშკი იდგა. კოშკები მწვანე მოლურჯო რომბებით იყო მოჭიქული და სივრცეში მომხიბლავად ბრწყინავდნენ. დიდი კაიროს მაღალ გალავანზე ცნობისმოყვარე ბიჭები ხელიკებივით აცოცებულიყვნენ...

ემირ ჰაჯის პროცესია ათასნაირი შეძახილით, ცხენების თქარათქურით და დაფდაფების ხმაურით, როგორც იყო, ბაბ ელ ფათუჰის მაღალ თაღში გაძვრა და აღმოსავლეთის გზას დაადგა.

გალავნის უკან დარჩა დიდი კაირო, უამრავი განიერი არხებითა და მასზე გადებული თხუთმეტი ხიდით. თვით გალავანს თერთმეტი კარი ჰქონდა, რომლითაც დედაქალაქი უკავშირდებოდა ზემო და ქვემო ეგვიპტის ყველა სანჯაყს.

ნელი თოხარიკით ოთხი მანძილი რომ გაიარეს, ემირ ჰაჯის პროცესია შედგა. აქ უკვე მამლუქი ბეები თავიანთ შეიხ ელ ბელედის უნდა დამშვიდობებოდნენ. ზოგჯერ მექის დიდ გზაზე რამდენიმე ბეი თან ახლდა ხოლმე შეიხ ელ ბელედის, მაგრამ ახლა იბრაჰიმ ბეი მარტო თავისი თანმხლები პირებით აპირებდა გამოცხადებულიყო ქააბას. პირამიდებისაკენ ქარი, რახანია, ორი მხრიდან — ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან უბერავდა და ორივე ქარს ერთი და იგივე ცნობა მოჰქონდა: საცაა რუსეთისა და თურქეთს შორის ახალი ომი უნდა დაწყებულიყო. შექმნილი ვითარება შეიხ ელ ბელედის უკარნახებდა, თავისი ერთგული ბეები შინ დაეტოვებინა. შეიხ ელ ბელედიმ კარგად იცოდა ერთი სიბრძნე: ვინც ოჯახიდან გადის და შორ მოგზაურობას აპირებს, არ უნდა დაივიწყოს შინ კარგად გალესილი ხმლისა და ერთგული ყმის დატოვება. თუ ამას არ გააკეთებს, შეუძლია უკან აღარ მობრუნდეს, თვალს მიეფარება თუ არა, მის სახლსაც და ცოლსაც სხვა დაეპატრონება.

იდგა ახლა ყვითელ დიუნებთან შავრა ცხენზე ამხედრებული იბრაჰიმ ბეი და მასთან გამოსამშვიდობებლად მისულ სარდლებს გულმოდგინედ, ფიქრიანად აკვირდებოდა.

უკანასკნელმა ბეიმაც ქუსლი რომ ჰკრა თავის ცხენს, შეიხ ელ ბელედიმ თვალი მოავლო ამალას. მერე ცხენი ნელა შეაბრუნა და წმინდა აქლემს მიჰყვა.

გოროზი, ზვიადი იბრაჰიმ ბეი ახლა წმინდა აქლემის ნაკვალევს აკვირდებოდა. ხედავდა, თუ როგორი სიბეჯითით შლიდა ცხელი ქვიშა წმინდა აქლემის ღრმა კვალს. ეს ხდებოდა მის თვალწინ, სულ რამდენიმე წამში.

იქნებ ჩვენი ცხოვრებაც ასეა, გაივლი და... შენს უკან ქარი შლის კაცთა არსებობის კვალს. რამდენი ასეთი კვალი გამქრალა?!

შეიხ ელ ბელედიმ მოიწყინა. იმ წამსვე მის შავრას მოწითალო ბედაური გაუსწორდა. იბრაჰიმ ბეის გვერდზე არც გაუხედავს, ისე იკითხა:

— სად გავჩერდით?
— შენ ბრძანე, რომ მუჰამედი სამოცდასამი წლისა გარდაიცვალა.
— დიდი კაცი იყო მუჰამედი. მან არაბებს მისცა ერთი ღმერთი და ერთი პირი. წერა-კითხვა არ იცოდა და „ყურანი" დაგვიწერა. მისი კარნახით „ყურანს" ჯერ ერთი მექელი ვიგინდარა აბდალლაჰ იბნ საადი წერდა... შემდეგ კი, ამ ვიგინდარას თავს რომ ძალიან გაუვიდა და მოციქულთან გატოლებაც მოინდომა, ეს საქმე მუჰამედმა თავის პირად მონას — ზეიდს მიანდო. ზეიდს სჯეროდა თავისი ბატონის და ყოველთვის ერთგულად მსახურებდა. ზეიდი მუჰამადს თავის საყვარელ აქლემ ალ კავასასავით უყვარდა.
— მოციქულს ქალებიც ჰყვარებია?

იბრაჰიმ ბეიმ შუბლი შეიკრა. ქაშიფ ალის ცერად გახედა.

— მრუშობა სძაგდა მოციქულს. ორმოცდაათი ცოლი ჰყავდა და ორი ახლო მეგობარი, კოპტის ქალები მარიამი და შორენა. ახალი გამოცხადებით ამის უფლება მუჰამედს ჰქონდა. ყველაზე უფრო მაინც აიშე უყვარდა, რომელიც შვიდი წლისა დანიშნა, ცხრა წლისა კი ცოლად

დაისვა. მოციქული ჩვენი სწორედ აიშეს ქოხში აღესრულა ჰიჯრით მეთერთმეტე წელს. აღესრულა, მაგრამ დატოვა ძლევამოსილი და ერთიანი არაბეთი, რომელიც მალე მსოფლიოს მოევლინა, როგორც უზარმაზარი ძალა.

წმინდა აქლემი შედგა და შეიხ ელ ბელედიმაც ცხენს ლაგამი მოქაჩა. წინ უკვე ჩანდა აჰმედიეს ოაზისი. სწორედ აქ უნდა დაეგდოთ კარავი. წესის მიხედვით, შეიხ ელ ბელედი და მისი ამალა კაიროდან ორი დღით ადრე გადის. აჰმედიეს ოაზისთან ჩერდება და აქ ელოდება ჰაჯებს. ჰაჯები კიდევ ორი დღის შემდეგ ცხადდებიან შეიხ ელ ბელედისთან.

იბრაჰიმ ბეი ცხენიდან მოხდენილად ჩამოხტა და ცხელ სილაზე გაიარა. მაშინვე უკან ქაშიფ ალიც მიჰყვა. პატრონმა ფეხით თითქმის მეოთხედი მანძილი განვლო და შეჩერდა. მის წინ დიდი მწვანე თეფშივით იდო აჰმედიეს ოაზისი. მის უკან კიდევ მომცრო პირამიდებივით ჩანდა ერთ რიგში ჩამდგარი სამი დიუნი. სილის ამ გორაკებს, რახანია, უდაბნოს მცოცავი მცენარე არფა მოდებოდა და ლამისაა სულ წვერზეც კი აცოცებულიყო.

— ჩემი კარავი აქ გაშალე! — თქვა იბრაჰიმ ბეიმ და ქაშიფ ალისაკენ შებრუნდა. ქაშიფი პატრონის წინაშე მოიხარა:

— მგონი, სადილის დროც დამდგარა!

შეიხ ელ ბელედი თავისი მხედრიონისკენ წავიდა.

* * *

ორი დღის შემდეგ ჰაჯების მოსვლა გვიან დილით დაიწყო. სულ პირველად ვირებზე არხეინად გადამჯდარი შვიდი მლოცველი გამოჩნდა. სამს ნაცრისფერი ფართხუნა ხალათი ეცვა, სამსაც—ყვითელი. ისეთი ყვითელი, რომ ქვიშაზე ძლივს ჩანდნენ. ერთიც მოლურჯო მოსასხამში გახვეულიყო და სულ ბოლოში მოჰყვებოდა ამ საპატიო პროცესიას.

სამ ჰაჯს ჭუჭყიანი ფეხები რაღაც უფორმო ნალებში გაეყარა. ოთხი კიდევ ფეხშიშველი იყო. ისე, ხელცარიელი არ მოდიოდნენ, თხუთმეტიოდე ფერდებშევარდნილ ცხვარსაც მორეკებოდნენ. ისე მოფარფატებდნენ საცოდავი ცხვრები, მაშინვე მიხვდებოდით, დიდი ხნის სიცოცხლე რომ არ ეწერათ. იმ ჰაჯებს ვირებზედაც იქითაქეთ ხურჯინებივით რაღაც-რაღაცეები გადაეკიდათ. ერთი სიტყვით, მთლად ხელცარიელი არ წამოსულიყვნენ.

ამ შვიდ მლოცველს კვალდაკვალ კიდევ სხვა ხუთიც მოჰყვა. ისინიც ვირებზე ისხდნენ, მაგრამ ისეთი მოხანხალებული ბებრები იყვნენ, მექამდე კი არა, ჯიდამდე თუ ჩააღწევდნენ ჰა და ჰა, ესეც დიდი ამბავი იქნებოდა. მერე მოვიდა, მაგრამ რა მოვიდა. ჭაბუკი და ბებერი; ფეხებდაბრეცილი დავრდომილი და გამართულად მავალი, ზოგი ვირით, ზოგი ფეხით, ზოგი თითქმის მთლად შიშველი. მოვიდა ჰაჯების ეს ბრბო და მაშინვე აყაყანდნენ. ისეთი ზიმზიმი იყო, თავი კაიროს ბაზარში გეგონებოდათ.

მზე რომ გადაიხარა და ცოტათი აგრილდა, შეიხ ელ ბელედიმ ბანაკის აყრა ბრძანა. ემირ ჰაჯის პროცესია აღმოსავლეთისაკენ მძიმედ დაიძრა. წინ იბრაჰიმ ბეის შავრა ცხენი მიდიოდა. მამლუქთა შორის ოდითგან ასეთი წესი დაკანონდა, ქააბაში მიმავალ ემირ ჰაჯის პროცესიას უეჭველად შეიხ ელ ბელედი უნდა ხლებოდა. იბრაჰიმ ბეი სულ ცოტა ხნის წინათ ქაჰია იბრაჰიმიდან შეიხ ელ ბელედამდე ამაღლდა და ახლა ეს საპატიო მისია სწორედ მას ერგო. შეიხ ბელედის მეომრებს ყაჩაღებისაგან უნდა დაეცვათ მექას მიმავალ მლოცველთა მყუდროება. ემირ ჰაჯის პროცესიას ოაზისიდან ოაზისამდე უნდა ევლო. თანაც შუადღის პირზე სადმე თავი უნდა შეეფარებია, არადა ტროპიკული მზე თავისას გააკეთებდა. ყოველივე ეს კარგად იცოდა იბრაჰიმ ბეიმ. იცოდა იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირველად გაემგზავრა ქააბას. მაშინ უბრალო მამლუქი მეომარი იყო და მეტი არაფერი.

ალაჰმა ინება და იბრაჰიმს შემდეგ მეორედაც მოუწია მექას გამგზავრება და მესამედაც. ხშირად კი ასე ხდება: ისე მიაბარებს ალაჰს სულს მართლმორწმუნე მუსულმანი, რომ ქააბას წმინდა სალოცავი, რომელსაც სიკვდილის წინ თავის საყვარელ აქლემზე, — ალ კავასაზე გადამჯდარმა მუჰამედმა შვიდჯერ შემოუარა, მას სიზმარშიც კი არ მოელანდება. იბრაჰიმ ბეის საქმე კი სულ სხვანაირად მოაწყო ალაჰმა, აი უკვე მეოთხედ შეაგდო მექის გზაზე. ასეთი ყიბლა მხოლოდ რჩეულთა არჩივია.

იბრაჰიმ ბეი გამართულად იჯდა შავრა ცხენზე. ნაღვლიანი, გამჭოლი მზერა ჰორიზონტისკენ მიეპყრო. ქაშიფ ალი კარგად ხვდებოდა, რომ ახლა პატრონს მარტოობა ყველაფერს ერჩია და სწორედ ამიტომ მხოლოდ დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე მის გვერდით. მოკრძალებით შეავლებდა თვალს პატრონის ღრმად ჩაფიქრებულ კუშტ სახეს და ისევ უჩუმრად ჩამოშორდებოდა.

სამი მანძილი რომ გაიარეს და უკვე შებინდებაც დაიწყო, ალი ისევ აიტუზა პატრონის გვერდით, თვალი შეავლო იბრაჰიმის მზემოკიდებულ სახეს, მაგრამ ამჯერად უკან გაბრუნება არც კი უფიქრია, შეიხ ელ ბელედისაკენ გადაიხარა და უჩურჩულა:

— ყაჩაღები გამოჩნდნენ, ცხენოსნები არიან.

იბრაჰიმ ბეის ისეთი სახე ჰქონდა, თითქოსდა ცხენზე ასე მჯდომარეს, თვალღიას ჩასძინებოდეს.

ალი ჯიუტად იდგა თავისაზე, სარდალს არ შორდებოდა.

— მე თვითონ დავინახე. ერთმა ისარიც კი ისროლა ჩვენსკენ.

იბრაჰიმ ბეი გამოერკვა. თავი გაიქნია და თავის ქაშიფს გახედა.

— ორი იყო, არა?

— დიახ, ორი, — მაშინვე უპასუხა ქაშიფ ალიმ.

— ნუ ღელავ, შვილო ჩემო, ისინი მზვერავები არიან. ასე აგვეკიდებიან ახლა აფთრებივით. მერე თანდათან მომრავლდებიან და ჯიდას რომ გავცდებით, პირველი თავდასხმა მაშინ მოხდება, — თქვა შეიხ ელ ბელედიმ, დინჯად და ისეთი მშვიდი სახით, ქაშიფ ალის შერცხვა, ნაადრევი შიში რომ გამოავლინა. იბრაჰიმ ბეიც კარგად იცნობდა თავის ქაშიფს, მის სახეზე ყველაფერი ამოიკითხა. გადაიხარა, ცხენს ფაფარზე ხელი გადაუსვა, მერე ალის გახედა და კეთილად გაიღიმა.

— სიფრთხილე მაინც საჭიროა, შვილო ჩემო!

ქაშიფ ალიმ თავი მორჩილად დაიქნია და ისევ ჩამორჩა.

მერე ის იყო, ოაზისიც გამოჩნდა. მლოცველებმა ჯერ ველური პალმების ხეივანი დაინახეს. პალმებს დიდი მწვანე ფოთლები ლაღად გაეშალათ და უდაბნოს უშველებელი ყვითელი ხალიჩა ლამაზად მოეგვირისტებინათ. მაღალ, ტანკენარ პალმებში აქა-იქ ჯუჯა ქოქოსი და ბანანიც იყო გარეული. ხეებიდან ისეთი სურნელი და სიგრილე მოდიოდა, დაღლილ-დაქანცულმა ჰაჯებმა მაშინვე ახალი ძალა და ენერგია იგრძნეს. ყველას ერთი სული ჰქონდა, გემრიელად ევახშმა ამ მიწიერ სამოთხეში, მაგრამ სანამ შეიხ ელ ბელედი ცხენიდან არ ჩამოხტებოდა, ამის უფლება არ ჰქონდათ. იბრაჰიმ ბეიმ თავის ქურანი შეაჩერა და ემირ ჰაჯის პროცესიაც გაისუდრა. მერე დაღლილი წინამძღოლი შავრა ცხენიდან ზანტად ჩამოხტა. ბრბომაც მაშინვე იხუვლა და ხეივანს კალიასავით შეესია.

* * *

იბრაჰიმ ბეი ლოცვას რომ მორჩა, სწრაფად წამოდგა. კარვიდან გამოვიდა და კრიალა, შეწითლებულ ცას ახედა. ახლომახლო მიდამო ნაირფერი კარვებით გახლდათ დამშვენებული. თითქოსდა ყვითელ სილაზე ასე ერთ ღამეში უამრავი წითელი და ნაცრისფერი, ლურჯი და თეთრი სოკო ერთბაშად ამოსულიყოს. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ კარგად იცოდა მამლუქთ წინამძღოლმა, რომ მის ყოველ ნაბიჯს ერთგული მონა ასობით თვალით უყურებდა.

შეიხ ელ ბელედი ოაზისისკენ ჩაუყვა. ცოტა რომ ჩაიარა და ჩაიკეცა კიდეც, უცებ შედგა და გაისუსა. დილის ჰაერს შორიდან მოჰქონდა ნაღვლიანი სიმღერა. იბრაჰიმ ბეი ფეხის თითებზე ამაღლდა და ოაზისთან თავისი მონა ჰასანი დაინახა. ბიჭს ორივე ხელი ცისკენ აღემართა და მთელი ხმით, მთელი სევდითა და მწუხარებით მღეროდა მონა მამლუქთა საყვარელ სიმღერას.

„მე მოვედი უდაბნოს იქიდან...
მოვედი მაღალი მთებისა და მქუხარე
მდინარეების ქვეყნიდან.
ქვეყანას ჩემსას საქართველო ჰქვია!
ნუთუ ბედად ის მიწერია:
ისე წავიდე ტანჯვის სოფლიდან
ვერა და ვერ ვიხილო ჩემი საქართველო“.

იბრაჰიმ ბეი მძიმედ შეირხა და განიერი მხრებით მაღალ პალმას მიეყრდნო. მაშინვე ორივე ხელი სახეზე აიფარა. თითებს შორის დარჩენილი ღია ადგილიდან ქურდულად გაჰყურებდა ჰასანს. ჰასანი კი ისევ მღეროდა და მღეროდა. ხმაში რიჟრაჟის ნათელივით უფრო და უფრო ემატებოდა ბოღმა და მწუხარება. ჭრაქივით თანდათან უწევდა ხმას.

„ჩემო ქვეყანავ, არ მინდა შენი შვილი
ისე მოვკვდე, ერთხელაც არ ვეამბორო
შენს მსუყე და თბილ მიწას.
მიშველე, ღმერთო!“

კოცონს უკანასკნელი ცეცხლი შეუნთო ჰასანმა და დადუმდა.

იბრაჰიმ ბეიმ იგრძნო, რომ მის უკან სილა გაშრიალდა. მამლუქთ უპირველესი არ შებრუნებულა. ისევ ისე პალმაზე ბეჭმიყრდნობილი იდგა.

— ალი! — დაიძახა მან, — ვერავინ გეტყვის, თუ ვის აღმოხდა პირველად ეს მწუხარების ჰიმნი. იმასაც ამბობენ, სულთან სალ ედინის[1] დროს სულ პირველად მორეკილმა ქართველებმა მოიტანესო ეს სევდა ეგვიპტეში. მის მერე ამ ჰიმნს მხოლოდ ის მღერის, ვისაც ყველაზე კარგი ხმა აქვს. სხვას მისი დამღერება ეკრძალება.

შენ თუ გიმღერია, ალი, ეს ტანჯვისა და გლოვის ჰიმნი?

— დიახ, შეიხ ელ ბელედი, ორჯერ ვიმღერე, მაგრამ ჰასანი ახლა ჩვენ ყველას გვჯობნის.

— მეც მიმღერია, — ხმაში ბზარი შეეპარა იბრაჰიმ ბეის, — მაგრამ ეს როდის იყო...

—როცა ამ სიმღერას ვისმენ, ყოველთვის სამშობლოს ვხედავ. მე ახლაც ვხედავ სამშობლოს — მარადიული გაზაფხულის ქვეყანას. ვხედავ და ტანში ჟრუანტელი მივლის, — ჩაიჩურჩულა ალიმ.

— შენს ვარსკვლავს თუ ხედავ, ალი?

— ვერა, ვერაფერს ვერ ვხედავ, სამშობლოს გარდა.

— მე კი ვხედავ შენს მაღალ ვარსკვლავს. მას ჯერ კიდევ აბრეშუმივით გამჭვირვალე თეთრი ღრუბელი ფარავს, მაგრამ სულ მალე მთელი ელვარებით გაანათებს. მე ეს კარგად ვიცი, ალი!

თქვა რიხით და დაჯერებით იბრაჰიმ ბეიმ. არც ცდებოდა, ხულ მალე ეგვიპტეს უნდა მოვლინებოდა ლეგენდარული ალი ბეი, დიდ სულთანად და ორი ზღვის ხაკანად წოდებული. ახლა კი ეს ოცდაორი წლის ჭაბუკი პატრონის, იბრაჰიმ ბეის განიერი ბეჭების უკან იდგა და პირამიდების ქვეყნიდან საქართველოს ხედავდა.

[1] ეგვიპტის გამგებელი მე-13 საუკუნეში.

## ივან კოტლიარევსკი



იგი ხალხს უყვარდა...

მის ცხედარს მთელი პოლტავშინა მიაცილებდა. მაქსიმ გორკიმ მასზე თქვა: „კოტლიარევსკი დიდი, უსაზღვროდ ნიჭიერი, ძალიან ღრმა, ჭკვიანი და კიდევ უფრო მეტად გონებამახვილი პოეტია. მუდამ ვხარობ, როცა „ენეიდას“ გადაკითხვის საშუალება მეძლევა; ვკითხულობ, ვიცინი და ვტირი, — იმდენად კარგია, იმდენად მხიარული და, აფსუს, რომ უკრაინის გარეთ ასე ცოტა იციან ამ პოეტზე. „ენეიდა“ კარგად უნდა ითარგმნოს, ჯერ რუსულად, რომ შემდგომ ამ თარგმანმა სხვა ენებზეც შეუწყოს ხელი პოემის თარგმნას... მარტო ტექსტის სიტყვები კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ ისიც, რაც ამ სიტყვების უკან იმალება“.

უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსმა ივან პეტრეს ძე კოტლიარევსკიმ (1769-1838) ამ პოემით პირველთაგანმა უმღერა თავის სამშობლოს.

„ენეიდას“ ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი უაღრესი ხალხურობაა; უბრალოება და სიმართლე უკვდავყოფს ამ პოემას.

ბიბლიოთეკა

# ენეიდა

და ენეასმა ისევ იჭექა,
მთვრალს ახლა სხვა რამ მოეგუნება:
ბრძანა: მომგვარეთ ყოჩი ბიჭები,
მინდაო მუშტი-კრივის ყურება...
დუღს „ხალიანდრა“ — ბოშათა ცეკვა,
ყოველ სარკმელთან ზარივით რეკავს
შეგირდთა გუნდის ხმები წკრიალა,
სიმს აკვნესებენ ბრმა კობზარები,
გაჰქუხს მუსიკა, ხოლო მთვრალები
რას არ მღერიან ომახიანად!

წინკარში დაჯდა სულ თავკაცობა,
ხალხი ყოჩს ელის ვეება წრეში,
ვინ ალაყაფის თავზე აცოცდა,
ვინ სარკმელს ეცა სეირის ეშხით;
და აი, ისიც — ბრგე და ჩასხმული,
კომპანიელის დარად ჩაცმული,
მხეცი დამრტყმელი, სახელად დარეტ!
მკლავის გამართვა ახლავე ნებავს;
მუშტი შემართა და მოჰყვა ყეფას
დამდუღრულივით ცხარედ და მწარედ:

„აბა, ვინა ხართ, გამოდით ჩქარა!
გასინჯეთ ჩემი მუშტების ძალა,
ვხედავ, გვერდები მოგქავებიათ,
მეც მზად ვარ, სისხლი გადინოთ ღვარად!
ჰეი, დედლებო, მოიწით აქეთ,
რა ბიჭიცა ვარ, ახლოდან ნახეთ,
რომ გაგისიოთ ტყლიპი ახლავე!
გაგალამაზებთ სუყველას მალე,
ჯერ დაგიბუშტავთ ლილისფრად თვალებს
და მერე კბილებს გადაგაყლაპებთ!

მეტი შიშისგან სუყველა დუმდა —
ეს მხეცი არვის გაახარებდა.
მიტომაც იყო, არც არვის სურდა,
ცოცხალი თავით გასვლა დარეტთან.
ყვიროდა: „ვხედავ, კვდებით კანკალით,
გინდ თქვენ ყოფილხართ, გინდ ბუზანკალი,
ნეხვის ტომრები რომა ხართ, ვიცი!“
რომ გაიკრიფა მუტრუკი ენად,
ისეთი ლაფი დაასხა ყველას,
გასკდომა ჯობდა ნამდვილად მიწის.

რისხვამ იხუვლა აბცესტის გულში —
ტროელს, კაზაკთა შორის ქებული,
თვალწინ დაუდგა მყის ენტელუსი
და ადგილს მოსწყდა გაცეცხლებული;
საჩქაროდ სადმე რომ მოეწყხა
და ეთქვა: ძმაო, კაცი შენა ხარ,
ამოგვყარეო ჯავრი დარეტის;
ხოლო ვეება ენტელუსს ამ დროს,
მართლა დევივით ჯან-ღონის პატრონს,
სადღაც ეძინა არყით გალეწილს.

ბოლოს მიაგნეს კიდეც ღობესთან,
ჩრდილში ხვრინავდა მამაპაპურად;
ყურში ძახილი როცა მობეზრდათ,
ხალხი ხელ-ფეხზე დაეჯაჯგურა.
ძლივს მოაბრუნეს უგონოდ მთვრალი.
ხვრინვა შეწყვიტა და ცალი თვალით
ბიჭებს ახედა: „არა გწამთ ღმერთი?
რას მერჩით, რატომ აღარ მაძინებთ,
მომეშვით, თქვენი დედაც ვატირე!“ —
აბურტყუნდა და იცვალა გვერდი.

გაგიჟდა ხალხი: „ადექი, კაცო,
ახლა გვჭირდება შველა, გატანა!“
ენტელუსმა კი, ავსილმა ბრაზით,
მოსულებს ერთიც დაუტატანა,
მაგრამ ყველაფერს რომ ჩაჰყვა აზრით,
წამოხტა, თითქოს აძგერეს ბასრი,
აღარ აცალა სხვებს ლაპარაკი,
აყვირდა: „რაო? მომკალით ბარემ,
ყოფას ვუტირებ ტრაბახა დარეტს,
გამიჩინეთო ოღონდ არაყი!“

მოურბენინეს არაყი ხელად,
სულ ფაცხაფუცხით, კარდალით თანაც,
დევკაცმა ყელი რომ ჩაისველა,
ერთი გემოზე რომ დაიჯღანა,
ამოამთქნარა: „მომყევით, ძმებო,
თქვენი დარეტი იმგვარად ვხეპო,
ცომად ვუქციო ძვლები ახლავე;
ისე გავუხდი ტრაბახას ნეკნებს,
ჭკუის სასწავლად მის დღეში ექნეს,
მოვედ, ლეკვივით მივასაკლავებ!“

აი, დარეტიც!.. და ენტელუსმა
ჩაიროხროხა ისევ: „ერიჰა!
შე მართლა ვირგლა, გიჟობდა სადმე
გაპარულიყავ, სანამ მთელი ხარ!
არადა გულის დღე შავზე შავი,
ფაშუზე გაგხეთქავ გომბეშოსავით,
ვერ დამიძვრები ნაღდად ხელიდან!
ვეღარ გამასწრებ იცოდე ვერსად,
უნდა გაქციო ეშმაკის კერძად,
კრიჭა შეგიკრა ამიერიდან!“

ძირს დაანარცხა ფაფახი კუშტად,
დაიკაპიწა ორთავე ხელი,
მერე ჰაერში შემართა მუშტი,
კბილის ღრჭიალით მოშუღარს ელის,
თუ მისწვდა დარეტს — პა-პა-პა, მტრისას!
მძიმედ მიიწევს მისკენ და მიწას
ფეხს უბაყუნებს — „დამიდექ, აბა!“
დარეტს მეტოქის გამჭოლი მზერით
ცოტა არ იყოს, ეცვალა ფერი,
თუმცა თავიდან არ ჰგავდა ჯაბანს.

ოლიმპიელებს ამასობაში
უზენაესთან ლხინი გაებათ,
იმ გაბმულ სმაში და ერთ ყოფაში
ვიღას ახსოვდა კაცთა ვაება;
სულ თაფლის კვერით და თეთრი პურით,
ვაშლით და კენკრით ეოხათ გული,
გამომთვრალიყვნენ კიდევაც იქვე;
იმდენს ხეთქავდნენ მუცელღმერთები,
რომ დასკდომაზე ჰქონდათ ფერდები,
დამგვანებოდნენ გატიკნილ ჩიქვებს.

აბა, იმათგან მოკვდავთა ჭირი
სხვამ ვინ უწყოდა, მერკურზე უკეთ,
იმ კატასავით ისკუპა, პირი
რომ უნდა სტაცოს ყველიანს, მსუყეს.
დასჭყივლა სუფრას: „სამწყსოზე ხელი
სულ ჩაიქნიეთ? სირცხვილი თქვენი!
სმის მეტი საქმე არა გაქვთ განა?
ნახეთ, რა ხდება სიცილიაში! —
კაცს ეგონება, ზრიალ-გნიასით
შემოესია მომხდური ქალაქს!“

თქვა და ღმერთებმაც შეწყვიტეს ლხინი
და ისე ჭყიტეს ციდან თვალები,
ცვრიან მდელოზე, ზაფხულის დილით,
რომ დააჭყეტენ ხოლმე მყვარები...
ენტელუსი კი კვართის ამარა
დამდგარა წრეში და წარამარა
ჰაერში მუშტებს იქნევს ვეებას;
დარეტი ნაღდად ბედმა გაწირა: —
ამ მხეცთან ჭიდილს უჯობს ასწილად
შავიზღვისპირელ კაზაკს შეებას!

ვენერამ მიწას რომ გადმოხედა
და თვალი მოჰკრა ფერნასულ დარეტს,
ღრიალი მორთო: „ვაიმე, დედა!..
გაწყდით!.. მოისპეთ!.. არ გაიხარეთ! —
და ზევსთან გაჩნდა: — თქვენ თუ მიშველით,
რომ მთელი შერჩეს დარეტს კისერი —
სძლიოს ენტელუსს, რამე იღონეთ!
ჩემს დარეტს მიწა რომ დააყარონ,
მეც დამივიწყებს მთელი სამყარო,
მის მეტი, აბა, ვინ მომიგონებს...“

ამ დროს ბახუსი წამოხტა მთვრალი,
იწყო ვენერას ლანძღვა-გინება,
ლამის მუშტებით მითეთქვა ქალი,
არ იქნა მისი დაშოშმინება:
„ხმა გაიკმინდე, შე კახპა, შენა,



საქართველოს პარლამენტის ეროვნული

# პიონერიის 60 წელი

## ნორჩი თაობის მეგობარი

შესრულდა 60 წელი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაარსებიდან. საყოველთაოდ ცნობილია მოზარდი თაობის ამ ორგანიზაციის უდიდესი მნიშვნელობა ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. სწორედ აქედან იწყება ნორჩ მოქალაქეთა ფორმირება და წრთობა, როგორც უფროსი თაობის ღირსეული ცვლისა. ამიტომაც პიონერული ორგანიზაციებისადმი ზრუნვა ჩვენში საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმეა.

ლენინური გვარდიის სახელოვანი წარმომადგენლები პიონერული ორგანიზაციების საპატიო წევრებიც იყვნენ. ხშირ შემთხვევაში ისინი შეფობას უწევდნენ პიონერებს, მეგობრობდნენ ნორჩებთან. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალა (იხ. ფონდი 607; აღწ. I, საქმე 459, ფურც. 1-3). საარქივო საბუთი გვაუწყებს: 1925 წლის 22 ოქტომბერს სომხეთის ნორჩ პიონერთა ცენტრალურ ბიუროს ამიერკავკასიის ცაკ-ში გამოუგზავნია წერილი, რომელშიც ითხოვდნენ დილიჟანის მაზრის სევკარსკის კოლექტივისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მიხა ცხაკაიას სახელის მინიჭებას.

აი ეს დოკუმენტიც:

„ამხანაგო ცხაკაია!

პიონერულ მუშაკთა გაფართოებული თათბირი გიგზავნით თქვენ, ძველ ვეტერანს, მხურვალე სალამს და ადგენს — სევკარსკის (დილიჟანის მაზრა) კოლექტივს ეწოდოს თქვენი სახელი. თათბირის მონაწილენი პირობას დებენ, აღზარდონ ჩვენი პარტიის სახელოვანი ძველი გვარდიის ღირსეული ცვლა.

პიონერული ორგანიზაცია სომხეთში რამდენიმე წელიწადში გაიზარდა მძლავრ ორგანიზაციად. მან შეძლო, შეეკავშირებინა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობა. ორგანიზაციამ შეძლო მიყრუებულ სოფლებში მცხოვრებ გოგონებისა და ბიჭების პიონერულ ორგანიზაციაში გაერთიანება, მათი პარტიისა და კომკავშირის თანაშემწეებად გადაქცევა. მაგრამ ამ წარმატებებს ადვილად როდი მივაღწიეთ, დღემდე არ გაგვაჩნია მტკიცე მატერიალური ბაზა, რაც აფერხებს ჩვენს მუშაობას.

ამხანაგო ცხაკაია! თათბირი უწოდებს რა თქვენს სახელს სომხეთის ერთ კოლექტივს, ამით გამოხატავს სურვილს, დაგვაკავშიროთ თქვენ, ლენინური გვარდიის წარმომადგენელი, ჩვენს ორგანიზაციასთან და გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი ბიოგრაფია და ფოტოსურათი ჟურნალ „პიონერისათვის".

სალმით თათბირის თავმჯდომარე — დავთიანი, მდივანი — პლუზიანი".

მიხა ცხაკაიამ სომეხ პიონერთა თხოვნა 1925 წლის 3 იანვარს გააცნო ამიერკავკასიის ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმის სხდომას. პრეზიდიუმმა დაადგინა: „გამოიყოს დილიჟანის მაზრის სევკარსკის კოლექტივის საჭიროებისათვის დახმარება ორასი მანეთის რაოდენობით. გაიგზავნოს დასახელებულ კოლექტივში მიხა ცხაკაიას ბიოგრაფია და ფოტოსურათი.

ამიერკავკასიის ცაკ-ის მდივანი — ა. შავერდოვი".

ეს საარქივო საბუთი შესანიშნავი მაგალითია სომხეთისა და საქართველოს პიონერული ორგანიზაციების მეგობრობისა, იმ გულისხმიერებისა და მზრუნველობისა, რომელსაც იჩენდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები მოზარდი თაობისადმი.

**გურამ შენგელია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ფოთოლა

ავთანდილ მეგრელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა

კახამ მომცა ვაშლი,
არც მე დავრჩი ვალში.
მეც მივართვი ხილი,
კომში, მსხალი, თხილი.

ყვანჩალა

მდინარეში გადამხტარა
შავი ყვავი ყვანჩალაო,
თურმე ცურვა არ ცოდნია
და კინაღამ დამხრჩვალაო.

ბებია

თბილ კალთაში ჩაისვა
ბებომ გელა და ლია.
და-ძმას თაფლი აჭამა,
თვითონ — ჩაი დალია.

ცრუპენტელა

საღამოა, მოლზე ვსხედვართ,
ყველა ვუსმენთ ქოსა ვახოს:
— სანადიროდ გახლდით
შარშან
და როდესაც გავცდი ახოს,
უცებ ვხედავ, მოდის დათვი,
ხეც არ იდგა არსად ახლოს...
განა შიშით დავიბენი?
წუთიც კი არ დავახანე,
გადმოვიღე ჩემი თოფი,
ტყვია გულში დავახალე!
თითქოს მართლა თოფს
ისროდა,
იძახოდა: — ბახ და ბახო!
პაპამ უთხრა: —
ცრუპენტელავ,
თუ არა გსურს გაილახო,
ტყუილები არ მოჩმახო,
არც ნამდვილი იტრაბახო!
დაადუმა პაპამ ვახო,
ჩვენ ვიცინით ახლომახლო.

რისი დარეტი, დახსნა და შველა,
როცა ენტელუსს უფრო ეგების!..
ისე იქნება, როგორც მე მინდა,
თორემ ხომ იცი, ერთს დავთვრები და
კიდეც შეგდგები მერე ფეხებით!

ენტელუსს ნეტავ რა ქება უნდა,
რახს წყალივით სვამს, წვეთს არ იპარავს,
სულში ვიძვრენდი ასეთებს მუდამ,
ვმფარველობდი და კვლავ დავიფარავ!..
დიახ, არავინ გადაემტეროს,
თორემ ბდღვირს ადენს ჩემი ენტელუს!..
ჰოდა, მოგჭამა დარეტმაც ჭირი,
წუღარ გაჰკივი გულშემზარავად,
ის გირჩევნია სლუკუნს და ტირილს,
დაემშვიდობო მაგ შენს ფალავანს!"

არყისგან ცხვირ-პირ გაბიჟვინებულ
ზევსს არ ეამა მათი ლაქლაქი;
რას მიქვიაო ლანძღვა-გინება,
ამოიღნავლა ვაი-ვაგლახით:
„ჰა? ვისთან ბედავთ, რო ბედავთ მაგდენს,
მამას ძაღლადაც კი აღარ მაგდებთ,
მე თქვენ გიჩვენებთ ზევსთან ბალანგას!
რა დახმარება, რის დახმარება!
გინდათ არიოთ საქმე მთვრალებმა?!
მორჩით! ვუყუროთ ვინ ვის გალახავს!"

ცრემლებით შეხვდა ვენერა უარს —
მშრალზე დატოვა მეუფეს სიტყვამ,
კუდი ძაღლივით ამოიძუა
და კარის ზღურბლთან ამრეზით მიდგა;
ესიამოვნა იქ მარსის ხილვა,
მყის მოჰყვა ზევსის თათხვას და კილვას!..
ბახუსმა ფეხი დაჰკრა მაშინვე,
განიმედესკენ მოუსვა სწრაფად
და მის სარდაფში სათლით თხლაშიო,
დაბოლმილ გულზე სულ ხვნეშით ყლაპა.

როდესაც ცაში ღმერთებს სიფხიზლის
ნიშატი აღარ აჩნდათ სრულებით,
სიცილიაში ხდებოდა მაშინ
გაუგონარი სასწაულები.
რომ გამოერკვა შიშისგან ცოტა,
დარეტი გონსაც მოეგო, ჰოდა,
ენტელუსს მყისვე უხელთა წამი,
ისეთი მოსდო შლეგივით მზირალს,
გააჭიმინა ხუთმაგი ყირა,
სიმწრის ცრემლები ადინა ლამის.

ჰა, ინებეო, შე ბრიყვო, ხურდა
და ენტელუსმაც ცოფები ჰყარა,
გაცეცხლებული მიეჭრა მურდალს
და საფეთქელში რომ მიაფარა,
აკვესებინა ბურჯგლი თვალთაგან,
გააოგნა და დააჯანდაგა,
ძირს დაანარცხა გონდაკარგული;
სმენა დაუხშო ზრიალმა საწყალს,
მიწის ბოხნით და ამბორით გაძლა,
მტვერში ვაგლხად ცხვირ-პირ ჩარგული.

ხორხოცი მორთეს მყის თავკაცებმა,
ენტელუსს დასცეს ქების ყიჟინა,
საცინლად აღარ ეყოთ ნაცემი,
სულ ძმარს გადენთო რომ დაიჟინა.
— წამოაყენეთ! — ქუხს ენეასი
და მოცოცხლდესო ეგება კაცი, —
ბრძანა, ჰაერზე გამოეყვანათ.
— ბურნუთისთვისო ეს უზალთუნი! —
და გამარჯვებულს აჩუქა ფული, —
მოუხდებაო ეგრე მკვეხარას!..

უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ.

# ღვინის ნალექი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ელგუჯა მერაბიშვილი**

**მოთხრობა**

მტკვრისპირა კლდეებს იისფერი ნისლი მიეძალა, მდინარეშიც ჩაქუფრდა ცის ლაჟვარდი.

— დამაჭრდა წყალი და ეგ არის! — ბეგომ ჯერ პეშვი ამოჰკრა და მოსვა, მერე ორივე მუჭით სახეზე შეისხა ცივი წყალი.

გარეცხილ, ტენტით გადახურულ ახალ მანქანასთან ძმაკაცები ელოდნენ, სველ ქოჩრებს ივარცხნიდნენ, პერანგის ღილებს იკრავდნენ, კოხტავდებოდნენ.

— ეს იყო განბანვა მარანში შესვლის წინ, — თქვა ბეგომ და ბიჭებთან მივიდა, დიდი, ზოლიანი პირსახოცი აიღო, სახე შეიმშრალა.

ბიჭები მანქანაში სხდებოდნენ. მასპინძელი, ბრგე ტანის წაბლისფერთმიანი ჭაბუკი საჭესთან გვერდულად იჯდა და მეგობრებს შეჰყურებდა. მის გვერდით ცვლის ინჟინერი თემურ ჯაიანი მანქანის ქარსაცავ მინაში ორად გაყოფილ სველ თმას იტკეპნიდა. ბეგო უკანა სავარძელზე ზღარბივით თმააბურძგნილ, ჭორფლიან ძმაკაცს მიუჯდა. შენ, ჩემო ძმაო ლენტო, ნახევრად ინტელიგენტოო, მიეფერა და მანქანაც დაიძრა.

— უჰ, რა მიყვარს, ბიჭო, ახალ მანქანაში ჯდომა! — ხელები მოიფშვნიტა ბეგომ, — ჯუმბერ, რამდენი დაგიჯდა?

— მე არც კაპიკი, პაპას კი ბლომად დაუჯდა. მამას რომ თბილისიდან გამოვექეცი და წინაპართა კერას დავუბრუნდი, ქუდი ჭერსა ჰკრა სიხარულით და ეს მანქანა მიყიდა.

— ისევ უკან რომ გამოქცეულიყავი, თანაც მანქანით?! — გაეცინა თემურს.

— პაპა არაფერში მოტყუვდება... მე და თინა გვნახა ერთად სოფლის ორღობეში; თინა კი დაწყებითი კლასის მასწავლებელია და არსად აპირებს წასვლას! — ჯუმბერი სახემომღიმარი გაჰყურებდა გზას.

— გამოდის, რომ ჩვენ ახლა საქორწინო ღვინის გადასაღებად მივდივართ! — თემურ ჯაიანს დედისაკენ გაექცა ფიქრი. თბილისელ დედისერთას ყოველ საღამოს შინ მოუთმენლად ელოდა მარტოხელა ქალი, თანაც ნიადაგ იმას ეხვეწებოდა, გოგოების მეტი რაა, ვინმე მოიყვანე, ხმის გამცემი მაინც მეყოლებაო...

— დილას ახალთახალი მუხის კასრი გადმოვუტანე ახალქალაქიდან, იქაური ხელოსნის ნახელავია. ქვევრებიც გარეცხილი მაქვს; ის მაფიქრებს, ქუდი არ ჰქონდეს დაბრუნებული ღვინოს.

— რა ქუდზეა ლაპარაკი? — გაიკვირვა თემურმა.

— ღვინის ქუდზე.

— თუ ძმა ხარ, მთლად ბავშვებად ნუ ჩაგვთვლი, — თემურმა ურწმუნოდ შეხედა ჯუმბერს, — ქვევრის სარქვლის გარდა, სხვა რა ქუდი უნდა ჰქონდეს ღვინოს?

— აქვს და მერე როგორი!.. კაცივით ნამუსის ქუდი ახურავს ღვინოსა, კლერტებით, ჩენჩოთი და წიპწით ნაქსოვი. რაც უფრო ძალუმია ღვინო, მით უფრო მკვრივად ნაქსოვი ქუდი ახურავს, დინჯი და აუჩქარებელია ჯიშიანი ქართული ღვინო — გვიან იხურავს ქუდს, ოღონდ დუღილს მალე ამთავრებს და თუ მაშინვე სხვა ჭურჭელში არ გადაიღე, გაგიბრაზდება, მოიხდის და ფეხთით დაიგდებს ქუდსა და ძირს დაილექავს! — ჯუმბერმა სვლას უკლო და მანქანა გზისპირას მიაყენა.

ხიდზე საგარეუბნო მატარებელი გადადიოდა, ღია სარკმლებიდან თმააწეწილი გოგონები იყურებოდნენ. ლენტო წამოხტა და ხელის ქნევით მიესალმა, გოგონებმაც უპასუხეს.

— მაგ საწყლებს, ალბათ, ჰგონიათ, ოთხიდან ყველაზე ტანადი ბიჭი ამოვარჩიეთო, — ჩაიქირქილა ბეგომ.

— ცული პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წამოაქცევს ხოლმე, — გამოექომაგა თემური თავის ოქროსხელიან ზეინკალს.

შავტუხა, დიდკბილება ბეგომაც იცოდა, რომ საქმეში ყველას სჯობდა მისი კისერჩაძვრენილი ძმაკაცი, გამორჩევით უყვარდა და ამიტომაც ექილიკებოდა.

მატარებელი სადგურთან გაჩერდა და ხალხით გადაჭრელდა ბაქანი. ისრიმთვალება, სახებუნჩულა თემურ ჯაიანი ხალხმრავალ ბაქანს გაჰყურებდა და ფიქრით თბილისში იყო.

— ავტობუსს ვაცალოთ, თორემ მტვრით აგვავსებს! — თქვა ჯუმბერმა.

— რამდენკოკიანია, ჯუბა, პაპაშენის ქვევრი? — ჰკითხა ბეგომ და სქელი ტუჩები მოილოკა.

— რომელზე მეკითხები. თეთრი თვრამეტკოკიანში გვაქვს, თავკვერი — ათიანში... ნუ გეშინიათ, კი არ დაგღლით, უფრო საექსკურსიოდ წამოგიყვანეთ, თორემ მე და ლენტოც ვეყოფოდით საქმეს!

— არა, კაცო, მაგიტომ კი არ ვთქვი, ღვინო იყოს, თორემ! — ბეგომ ვეება მხრები მისწი-მოსწია და მკლავები დაკუნთა.

— ტყუილად ლამობ, ძაანაც იბანავე, მაგრამ, ხომ ხედავ, არაფერი გეშველა. გიგო პაპას მეშამფურე ციგანი ეგონები და ეზოშიც არ შეგიშვებს, არა თუ მარანში! — შესციනოდა ლენტო თავის გრძელმკლავება მეგობარს.

ბეგომ ხელი მოჰკიდა და იღლიისქვეშ მოიქცია ენაკვიმატი მეზობელი.

— ხუმრობა იქით იყოს და იქ არ დამიწყოთ ეგეთები, თორემ პაპამ თუ შეგატყოთ, რომ სოფლისა არაფერი გაგეგებათ, ახლოს არ გაგაკარებთ ქვევრებს, მისაყვედურებს, ეს რა ხალხი მოგიყვანიაო. ორი ვაჟი ჰყავს, მამაჩემი და ძია კოტე, ორივეს დასცინის, თავკვერის ღვინო დამიწუნეს, თბილისში ყრიან და წყლიანი ლუდით იჭყიპებიანო.

— მოაბრუნე მანქანა! გამოცდების ჩაბარება რომ მდომოდა, თავკვერისაკენ აღარ ვიზამდი პირს! — დაიროხროხა ბეგომ.

— გამოცდაზე ვინ გიშვებს, რომ გეშინია კიდეც! — შეედავა ლენტო.

ყველას გაეცინა.

— ნუ გეშინიათ, — გაეცინა ჯუმბერსაც, — მარანში რომ შეხვალთ, არაფერი არ გაიკვირვოთ. მხარმარცხნივ, კუთხეში, ბალამწარის ქერქისგან შეკრული სარცხები ალაგია, ზოგი გრძელტარიანი და ზოგიც მოკლე, იქვე აყუდია ჯამკეტები, მაწაწურები, ფიწლები ჭაჭის ამოსაღებად. ხის თაროებზე კი თუნგები, თუნგულები, ქაშანურის ხელადები, ჩაფრუკები, დერგები, დოქები, სალვინეები, ჭინჭილები, ქარახსები, თასები, ჯამები, ჯიხვის რქები და სხვა სასმისები აწყვია, კავებზე სხვადასხვა ზომის ძაბრები და რეზინის მილები ჰკიდია.

მანქანის ქარსაცავ მინაზე სადგურისწინა მოედანი გამოიხატა. მოედანი ხალხით იყო სავსე. მგზავრები ხელდახელ შეიკრიბნენ ავტობუსებში და მანქანები სხვადასხვა მხარეს, ველის სიღრმეში მიმოიფანტნენ.

ჯუმბერმა სვლას უმატა, როგორც კი გზა გაიწმინდა მტვრისაგან.

— ქვევრს რითი რეცხავთ ხოლმე? — ჰკითხა თემურმა.

— ქვევრს, უფროსო, კაი ქალივით უნდა მოვლა. შენი თავი მექისედ უნდა წარმოიდგინო, უხვად დასაჩუქრებულ მექისედ... ჯერ თბილი წყლის აბაზანები უნდა მიაღებინო, სარცხით გაუხეხო გვერდები, ისეთი მასაჟი უნდა ჩაუტარო, ვარდისფრად აუფერადდეს კანი, ამის შემდეგ კიდევ უნდა გაავლო ნელთბილი წყალი და მერე არც ნელსაცხებლები დაივიწყო, უნდა აიღო ღვიის მწვანე ბომბორა ფუნჯი და მისი წიწვების სურნელით გაზავებული წყლით აბანაო კარგა ხანს, მერე ერთი გემოზე კიდევ უნდა ალვრინჭილაო სუფთა გრილი წყლითა და თავლია დატოვო ჰაერის აბაზანების მისაღებად.

— შიგ რომ რამე ჩავარდეს? — იკითხა თემურმა.

— ხახალი ახურავს, ჭილის ქუდივით მოქსოვილი მანეულის წრე. ზუსტად ასეთი მოვლილი ქვევრები გველოდებიან ახლა პაპაჩემის მარანში. მივალთ და თეთრით დავიწყებთ, ალბათ...

— პურ-მარილს რითი იწყებს პაპა? — იკითხა ბეგომ.

— ყველა შემთხვევაში წინწანაქარით. ეგეც არ გაიკვირვოთ, რა არისო. დაწურული ღვინისა და გამოხდილი არყის პირველ წამონადენს ჰქვია. ჰოდა, არყის წინწანაქარით იწყებს პაპა. ამ დროს მარნის დაბალ ტაბლაკზე მხოლოდ შოთია ჩამორიგებული, სიგრძეზე დახეული ხმელი თევზი აწყვია თეფშებზე, სუფრის შუაში

კი, ხის დიდ ჯამზე კამით, ნივრითა და ნიახურით შეგემებული, დამწნილებული პამიდორი აწყვია, ოდნავ შემღვრეული, შემწიფებული, ზემოდან კი ქარვისფერ ფორეჯებად აყრია გრძელი წიწაკები. ტაბაკზე თუშური ყველი დევს ჯერ დაუთლელი, ერბოგამოჟონილი, შიგ დანა არჭვია და კიდევ მწვანილი ყრია ტაბაკზე, ხახვიდან დაწყებული რეჰანამდე...

როგორც კი ბოლო კაცი მიუჯდება სუფრას, პაპა მოზვრის ყანწში დაისხამს წინწანაქარსა, დაილოცება და თეთრ ულვაშებზე გადაისვამს ცერსა.

— უხ, შენ გენაცვალე! — ხელები მოიფშვნიტა ბეგომ.

— ოთხივე სახარებას, სამებასა და ერთარსებას რომ დალოცავს, თუნგს ჩააყუდებს ქვევრში და ღვინის წინწანაქარს ააჩქეფებს ჩაფრუკაში. პაპა დალოცავს ხარის ქედს, კაცის მარჯვენას, ცის ნამს, დედამიწის მოსავალსა და ბოლოს მშვიდობაზე შეაგდებს სიტყვას, ჩვენ მოვლილ ვენახს გაუმარჯოს — ჩვენს დიდ ქვეყანასაო, დალევს და შესძახებს ჭერსა, მოგვხედე, სად დაიკარგეო, გეგონება ციდან ანგელოზებს უხმობსო. ორი წუთიც არ გავა, რომ ფრასტები აწკაპუნდება ქვის კიბეზე — ეს ბებო ჩამოდის მარანში, მოდის და მოჰგვის გრძელი კაბის ბოლოთი კიბის საფეხურებს. მოდის კეთილად მომღიმარი და შარავანდედად ადგას ხილაბანდში აკრეფილი ჭაღარა თმა. გამხდარ, დაძარღვულ ხელებში გიშრისფერი ქოთანი უჭირავს თავისი ციცხვითა, მოდის და მოქილიკობს, მუცელს თუ ბოძი არ შეუდგით, შვილებო, ისე რა გააჩერებსო. მუცლის ბოძად ლობიოს თვლის. მერე დაასხამს თიხის ჯამებზე ნიგვზით, ნივრითა და ქონდრით შენელებულსა და თუ ბიჭი ხარ, კოვზი ან ჩანგალი მოითხოვე, შეფიცხებული მჭადით უნდა მიირთვა...

* * *

ანაზდად გზაზე ხელბარგიანი კაცი გადმოდგა და ხელი ასწია, წამიყვანეთო, ითხოვა. ჯუმბერმა სვლას უკლო.

— რას იტყვით, წავიყვანოთ კალათიანი?

— მაგას რაღა კითხვა უნდა, — მიუგო თემურმა.

— რა ვიცი, იქნებ ვერ ჩავტიოთ-მეთქი, ბლომად კაცი ჩანს.

— წავიყვანოთ, — თქვა ლენტომ, — მაგხელა ლიპის პატრონი, სხვა თუ არაფერი, სმაში მაინც მოგვეხმარება.

ჯუმბერმა მანქანა დაამუხრუჭა და, კალათი ტენტზე შემოდეთ, რამეთი დაამაგრეთო, ბიჭებს გადაულაპარაკა. კაცი ხვნეშით ამოფოფხდა და ბეგოს გვერდით დაჯდა.

— თამადაც უკვე ვიპოვეთ, ახლა კი წავედით დასალევად! — თქვა ჯუმბერმა მხიარულად და მანქანა დაძრა.

— ღვინოს ბლომად სვამ, ძიაკაცო? — ჰკითხა ლენტომ.

— რამდენიც გაგეხარდებათ, — ამოიბუყბუყა კაცმა და მოუსვენარი წვრილი თვალებით მოჩხრიკა ბიჭები.

— ალბათ, ავტობუსში ვერ აეტიე, არა? — ბეგომ ალმაცერად ახედა კაცს.

— როგორ ვერ ავეტეოდი, მაგრამ სანამ გავარკვევდი, რომელში ჩავმჯდარიყავი, ერთიც წავიდა, მეორეცა, მესამეცა და მეოთხეცა.

— სად მიდიხარ, იქნებ, აქაც შეცდომით დაჯექი? — გაეცინა თემურს.

— ეს გზა თაკვერის გარდა არსად მიდის, მეც იქ მინდა!

— სადაური ხარ? — ჰკითხა ლენტომ.

— თაკვერელი.

— მერედა, დალოცვილო, რაღა ავტობუსებს არკვევდი, რომელშიც თქვენებურები სხდებოდნენ, შენც იმაში შეჭედილიყავი.

კაცმა ამის გაგონებაზე ხაფანგში გაბმულ მელასავით დააცეცა თვალები, ასწია და ისევ დაიმხო გადახოტრილ დიდ თავზე გაქონილი კარტუზიანი ქუდი, წითური კაცი იყო, ლოყებღაჟღაჟა და თითქმის ქოსა.

— თქვენ კი გაიხარეთ, მააქ კიდევა ავტობუსებში ჭყლეტის თავი?!

— მატარებლიდან ჩამოხვედი თუ არა, თქვენებურებს უნდა ასდევნებოდი.

— ვიცნობდი და არ ავედევნე? — გულმოსულად თქვა, ეტყობოდა, მოთმინებიდან გამოვიდა.

— როგორ, კაცო, თქვენებურებს არ იცნობ? — გაუკვირდა თემურსაც.

— არ ვიცნობ და ძალაა?

ჯუმბერმა სარკიდან შემოხედა ამ უცნაურ მგზავრს, მაგრამ ვერ იცნო.

— შენ რაღაცა გეშლება, ბიძა, თაკვერელი არ იქნები. მაშ, თუ აქაური ხარ, ისიც გეცოდინება, რამდენი კილომეტრია აქედან შენ სოფლამდის?

— შვიდი ვერსია დევის ნამუხლარამდინა... იმას იქით, სოფლის პირამდინა, კიდევ ნახევარი.

— დევის ნამუხლარი რის გამო ჰქვია?

— რაღა მახსოვს, შვილო, ოცდაათი წელია, წასული ვარ, ათასში ერთხელ თუ ჩამოვალ, ხან ვენახია მისახედი, ხან სახლი...

— გამასულელებს ეს კაცი, — ამბობდა ჯუმბერი და თან ენერგიულად ატრიალებდა საჭეს, — სახლიც აქა აქვს, ვენახიც, თანასოფლელებს კი არ იცნობს.

— ბიძა, ვენახს როგორღა უვლი ათასში ერთხელ ჩამოსვლითა? — ბეგომ ამრეზით შეხედა.

— აკი ველარც მოვუარე... ავდექი და გავაბარე... ჩემ გარეთა ბიძაშვილსა ჰქონდა შარშანდლამდინა, მერე იმანაც თავი დაანება და არი ეგრე. კუფხალიც არ ება წრეულა... ახლა ეშმაკივით შემომიჩნდა ჩვენებიანთ უსეინა, იქნებ იცნობთ კიდეცა, გავკაფავ ვაზსა და კომბოსტოს დავრგავო, უნდა მივცე, მა რა ვქნა!

— რა ვაზია? — ჰკითხა სარკიდან ჯუმბერმა.

— თავკვერი. სხმაც არ იცის რიგიანათა, მტევანი უქვირითდება.

— კარგი მოვლილი რომ ყოფილა, იმიტომ.

— არა, თითონ ალაგი არ ვარგა.

— პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და — ეზო მრუდეაო, — ლენტოს სიცილი წასკდა.

— ეგრე კია და, — ჩაიბურტყუნა კაცმა.

დუმილი ჩამოვარდა. ყველა გზას გაჰყურებდა. თვალსაწიერზე უკვე მოჩანდა სოფლის ზვრები.

— ჩვენ სოფელს მაგ ვაზის გამო დაერქვა თაკვერი და დევის ნამუხლარიც აქაურ ვაზზე თქმული ლეგენდაა, — ჯუმბერის ხმაში წყრომა ისმოდა, — ვის რა უფლება აქვს, მაგ ვაზს უდიერად მოექცეს.

— მაინც რა ლეგენდაა ეგეთი — ჰკითხა თემურმა.

— შინ რომ მივალთ, იქ მოგიყვებით.

— არა, ჯობს, მაგ კაცის გასაგონად მოჰყევ! — არ დაუთმო თემურმა.

— პაპა ჰყვება ხოლმე, თაკვერელ კაცს ღვინო გადაუღია, საკლავები დაუკლავს და მოყვრებში დაუპირებია წასვლა. შეუბამს ურემში ნამგალარქიანი შავი კამეჩები, დაუდვია ზედ თავკვერის ღვინით სავსე ორი რუმბი, გადაუკიდია კოფოზე ჭრელი ხურჯინი — ერთ თვალში გოჭ-ინდაურითა და დედლის ბეჭით, მეორეში შოთით, ლავაშით, ხაჭაპურითა და ნაზუქით, უხსენებია ღმერთი, დაულოცია მგზავრანგელოზი, გადაუკრავს თუნგით სისხლისფერი ღვინო და ღიღინით გასდგომია გზას. სად იყო და სად არა, ერთი ცალყურა დევი შემოჰყრია ნაღვარევთან და გზაზე გადასდგომია. საით გაგიწევიაო, უკითხავს თაკვერელისთვის, სიდედრისკენაო, უპასუხია: ეგ ორი რუმბი რაღაა, განა ერთი არ ეყოფოდა შენ სიმამრსაო? ეყოფოდა, როგორ არა, მაგრამ მეორე გამვლელ-გამომვლელისააო, მაშ, თუ აგრეა, გამვლელიც მე ვარ და გამომვლელიც, ჩამოასხი, დავლიოთო.

თაკვერელს ჭალზე ყურით ჩამოცმული თუნგი ჩამოუღია, დევისთვის დაუჭერინებია ხელში და უთქვამს, თუ შენ ერთ რუმბს დალევ, მეორეც მიჩუქნიაო. გასცინებია დევს, სირჩად მორთმეული მოზვრის რუმბი ბევრი დამილევია, მაგას რა სანაძლეო უნდაო. თაკვერელს მაინც გამოუდვია თავი, თუ მაგას დალევ, მეორე რუმბზეც და ხურჯინზეც ხელი ამიღიაო, სადაც გინდა, წაიღეო.

გახარებია ცალყურასა და დაუწყიათ სმა, ჯერ თუნგით სვამდნენ, მერე კი, თურმე პირდაპირ რუმბის ყელიდან მოიწაფა დევმა... პოჭოჭიკამდის ვერ მისულა, შეუსვენია, ისე ჩაუმუხლავს დასაწაფებლად, მაგრამ ველარც დაულევია და ველარც წამომდგარა, ცალ მუხლზე უტრიალია და ბურღივით მოუთხრია სალი კლდე, სანამ არ წაქცეულა.

— ახლაც არის ეგ ნამუხლარი? — თემურს ფიქრიანი სახე ჰქონდა.

— როგორ არა, რომ ავივლით, გაჩვენებთ.

დუმილი ჩამოვარდა. სოფელი კი თანდათან გამოიკვეთა მთისძირა ფერდობზე.

— ქალაქში რაზე მუშაობ, ძიაკაცო? — ჰკითხა ბეგომ.

— საწყობი მაბარია. შეშაც ჩემ ხელშია და ნახშირიცა, თუ დამჭირდა, სხვა რამეზეც მიმიწვდება ხელი.

— მაშ, ჰკაფავ ვენახსა და ეგ არი! — ჩაერია ლენტო.

— ხალხი იოლ ცხოვრებაზე არი გადასული, მიწასთან ჭიდაობა აღარავის უნდა, მე რაღა ძალა მადგია. ან სადა მაქ მაგის თავი.

— სამამულო ომის ინვალიდი ხომ არა ხარ? — წამით მოჰხედა ჯუმბერმა.

— ნწუ!

— შრომისა?

კაცს ხმა არ ამოუღია, თითქო ბუზებს იგერიებსო, ისე გადააქნია თავი.

— რომ არ უმუშავია, სად უნდა დაინვალიდებულიყო, — ჩაიფხუკუნა ლენ-

ტომ, — ვერა ხედავთ, ბულა კამეჩს უგავს კისერი?

ბიჭებს გაეცინათ, კაცმაც უგემურად ჩაიქირქილა.

— თუ არაფერი მოგიყვანია, ძიაკაცო, მაგ დიდი კალათით რის წამოღებას აპირებ? — თემური გაკვირვებას ვეღარ მალავდა.

— მშრალი ჭაჭა მაქვს სხვენზე გაფენილი, სახლიკაცს გამოვართვი დაწურვის დროს, ერთი გემოზე გავტენავ „კარზინკასა", ზემოდან ორ მუხის კუნძს დავადებ და ჰაიდა ქალაქისკენა. თუნდ, ტონა ღვინოს გავაკეთებ... რასაც სხვები მასმევენ, მეც იმას დავალევინებ, — კაცს სიცილი წასკდა, მაგრამ რაკი დაინახა, რომ არავინ აჰყვა, გაყვითლებულ ღოჯებზე აიფარა ხელი.

მანქანა უცებ დამუხრუჭდა, ოდნავ გადასცდა გზის სავალ ნაწილს და გაჩერდა.

— მივედით, — ჯუმბერმა მგზავრს გადმოხედა. — აქ იყრება ჩვენი გზა!

— აქ რა უნდა გზის გასაყარსა!.. — ენა დაება კაცს — ...ერთი გზაა სოფლამდინა.

— გასაყარი ისეა, რომ შენ უკან წახვალ შენი კალათიანად, თორემ თუ დაგინახე სოფლისაკენ მობრუნებული, გამოვექანები და დაგაუთოებ!.. გამიგე?! — ჯუმბერი ახლა ბიჭებს მიაჩერდა, — მიაწოდეთ კალათი!

კაცმა მაცდური თვალები აახამხამა, ჯერ მძღოლს შეხედა, მერე დანარჩენებს, მაგრამ თანაგრძნობა ვერავის სახეზე ამოიკითხა.

— ჩადი, ჩადი! — დაუმატა ლენტომ.

კაცმა უნდილი ღიმილი გადაიკრა მსუქან სახეზე და მანქანიდან ჩაბობღდა.

ჯუმბერმა ადგილიდან დიდი სისწრაფით მოწყვიტა მანქანა, მაგრამ ერთხელ მაინც გახედა გზას.

— წადი და, ვისაც გინდა შესჩივლე, თაკვერელ კოხტა გიგოს შვილიშვილმა მანქანიდან გადმომაგდო-თქო, თანაც, თუ ვაჟკაცი ხარ, ისიც უთხარი, რისთვის ამოგკრეს პანღური!

ბიჭები იცინოდნენ.

— ამ წურბელას არ უყურებთ! სოფელს მთელ ზაფხულს მუშახელი აკლია, ეს კი დახმარების მაგიერ ერთ კაცს კიდევ ართმევს თაკვერსა თავისი ვენახისა თუ ნავენახარის მოსავლელადა... უხ, შენი!

— გადააგდე ბოთლით წყალი, როგორც ზღაპარშია! — უთხრა თემურმა ლენტოს.

— არა, ჯერ სავარცხელი უნდა, — მოჩვენებითი სერიოზულობით მიუგო ლენტომ და ბეგოს მიუბრუნდა, — ესროლე!

— შენ სულელი ხომ არა ხარ, სავარცხელს როგორ გავიმეტებ?!

ყველამ უკან მიიხედა.

კაცი იმავე ადგილას იდგა, ხელში ცარიელი კალათა ეჭირა და აღარ იცოდა, რა ექნა, ვეღარც წინ მიდიოდა და ვეღარც უკან.

# ხელოვნება

## დავით ანდღულაძე

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, დავით ანდღულაძე გამოჩენილ ქართველ მომღერალთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელია.

მომღერალმა წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში. ხალხის სიყვარული და პატივისცემა მუდამ თან სდევდა ამ მაღალნიჭიერ ხელოვანს.

„რამდენი სიხარული და სიამოვნება განმიცდია, როცა ჩვენი საყვარელი დავითი მღეროდა ხოლმე; თითქოს მთელი სხეული იელინთებოდა მისი ძლიერი და მომხიბლავი ხმით, თითქოს აჰყავდი სადღაც ზევით, მწვერვალებისკენ", — იგონებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე.

„დ. ანდღულაძე უმაღლესი კლასის ტენორია, ვოკალის დიდოსტატი, რასაც უდავოდ ადასტურებენ მისი მოწაფეები", — აღნიშნავს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. პეტროვი.

ფრიად ნაყოფიერი და მრავალფეროვანია დ. ანდღულაძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. ეს გზა ოციან წლებში დაიწყო, როცა სიმღერით გატაცებული ჭაბუკი „ვოკალურ სტუდიაში" პროფესორ ევგენი ვრონსკისთან იწყებს მეცადინეობას.

„ჩვენი მუშაობის პირველი დღიდანვე გამაოცა ჩემი მოწაფის არაჩვეულებრივმა ნებისყოფამ, სიმტკიცემ და შრომისმოყვარეობამ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის, რაც მე შევძელი გამეღვიძებინა დ. ანდღულაძეში, დიდია და არც მას, არც მე არ ძალგვიძს, განვსაზღვროთ მისი ნიჭის საზღვარი. ის დიდია და შეუკავებელი, როგორც გაზაფხულზე ადიდებული მდინარე...", — წერდა შემდგომში პროფესორი ე. ვრონსკი.

„ვოკალური სტუდიის" დამთავრების შემდეგ ქართველი ჭაბუკი მოსკოვში კ. სტანისლავსკის სახელგანთქმულ სტუდიაშია. აქაც, თავისი უბადლო ვოკალური მონაცემებით — ძლიერი, მეტალური ტენორითა და თანდაყოლილი აქტიორული ნიჭით, ჟღერადობის მდიდარი პალიტრით, არტისტული ტემპერამენტითა და განსაკუთრებული მუსიკალობით იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას.

1922 წლის 7 ოქტომბერი მნიშვნელოვანი თარიღია ქართველი მომღერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში; ამ დღეს დაიწყო მისი აქტიორული ცხოვრება, ამ დღეს ქ. ბათუმში პირველად წარსდგა იგი მსმენელთა წინაშე. შემდეგ თბილისის საოპერო თეატრში გატარებული წლები, პირველი გამოსვლები, პირველი წარმატებები... ერთიმეორეს ცვლიდა მსახიობის მიერ მაღალნიჭიერად განსახიერებული როლები, დღითი დღე იზრდებოდა ანდღულაძის ნიჭის თაყვანისმცემელთა რიცხვი. მანრიკო, რიჩარდი, რადამესი, ოტელო (ვერდის „ტრუბადური", „ბალ-მასკარადი", „აიდა", „ოტელო"), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები"), ხოზე (ბიზეს „კარმენი"), აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი"), შოთა (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"), ტარიელი (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა", შვილი (ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი"), რაული (მეიერბერის "ჰუგენოტები"), სამსონი (სენ-სანსის „სამსონი და დალილა") — ეს არასრული სიაა დ. ანდღულაძის მიერ ხორცშესხმული პარტიებისა, რომლებიც ახალი გამარჯვება იყო არა მარტო მომღერლისათვის, არამედ მთელი საბჭოთა საოპერო ხელოვნებისათვის.

1934 წლიდან სახელოვანი მომღერალი მოსკოვში, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტად მიიწვიეს. სამი სეზონი ამშვენებდა იგი ამ თეატრის სცენას თავისი შთამაგონებელი სიმღერით.

აქტიორული მოღვაწეობის პარალელურად დ. ანდღულაძე ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა თბილისის კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრას; მის კლასში აღიზარდა მთელი პლეადა შესანიშნავი მომღერლებისა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე და ზ. სოტკილავა.

„ამ სახელგანთქმული მომღერლების წარმატება საბჭოთა ვოკალური სკოლის სიამაყეა", — აღნიშნავს მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი ჰუგო ტიცი.

მომთხოვნი და სამართლიანი, თავისი საქმის ღრმა მცოდნე და ტრფიალი, დიდბუნებოვანი, გულისხმიერი, მამობრივად მზრუნველი — აი, ასეთი ახსოვთ ქართველი მაესტრო მის ყოფილ მოწაფეებს.

„ყველაფერი, რასაც მე მივაღწიე დღეისათვის, ჩემი სათაყვანებელი პროფესორის დ. ანდღულაძის დამსახურებაა, — ამბობს ზ. სოტკილავა, — მან ამიხილა თვალი ნამდვილი ბგერისა და სიმღერის სიფაქიზეზე, სირთულესა და მშვენიერებაზე. დაუვიწყარია მასთან გატარებული წლები, მისი სიკეთითა და მამობრივი ალერსით გაცისკროვნებული თვალები..."

დ. ანდღულაძის, როგორც ჩინებული პედაგოგის სახელი, მის სიცოცხლეშივე გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ამაზე ნათლად მოწმობს თანამედროვეობის გამოჩენილი მაესტროს ჯენარო ბარას სიტყვები: „არსებობს და ათას წელს კიდევ იარსებებს განთქმული მაესტროს, სენიორ დავითის სკოლა, რომლისგანაც ყოველივე იმის მოსმენა შეიძლება, რასაც მე ვემოწმები და რაც მან ასე შესანიშნავად იცის..."

ტრადიცია გრძელდება — დღეს სახელოვანი პედაგოგის საქმეს ღირსეულად განაგრძობენ მისი მოწაფეები: „გრანიტისებური" ტენორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის, საკავშირო და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი, თბილისის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი, კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ზურაბ ანჯაფარიძე და ზურაბ სოტკილავა. მათ კლასებში ახალგაზრდა მომღერალთა ახალი თაობები ისტატდებიან, რომელთა შორის არიან საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატები, საოპერო თეატრის წამყვანი ახალგაზრდა სოლისტები: ე. გეწაძე, მ. ჯალილოვი, ა. ჭურღულია, თ. გუგუშვილი...

**ეთერ ლონდარიძე**

# თათია ხაინდრავა




მაისის თბილისური საღამო, სახელმწიფო ფილარმონიის ფოლკლორის სასახლის ეზო და შემოგარენი, საოცრად უბრალოდ მოწყობილი სცენა, რომელზედაც თითქოს დაუდევრად მიმოეფანტათ მინდვრის ყვავილები...

ქართული მწერლობისა და ხელოვნების მოტრფიალენი ელოდნენ მხატვრული კითხვის ოსტატის თათია ხაინდრავას ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას „მზეო თიბათვისა“.

ამ შვიდიოდე წლის წინ რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზის სცენაზე შედგა უჩვეულო პრემიერა, რომელმაც მოხიბლა მსმენელი რეჟისორული ჩანაფიქრითა და მსახიობის გარდასახვის ძალით. მაშინ ჩვენმა საზოგადოებამ აღიარა თათია ხაინდრავასა და რობერტ სტურუას შემოქმედებითი გამარჯვება.

ამ ულამაზეს საღამოს თავისებურ იერს აძლევდა მხატვარ მირიან შველიძისა და კომპოზიტორ გია ყანჩელის ხელოვნება.

მერე თითქმის მთელი საქართველო შემოიარა მსახიობმა. სამართლიანად წერდა გაზეთი „საბჭოთა აჭარა“: „ცოტა უბრალოდ პოეზიის საღამო ვუწოდოთ ამ საღამოს. არსებითად ესაა „ერთი მსახიობის თეატრი“...

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის სახელწოდებაც როდია შემთხვევითი. როცა ათეული წლების წინათ თათია ხაინდრავამ გალაკტიონ ტაბიძეს პირველად წაუკითხა „მზეო თიბათვისა“, აღფრთოვანებულმა პოეტმა მას ლექსების კრებული აჩუქა და თან წააწერა: „თათია ხაინდრავას ხმასა და შუქს“... სწორედ დიდ პოეტთან მსახიობის ამ ლამაზ შეხვედრას დაადგა ნათელი სხივი რეჟისორმა რობერტ სტურუამ და საღამოც გალაკტიონის სიტყვებით იწყება:

**მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,**
**ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.**
**იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,**
**ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები!**

სცენაზე გამოჩნდა მსახიობი და... ამეტყველდა ყველაფერი: კელაპტრის შუქიც, დიდი მწერლის პორტრეტიც, როიალიც და ძველებური სამფეხა სკამებიც... უაღრესად თბილმა, გულის სიღრმიდან მომდინარე ხმამ და „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონთა სიდიადემ უმალ შეკრა დარბაზი სცენასთან. სულ რამდენიმე ნაბიჯი ჰყოფდა მსახიობს მაყურებლისაგან და მაინც იდგა იგი, როგორც ამაღლებული, შორეული არსება და ცხოვრობდა ხალხისათვის საყვარელი გმირების ცხოვრებით. პატარა სცენა და კაფანდარა მომხიბლავი ქალი წუთისოფლის რამდენ ტკივილსა და სიხარულს იტევდა!

იმ საღამოს მახვშის კოშკიდან გამოგზავნილი თარაშის ბარათიც უფრო გულახდილი ჩანდა და თამარის აღსარებაც, ვინ იცის, მერამდენედ იტანჯებოდა მორიელებისაგან დაგესლილი დიდოსტატი კონსტანტინე და ოთაარანთ ქვრივიც უკანასკნელ ძალას იკრებდა, რომ შვილის საფლავზე დაეტოვებინა გაწამებული სული... მსახიობიც ხან იასავით ნაზი, სათუთი და მიუსაფარი, ხანაც მყინვარწვერივით ზვიადი და უკარება იყო.

უშუალო განცდა, ზედმიწევნით მიგნებული ინტონაციები, ფრთხილი, მოზომილი მოქმედება, ყველაფერი მეტყველებდა ათეული წლების იმ დაძაბულ შრომაზე, რომელიც თათია ხაინდრავამ მოახმარა ქართული მხატვრული სიტყვის მადლს, მის მსმენელამდე მიტანის ოსტატობას.

უამრავი ყვავილი, მოკრძალებული თაყვანისცემა იმის მაუწყებელი იყო, რომ კიდევ ერთ გამარჯვებას ზეიმობდა ქართული ხელოვნება.

**ნათელა გიორგობიანი**

# შინმოუსვლელი ჯარისკაცის რვეულიდან



გარეკახეთში, კაკაბეთის შინმოუსვლელთა ობელისკის მემორიალურ დაფაზე სამასზე მეტი გვარია ამოტვიფრული. მათ შორის იკითხება ალექსი ქიტას ძე პაპუაშვილი, რომელსაც ახლობლები და თანასოფლელები ლექსოდ იცნობდნენ.

მშობლიურ კერას ორმოცდაერთი წლის წინათ გაშორებია მეოცე წელიწადში გადამდგარი ეს ოქროსფერთმიანი ახოვანი ჭაბუკი, შინ კი ყელმოხატული ფანდური და ყავისფერყდიანი სევდით სავსე ლექსების რვეული დაუტოვებია.

გთავაზობთ ოთხ ლექსს შინმოუსვლელი ჯარისკაცის რვეულიდან.

**ალექსი პაპუაშვილი**

## პ ო ე ტ ი

...მისი ცხოვრება ასჯერ დასრულდა,
ის ისევ ცოცხლობს რაღაც ძალათი,
ფიქრები სტანჯავს პოეტის სულს და
თავს სევდა ადგას, როგორც ჯალათი.
მას ხშირად ნახავთ შესაბრალისად
მიდის ქუჩაში დაფიქრებული,
მაგრამ შეგხვდებათ, შემდეგ ამისა,
ამაყად, ანდა გაფითრებული...

## ო, რომ გცოდნოდა...

რაკი მზერასაც მიკრძალავ, ქალო,
ამ უკანასკნელ ნუგეშსაც მართმევ,
მე ისღა მრჩება, რომ ცრემლი ვღვარო
და შენს თვალებთან არ მქონდეს საქმე.
რად მომარიდე ამაყად პირი,
როს მოწყალებით გიმზერდი მწირი?
ო, რომ გცოდნოდა, რომ იმ მზერაში
თვით უკვდავება აფრქვევდა სხივებს,
შენ შენიშნავდი უთუოდ მაშინ
ზელვთაებრივი სიწმინდის იერს,
მაგრამ მიმილე შენ ბოროტ სულად,
ისე უკმეხად მისთვის შემხედე
და თუ ნუგეში რამ მქონდა დღემდე,
შენ ის ნუგეშიც წამართვი სრულად.

## როცა შენ გიცქერ..

ეგ შენი მორცხვი შემოხედვა სულს მიელვარებს
და სული ჩემი განახლდება ერთ წუთს ფენიქსებრ,
და თვალს მარიდებ, კვლავ კუშტდება გული მღელვარე,
სიცოცხლეს მხოლოდ მაშინა ვგრძნობ, როცა შენ გიცქერ.
მაგრამ არა ხარ შენ წამალი ჩემის წამების,
თორემ სულს ვფიცავ, ქალო, რომ შენ შეგიყვარებდი
და საუკუნოდ შენთან ერთად გავიხარებდი
თვით უკანასკნელ, შავ სიკვდილის საშიშ წამებში.

## ნ ა ნ გ რ ე ვ ე ბ შ ი

მარტოდ ვიდექი ნანგრევებში, ცა იმსხვრეოდა
მტვერი, ნანგრევთა ანადენი, თავს მეხვეოდა.
ვიდექ მარტოკა ცის თაღის ქვეშ და ცის სვეტები
ჩემს წინ მიწაზე ეცემოდნენ თავგამეტებით.
მაინც გადავრჩი, შეწყდა მსხვრევა და გამოვედი,
ჩანს, რომ არც ისე უკუღმართი მქონია ბედი...

# გამოცდის ჟამი

**ფეხბურთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარუნ აკოფოვი

ძნელია ილაპარაკო ფეხბურთის XII მსოფლიო ჩემპიონატზე მაშინ, როცა ესპანეთში პაექრობის დაწყებამდე ორიოდე დღეღა დარჩა. ამ წერილს მკითხველი ალბათ მაშინ წაიკითხავს, როცა ესპანეთში ზენიტს მიაღწევს ფეხბურთელთა შერკინება, ანდა მაშინ, როცა უკვე ცნობილი იქნება ფეხბურთში მსოფლიოს მორიგი, მეთორმეტე, ჩემპიონი.

უკან დარჩა პროგნოზების პერიოდი. უკვე გამოქვეყნებულია გუნდების შემადგენლობათა საბოლოო განაცხადი. პირინეის ნახევარკუნძულზე დაიწყეს ჩასვლა ფეხბურთელთა გუნდებმა, რომელთა შორის პირველნი იყვნენ ლათინური ამერიკის ფეხბურთის წარგზავნილები — არგენტინელები და ბრაზილიელები.

13 ივნისს ბარსელონაში გაიმართება პირველი მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან არგენტინის და ბელგიის ნაკრები გუნდები. მომდევნო დღეს სპორტულ პაექრობაში ჩაებმება ჩვენი გუნდი, რომელსაც კენჭისყრამ პირველ მოწინააღმდეგედ ჟიულ რიმეს თასის სამგზის მფლობელი ბრაზილიის ნაკრები არგუნა.

ბევრ სპეციალისტს, პირველ რიგში საზღვარგარეთელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელმაც თორმეტი წლის შეყოვნების შემდეგ ფინალურ ტურნირში გაიკაფა გზა, მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ ეტაპზე გასვლის კარგი შანსები აქვს.

რას ეყრდნობოდა ეს პროგნოზები? ჰქონდათ თუ არა მათ მყარი დასაყრდენი? ჰქონდათ. გავიხსენოთ: 1980 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოწინააღმდეგის მინდორზე დაამარცხა ბრაზილიის გუნდი, რასაც იშვიათად აღწევს რომელიმე ქვეყნის ნაკრები (ბოლო ორ წელიწადში ბრაზილიის ნაკრებმა, რომელსაც ტელე სანტანი ხელმძღვანელობს, 31 მატჩი ჩაატარა. აქედან 23 თამაში მოიგო და მხოლოდ ორი წააგო — საბჭოთა კავშირის ნაკრებთან და ურუგვაელებთან. შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში ჩვენმა ფეხბურთელებმა ბუენოს-აირესში ფრედ დაამთავრეს შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონთან და, ბოლოს, დამაჯერებლად განვლეს შესარჩევი ტურნირი, რომელმაც ესპანეთის საგზური მოუტანა მათ. ასე, რომ, გასულ შემოდგომაზე ჩვენ საკმაოდ სოლიდური მონაცემები გვქონდა ოპტიმიზმისათვის: ნაკრების შემადგენლობა თანდათან კრისტალდებოდა, გუნდი ევახარებდა თავისი თანამედროვე, შემტევი ტექნიკური თამაშით. ამოცანა ნათელი იყო — უნდა გაგვემტკიცებინა მიღწეული, ახალი გზები და საშუალებანი გვეძებნა უკეთესი წარმატებისათვის.

მიმდინარე წლის გაზაფხულის მოვლენებმა ოპტიმიზმი როდი შეგვმატა: ერთიმეორის მიყოლებით მწყობრიდან გამოვიდნენ მინდვრის შუა ხაზის წამყვანი მოთამაშეები — ჯერ ვლადიმერ ბესონოვი, შემდეგ დავით ყიფიანი, ბოლოს, ლეონიდ ბურიაკი. ეს ის ფეხბურთელები იყვნენ, რომელთა ტექნიკური ოსტატობა და კომბინაციური მანევრების ტალანტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა გუნდის სახეს, მის შემტევ სიძლიერეს.

ორი კიეველი — ბესონოვი და ბურიაკი, საბოლოო ჯამში, მაინც გაემგზავრებიან ესპანეთში. გულშემატკივრებს სწამთ, რომ ისინი საიმედოდ დაეხმარებიან ჩვენ გუნდს მსოფლიო პირველობის მატჩებში.

ის უფლება, რომ იყოს საბოლოო განაცხადის სიაში, ბესონოვმა დამაჯერებლად დაამტკიცა უკანასკნელ საკონტროლო მატჩზე შვეციაში. მრავალთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, ბესონოვი მინდორზე თითქმის ყველა პარტნიორზე უკეთ მოქმედებდა. რაც შეეხება ბურიაკს, როცა 22 ფეხბურთელის საბოლოო განაცხადს ადგენდნენ, იგი ჯერ კიდევ დოლბანდით ხელშეხვეული დადიოდა. ყიფიანი? მისი გადაწყვეტილება, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ მიატოვოს ფეხბურთი, გამოიყურება უფრო როგორც მოულოდნელი, შეიძლება დასანანიც, ვიდრე დროული გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებაწ ფეხბურთის ყველა მოყვარული დაალონა. რომ ვთქვათ, ყველაფერი იყო გაკეთებული იმისათვის, რომ დავით ყიფიანი ნაკრებისათვის შეენარუჩნებინათ?

ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეხბურთელთა აკლიმატიზაციას და ადაპტაციას იმ პირობებთან, რომელშიც მათ უხდებათ გამოსვლა. შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს გუნდები სტარტის აღებამდე ორი-სამი კვირით ადრე დაიძრნენ ევროპაში. ისინი წვრთნას გადიან და საკონტროლო თამაშებს ატარებენ ესპანეთის მახლობლად, კერძოდ, პორტუგალიაში. ევროპის გუნდებს, ცხადია, არ სჭირდებათ დიდხანს შეეჩვიონ „ესპანურ" პირობებს, მაგრამ ისინი ორიოდე დღით ადრე მაინც ჩადიან პირველი მატჩის ჩასატარებელ ადგილზე. გფრ-ს ნაკრების მწვრთნელმა ი. დერვალმა ესპანეთში გამგზავრების დღედ გამოაცხადა 12 ივნისი და თქვა: „მე არა ვარ „ათუხთუხებულ ქვაბში" მეტად ადრე ჩასვლის მომხრე. პირველ მატჩს 16 ივნისს ვატარებთ და დარჩენილი 4 დღე აკლიმატიზაციისათვის სავსებით საკმარისია".

საბჭოთა კავშირის მთავარმა მწვრთნელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩვენ გუნდს შეუძლია ივარჯიშოს შინ, შავი ზღვის სანაპიროს პირობებში, რომელიც ძალიან წააგავს ესპანეთს. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ნაკრების გაფრენა ესპანეთში პირველი მატჩის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე დაინიშნა. მოგვიანებით გუნდის გეგმები შეიცვალა — წვრთნის დასკვნით ეტაპს გუნდი ატარებდა მოსკოვის მახლობლად მდებარე თავის ბაზაზე ნოვოგორსკში, ესპანეთში გამგზავრების ვადა კი უცვლელი დარჩა. ეს გავს ექსპერიმენტს, რომლის შედეგს, ვფიქრობ, ვერავინ იწინასწარმეტყველებს.

ყიფიანის წასვლის და გუცაევის ავადმყოფობის მიუხედავად, ქართული ფეხბურთი ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში. შესარჩევ ტურნირში ექვსი, ხოლო მსოფლიო პირველობის ფინალში ოთხი თბილისის დინამოელის მონაწილეობა (წინათ ასეთი რამ არ ყოფილა), ისევე როგორც ნოდარ ახალკაცის ნაკრების მწვრთნელთა მთავარ საბჭოში შინვევა, ჩვენი კლუბის მაღალ კლასსა და ავტორიტეტზე მეტყველებს. ეს ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ.

სანყენია, რომ ყიფიანი და გუცაევი ვერ ითამაშებენ ესპანეთში, სადაც იციან ლამაზი ფეხბურთის და მოთამაშის ხელოვნების ფასი. ყიფიანს და გუცაევს აქ კარგად იცნობენ, განსაკუთრებით შარშანდელ საერთაშორისო ტურნირზე თბილისელთა გამოსვლის შემდეგ. ამ ტურნირში მონაწილეობდა მსოფლიო ფეხბურთის მრავალი ვარსკვლავი „ოქროს ბურთის" ორგზის მფლობელის კარლ-ხაინც რუმენიგეს მეთაურობით. ყოველივე ამის მიუხედავად, საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ვლადიმერ გუცაევს მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს" მოთამაშეები მონაწილეობდნენ მსოფლიოს XII ჩემპიონატის შესარჩევ ყველა წინასწარ მატჩში. მათ წილად მოდის გატანილი ბურთების თითქმის მესამედი (20 ბურთიდან 6). საგულისხმოა ისიც, რომ ესპანეთში გამგზავრებული ყველა ქართველი ფეხბურთელი შეტანილი იყო პირველ სავარაუდო სიაში, სადაც 40 ფეხბურთელი იყო დასახელებული. უფრო მეტიც, ყველა მათგანმა საკმაოდ მყარად დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში. ასეთი მაჩვენებლებით არ შეუძლია იამაყოს თვით კიევის „დინამომაც", რომელმაც ნაკრებს ყველაზე მეტი კანდიდატი — რვა ფეხბურთელი მისცა.

ნაკრებში ერთ-ერთი აქტიური პოზიცია უკავია მის კაპიტანს და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ალექსანდრე ჩივაძეს, რომელიც ბოლო წლებში საერთაშორისო კლასის მოთამაშემდე ამაღლდა. ალექსანდრე ფეხდაფეხ მისდევს თავის წინამორბედ მურთაზ ხურცილავას, რომელიც მრავალი წელი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი. აღსანიშნავია, რომ ხურცილავა ქართველ ფეხბურთელთაგან ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც სამ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, ორ ფინალურ ტურნირში. მასვე ეკუთვნის მსოფლიო პირველობის მატჩებში მონაწილეობის რეკორდი. მურთაზ ხურცილავამ ჩაატარა 15 შეხვედრა, 11 მატჩი ითამაშა რევაზ ძოძუაშვილმა, 10 — მიხეილ მესხმა (გაიტანა 3 გოლი); ამდენივე ბურთი გაიტანა სლავა მეტრეველმა. დღევანდელ მონაწილეთაგან თბილისის დინამოელებიდან მსოფლიო პირველობაზე ყველაზე მეტი მატჩი ნათამაშევი აქვთ ალექსანდრე ჩივაძეს და თენგიზ სულაქველიძეს — 6-6 მატჩი, 5-5 მატჩი ითამაშეს ვიტალი დარასელიამ და რამაზ შენგელიამ (გაიტანა 4 ბურთი).

საბჭოთა ფეხბურთის საერთაშორისო ავტორიტეტი ამჟამად მეტად მაღალია. მის აქტივში ბევრი ბრწყინვალე გამარჯვებაა. არ არის მხოლოდ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი — წარმატება მსოფლიო ჩემპიონატში. ჩვენს ნაკრებს ყველა პირობა ჰქონდა სრულყოფილი მომზადებისა და ესპანეთში წარმატებით გამოსვლისათვის. თუ როგორ გამოიყენებენ ამ შესაძლებლობებს, ამას გვიჩვენებს მსოფლიოს XII ჩემპიონატი.

## ღიმილის ოსტატები

კარიკატურისტ მხატვართა გამოფენები ჩვენში იშვიათად ეწყობა ხოლმე, ამიტომ მისასალმებელი იყო გამომცემლობა „მერანის“ საექსპოზიციო დარბაზში მხატვარ-კარიკატურისტის ვახტანგ კუციას ნამუშევერთა პირველი პერსონალური გამოფენა.

ვახტანგ კუცია დიდი ხანია მუშაობს კარიკატურის ჟანრში. მისი კარიკატურა პირველად ნოდარ დუმბაძემ მოიწონა და ჟურნალ „ნიანგში“ გამოაქვეყნა.

გარდა რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებისა, ვახტანგ კუციას ნამუშევრები საზღვარგარეთული პრესის ფურცლებზეც ქვეყნდება. გერმანული „ულენ შპიგელი“, პოლონური „შარიკი“, ჩეხური „დიკობრაზი“ აქვეყნებენ ქართველი კარიკატურისტის ნამუშევრებს. 1980 წლის ოლიმპიადისთვის გამართულ კონკურსში მან ლაურეატობა მოიპოვა.

ჟურნალ „ნიანგის“ აქტიური ავტორი, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „დიელოს“ სოლისტი და ჩინებული კონფერანსიე ვახტანგ კუცია ხშირად მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საგასტროლო მოგზაურობები უფრო ამდიდრებენ და ავსებენ მხატვრის შემოქმედებას.

ათვალიერებთ ვ. კუციას ნამუშევრებს და გრძნობთ, მის დიდ სიყვარულს მშვენიერებისა და სულიერი სისპეტაკისადმი; იგი ხატავს გაბედულად, მისი ხაზი ჩამოყალიბებული და ნათელია.

ყურადღებას იპყრობს ნამუშევარი — „მთვრალი საჭესთან“ (პირობითად ასე ვუწოდეთ მას). ნახატის სიუჟეტი გროტესკულია, ავტორი დასცინის იმ თავნება მძღოლს, რომელიც მთვრალი ზის საჭესთან, ფარნიშანზე გამოსახული ადამიანი მას ცოცხლად კაცად ეჩვენება, პანიკას მოუცავს — ჰგონია, ეჯახება.

1978 წელს ეს ნახატი დაიბეჭდა კრებულში — „საბჭოთა კარიკატურის ოსტატები“.

ერთ-ერთი კარიკატურის ფოტომონტაჟზე წარმოდგენილია დედაშვილის გასაჭირი — ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, მუსიკის, ინგლისურის რეპეტიტორებისგან გადაღლილი ბავშვი ძლივს მიჰყავს მშობელს:

— კიდევ ვისთან ვართ მისასვლელი? — ეკითხება დედა.

— პოლიკლინიკაში, თავი მტკივა! — უპასუხებს ბავშვი.

ქართველი კარიკატურისტის ნამუშევრების ხილვისას გრძნობთ დიდი დანიელ კარიკატურისტ ხერლუფ ბიდსრუპის კეთილისმყოფელ გავლენას.

**მანანა გრიგოლია**

# საგულისხმო, სახალისო

გეოგრაფიის მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრა დედამიწის შესახებ და თვალსაჩინოებისთვის მისი ფორმა თავის მრგვალ ჩიბუხს შეადარა.

ორშაბათს გაკვეთილებს დაესწრო ინსპექტორი. გეოგრაფიის გაკვეთილზე მან საერთო კითხვა დასვა:

— მითხარით, როგორი ფორმისაა დედამიწა?

კლასი დუმდა.

მასწავლებელმა ჩიბუხი ამოიღო და მძლავრად მოქაჩა. ერთ-ერთი მოსწავლე მკვირცხლად წამოხტა და უპასუხა:

— დედამიწას ორშაბათობით მართკუთხედის ფორმა აქვს, დანარჩენ დღეებში კი მრგვალია!

მასწავლებელს იმ დღეს მართკუთხა ჩიბუხი წამოეღო.

* * *

მასწავლებელი მოსწავლეებს წელიწადის დროებზე ესაუბრებოდა:

— შემოდგომა წელიწადის ყველაზე უხვი და ბარაქიანი დროა; მწიფდება მსხალი, ვაშლი, ატამი...

ამ დროს მასწავლებელმა შეამჩნია, ანტონიო არ უსმენდა.

— ანტონიო, როდის არის ყველაზე ხელსაყრელი დრო ვაშლის მოსაკრეფად?

— პატივცემულო მასწავლებელო, ვაშლის მოსაკრეფად საუკეთესო დრო მაშინ არის, როცა პატრონი შინ არ არის და მის ძაღლს ძინავს! — სწრაფად მიუგო ანტონიომ.

* * *

— ლუის, რა არის გრამატიკა? — ეკითხება მასწავლებელი.

— გრამატიკა?.. გრამატიკა?..

— დიახ, გრამატიკა. რთული შეკითხვაა?

— არა, მასწავლებელო, შეკითხვა ადვილია, მაგრამ პასუხია ძნელი!

* * *

— პეპიტო, აბა, მითხარი, როგორ იქნება ყვავილი მრავლობით რიცხვში?

— თაიგული, მასწავლებელო!

ესპანურიდან თარგმნა **მარინე მელაძემ.**

## კონცერტი მეტროში

ცნობილია, რომ გადატვირთული ტრანსპორტი ადამიანს თენთავს და აღიზიანებს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მგზავრთა უკეთ მომსახურებისთვის, ტრამვაის და ავტობუსების სალონებში გასართობ მუსიკას გადმოსცემენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს საგანგებო რადიოსადგური, რომელიც მხოლოდ „სამგზავრო“ პროგრამას გადმოსცემს. შვეციაში პოპულარულია კონცერტი „მუსიკა შინ მგზავრობის დროს“...

პარიზის მეტროპოლიტენის სამმართველო უფრო შორს წავიდა: ოთხი დღის განმავლობაში ოც სადგურში დღე და ღამე შეუჩერებლად გრიალებდა ორკესტრი.

ეს ექსპერიმენტი რამდენიმე ასეული ფრანკი დაჯდა.

შეჯამდა შედეგი. გამოკითხულ მგზავრთა უმრავლესობამ ზედმეტად ცნო მეტროპოლიტენის სადგურებში მსგავსი კონცერტების გამართვა.

მიზეზი?

ბევრ პარიზელს თურმე ჯაზური მუსიკა არ უყვარს, ზოგს საესტრადო კონცერტი მოსწონს და კლასიკურ მუსიკას ვერ იტანს, ასეთებიც ყოფილან — პოპ-ჯაზი ურჩევნიათ ყველაფერს...

მონტაჟი მზია ლობჟანიძისა

გარეკანის პირველ გვერდზე: გვირილები. მეოთხე გვერდზე: გარეჯი. თარხან არჩვაძის ფოტო.

გადაეცა წარმოებას 4. VI. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. VI. 82 წ., უე 06328, ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 51000, შეკვ. 1464, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების წიაღში

# მეგობრობა თუ სიყვარული?

ფოტო არნოლდ გეგეჭკორისა.







ინდექსი 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა






# დროშა